N1(81) '24
მართლმსაჯულება და კანონი

მართლმსაჯულება და კანონი N 1

Justice and Law

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერიშვილი
ჯონი ხეცურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

English version of articles has been provided by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

უაკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

სარჩევი / CONTENTS

ირმა გელაშვილი
5 პაციენტის ინფორმაციული ხელშეუხებლობის – კონფიდენციალურობის უფლება
THE PATIENT'S RIGHT TO INFORMATIONAL INVIOLABILITY – CONFIDENTIALITY
IRMA GELASHVILI

დავით გეფერიძე, ალექსანდრე პატარაია
36 საერთაშორისო აეროპორტებში გარემოსდაცვითი მართვის სისტემის თაობაზე
REGARDING ENVIRONMENTAL MANAGEMENT SYSTEM IN INTERNATIONAL AIRPORTS – PROBLEMS AND PERSPECTIVES
DAVIT GEPERIDZE, ALEKSANDRE PATARAIA

გიორგი ჯუღელი
48 მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით
FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY AND STATE OBLIGATIONS UNDER THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
GIORGI JUGHELI

ირაკლი ლეონიძე
66 „აუცილებელი გზა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში
RIGHT OF WAY OF NECESSITY IN THE PRACTICE OF THE SUPREME COURT OF GEORGIA
IRAKLI LEONIDZE

ნინო შონია
83 საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა ფარული მიყურადების განხორციელების სფეროში
THE BEST PRACTICES OF FOREIGN COUNTRIES IN THE FIELD OF IMPLEMENTATION OF COVERT SURVEILLANCE
NINO SHONIA

107 **არჩილ ამაღლობელი**
არაჩანაცვლებადი ტოკენი ანუ NFT, საავტორო უფლებების უახლესი გამოწვევა
THE NON-FUNGIBLE TOKEN (NFT), THE LATEST CHALLENGE OF COPYRIGHT LAW
ARCHIL AMAGLOBELI

127 **ეკატერინე ნინუა, ანა გეგეშიძე**
სამკვიდროს გახსნა და მიღების წესი
THE PROCEDURE FOR OPENING AND RECEIVING THE ESTATE
EKATERINE NINUA, ANA GEGESHIDZE

137 **პაატა კუბლაშვილი**
აფიდავიტი – კონტრაჰენტის სანქცირება ადმინისტრაციულ სამართალში და ოფერენტის მონოპოლია სახელმწიფო შესყიდვებში
AFFIDAVIT – SANCTIONING OF THE CONTRACTOR IN ADMINISTRATIVE LAW AND MONOPOLY OF THE OFFEROR IN PUBLIC PROCUREMENT
PAATA KUBLASHVILI

156 **ქეთევან ზუკაკიშვილი**
ბავშვთა ქორწინების პრობლემები საქართველოში
PROBLEMS OF CHILD MARRIAGE IN GEORGIA
KETEVAN ZUKAKISHVILI

168 **კობა ბუაძე**
ზოგადი შეხედულებანი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი სტრუქტურის, საფუძვლებისა და დოკუმენტირების მიზნობრიობის შესახებ
GENERAL PERSPECTIVES ON THE LEGAL STRUCTURE, FOUNDATION, AND PURPOSE OF DOCUMENTING OPERATIONAL SEARCH ACTIVITIES
KOBA BUADZE

პაციენტის ინფორმაციული ხელშეუხებლობის – კონფიდენციალურობის უფლება

ირმა გელაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის[1] მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებით. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, ეს დებულება ადგენს ჯანდაცვის სფეროში ინფორმაციის კონფიდენციალურობის უფლებას, რითაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით აღიარებულ პრინციპს.[2] მართალია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვა ევროპული კონვენციით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლებით

---

1 სრული სახელწოდებაა კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის შესახებ მედიცინასა და ბიოლოგიაში: კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, 1997, საქართველოსთვის ძალაშია 01.03.2001 წლიდან.

2 Explanatory Report to the Convention for the protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, 11, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16800ccde5 (ინგ.).

იფარება, თუმცა, ტექნოლოგიური პროგრესის გამოწვევების საპასუხოდ, საჭირო გახდა საერთაშორისო სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტის არსებობა[3] და იმავე ევროპის საბჭოს ფორმატში მიღებულ იქნა კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ"[4] (შემდგომში მოდერნიზებული 108-ე კონვენცია). კონვენცია პირადი ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად განამტკიცებს ჯანმრთელობის შესახებ სენსიტიური ინფორმაციის განსაკუთრებული დაცვის წესის აუცილებლობას. ცალკე უნდა აღინიშნოს მონაცემთა დაცვის „ოქროს სტანდარტად" მიჩნეული ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR),[5] რომელიც უფრო მეტი დაცვის გარანტიებს ითვალისწინებს ინდივიდთათვის და მეტ ანგარიშვალდებულებას უდგენს საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებს.[6]

საერთაშორისო აქტებითა და კონსტიტუციით აღიარებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პაციენტთან მიმართებით, კონკრეტდება ცალკეულ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში და კიდევ უფრო საინტერესოდ განიმარტება ეროვნული და ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გამოცდილებაში.

1. პაციენტის კონფიდენციალურობის უფლების არსი

პაციენტის კონფიდენციალურობა ხელშეუხებლობის უფლების გამოვლინებაა. ცხადია, რაც კონფიდენციალურია, ხელშეუხებელიცაა, მაგრამ ხელშეუხებლობა უფრო ფართო შინაარსის მატარებელია და მოიცავს მრავალ ასპექტს, უპირველესად კი, ფიზიკურ ხელშეუხებლობას. კონფიდენციალურობა პაციენტის ინფორმაციული ხელშეუხებლობაა, მონაცემებზე კონტროლის

---

3 საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (სტატიათა კრებული), კორკელია კ. (რედ)., 2015, 182.

4 კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, მიღებულია 28.01.1981 წელს, საქართველოსთვის ძალაშია 01.04.2006 წლიდან.

5 ძალაში შევიდა 25.05.2018 წ., იხ.: General Data Protection Regulation (GDPR) – Official Legal Text (gdpr-info.eu). მართალია, რეგულაცია ევროკავშირის ქვეყნებში პირდაპირ მოქმედებს და არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, თუმცა, მისი მოქმედება ვრცელდება იმ ორგანიზაციებზეც, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული ევროკავშირში, მაგრამ ამუშავებენ ევროკავშირში მყოფი პირების მონაცემებს, ევროკავშირთან გაღრმავებული სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით, იგი ვრცელდება ცალკეულ ქართულ ორგანიზაციებზეც, ხოლო საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს რეგულაციის მნიშვნელობა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი შესრულების ფარგლებში რეგულაციასთან ჰარმონიზების მიზნით მიღებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონი.

6 რეგულაციამ მონაცემთა დაცვა ახალ საფეხურზე აიყვანა და ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე გამოწვევების პირობებში დაამკვიდრა ახალი პრინციპები, მათ შორის, მონაცემთა პორტირება, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინება და სხვა, დამატებით იხ.: GDPR.pdf (personaldata.ge).

შესაძლებლობაა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, „პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია.[7] კონფიდენციალურობის უფლების დაცული სფეროა პაციენტის კერძო, პრივატული ცხოვრების ხელშეუხებლობა და პირადი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების, სამედიცინო საიდუმლოს დაცვა. შესაბამისად, პაციენტის კონფიდენციალურობის უფლებას შეესატყვისება სამედიცინო პერსონალის ვალდებულება, დაიცვას სამედიცინო საიდუმლო[8] – „ექიმის და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ექიმისათვის მიმართვის ფაქტსაც, აგრეთვე, სიკვდილის გარემოებებს."

კონფიდენციალურობის კონცეფცია – საექიმო საიდუმლოს დაცვის ვალდებულება, უძველესი დროიდან იღებს სათავეს და ისეთივე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც თავად მედიცინას[9] და უფრო ძველია, ვიდრე საერთო ქვეყნების თუ კონტინენტური ევროპის სამართალი.[10] ჯერ კიდევ, ჰიპოკრატეს ფიცში ექიმი საჯაროდ დებდა ფიცს, რომ მკურნალობის ჟამს თუ სხვა დროს, როგორც პროფესიონალი, რასაც ნახავდა და გაიგებდა, საიდუმლოდ დაიცავდა და არ გაამხელდა. ამ ფიცით ექიმი ვალდებული იყო საიდუმლოდ დაეცვა ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც მას, როგორც ექიმს, გაანდო პაციენტმა და რომელიც ყველა გონიერ პაციენტს ენდომებოდა საიდუმლოდ შეენახა.[11] დღესაც, პროფესიაში შესვლამდე, დიპლომის მიღების წინ, სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული დებს ექიმის ფიცს,[12] რომლის ტექსტად გამოიყენება მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მეორე გენერალური ასამბლეის 1948 წლის ჟენევის დეკლარაცია.[13] საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით კი, სამედიცინო საიდუმლოს დაცვა პროფესიულ ვალდებულებად განიხილება, რომლის დარღვევა არა მხოლოდ მორალურად გაუმართლებელია, არამედ იწვევს იურიდიულ შედეგს: არა მხოლოდ პროფესიულ,[14] არამედ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც

---

7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.10.2008 წლის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

8 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

9 Beauchamp T., Chaildress J.F., Principles of Biomedical Ethics, 8th ed. 2020, 249.

10 Giesen D., International Medical Malpractice Law: A Comparative Law Study of Civil Liability Arising from Medical Care, 1988, 406.

11 იქვე, 408.

12 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 35-ე მუხლი.

13 WMA, Declaration of Geneva, ხელმისაწვდომია: https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-geneva (ინგ.).

14 იხ.: „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი.

ზიანის ანაზღაურებაში გამოიხატება, ხოლო თუ ზიანი მნიშვნელოვანია, შესაძლოა დადგეს ექიმის პასუხისმგებლობაც სისხლის სამართლის კოდექის 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ზიანის მნიშვნელობა შეფასებითი კატეგორიაა, მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება იყოს: დაზარალებულის ფსიქიკური დაავადება, ოჯახის დანგრევა, როგორც პროფესიული, ისე პირადი ღირსების შელახვა, ქონებრივი ზიანი, სამსახურის დაკარგვა ან საცხოვრებლის დატოვება, შვილებთან კომუნიკაციის შეზღუდვა.[15] კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს შედეგის დადგომა დროის მცირე მონაკვეთში ხდება თუ შედეგი ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ არის გამოწვეული.[16]

კონფიდენციალურობის მნიშვნელობის მიუხედავად, მისი ტრადიციული შინაარსი გამოწვევების წინაშეა, არა მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე,[17] არამედ როგორც კომენტატორები მიუთითებენ, პრაქტიკაში პაციენტის ეს უფლება ყველაზე ხშირად არის იგნორირებული და ხელყოფილი.[18] სწორედ ამიტომ, პაციენტის ღირსების დაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას სათანადო საკანონმდებლო გარანტიები კონფიდენციალურობის დასაცავად და უზრუნველყოს უფლების ეფექტიანი აღსრულება, არ დაუშვას სამედიცინო მონაცემებზე უკანონო ხელმისაწვდომობა, მათი დამუშავება თუ გავრცელება, ხოლო კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება როგორც დაზარალებულის უფლების აღდგენის, ისე დარღვევის პრევენციის მიზნით.

2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები

2.1. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები, სამედიცინო ჩანაწერები და მათი მნიშვნელობა

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებია, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გაძლიერებულ დაცვას საჭიროებენ

---

15 დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., წიქარიშვილი კ., ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), 2019, 407.

16 იქვე.

17 Maehle A., Contesting Medical Confidentiality: Origins of the Debate in the United States, Britain, and Germany, Chicago: University of Chicago Press, 2016; Rieder P, Louis-Courvoisier M., Huber P., „The End of Medical Confidentiality? Patients, Physicians and the State in History," Medical Humanities 42 (2016): 149–54.

18 უფრო ვრცლად, იხ.: Glower-Thomas N., Vansweevelt T., Privacy and Medical Confidentiality in Healthcare, A Comparative Analysis, 2023.

და მკაცრ სამართლებრივ რეჟიმში ექცევიან.[19] მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით,[20] პიროვნების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები სპეციალურ კატეგორიას განეკუთვნება, ეს არის სენსიტიური მონაცემები და „არ ექვემდებარება ავტომატიზებულ დამუშავებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს." ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით, „მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ყველა მონაცემი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მისი ფიზიკური ან სულიერი ჯანმრთელობის წარსული, ამჟამინდელი და მომავალი მდგომარეობის შესახებ,"[21] სპეციალური კატეგორიის მონაცემებია და აკრძალულია მათი დამუშავება. მოცემული რეგულაცია (მე-9 მუხლის მე-2(თ) პუნქტი) სამედიცინო მონაცემების დამუშავების ნებართვას იძლევა ისეთი მიზნით, როგორებიცაა: პრევენციული მედიცინა, სამედიცინო დიაგნოზის დასმა, მკურნალობის კურსის ან ჯანდაცვის მომსახურების მართვა. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელსაც ეკისრება პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ან სხვა პირის მიერ, ეკვივალენტური ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.[22]

ეროვნული კანონმდებლობითაც, სამედიცინო ჩანაწერები განიმარტება, როგორც სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ ქაღალდზე, აგრეთვე, ინფორმაციის სხვადასხვა მატარებლებზე, მათ შორის, კომპიუტერში დაფიქსირებული ინფორმაცია პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.[23] ამგვარი ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციათა ფართო სპექტრს, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის, ჩივილების, დიაგნოზის, ჩატარებული თუ ჩასატარებელი გამოკვლევების, გენეტიკური, ქრონიკული თუ ინფექციური დაავადებების, პირადი და ოჯახური მდგომარეობის ასევე, სქესობრივი ცხოვრების, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ და განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ," პირველად განიმარტა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი — ეს არის მონაცემები, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე, მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის

---

19 იხ.: მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, FRA, COE, ECHR. 2018, 96, 110 და შემდეგი.

20 „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის მოდერნიზებული 108-ე კონვენცია, იხ.: https://rm.coe.int/convention-108-convention-for-the-protection-of-individuals-with-regar/16808b36f1 (ინგ).

21 ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, პრეამბულა, 35-ე პუნქტი.

22 მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, სახელმძღვანელო, გოშაძე კ. (თარგმნ), ბეგიაშვილი მ. (რედ.), ძირითადი უფლებების ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, 2014.

23 „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი" პუნქტი.

თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა.[24] მაშასადამე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაგნოზის, გამოკვლევების, ჩატარებული მკურნალობის, გაწეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე დეტალებს, განეკუთვნება სენსიტიურ მონაცემებს და როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, მკაცრ დაცვას მოითხოვს.

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე მიუთითა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე. საქმეში – ზ. ფინეთის წინააღმდეგ,[25] მომჩივნის მეუღლის წინააღმდეგ გაუპატიურების ბრალდებით მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, განმცხადებლის ჯანმრთელობასთან კერძოდ, აივ დადებით დიაგნოზთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები მისი წინასწარი თანხმობის გარეშე მოიპოვა და საგამოძიებო საქმეს დაურთო პროკურატურამ. საქალაქო სასამართლომ პროცესი დახურულ რეჟიმში ჩაატარა და დაადგინა საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ათი წლის ვადით თუმცა, მოგვიანებით, მომჩივნის ვინაობა და ინფორმაცია აივ სტატუსის შესახებ გამოქვეყნდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რის გამოც მომჩივანმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის მოთხოვნით.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მომჩივნის ვინაობისა და სამედიცინო დიაგნოზის მოხსენიება, რაც არ იყო აუცილებლობით ნაკარნახევი, წარმოადგენდა მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშემკვრელი ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისათვის ფუნდამენტურია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა, რომელიც კიდევ უფრო აქტუალურია პირის აივ ინფიცირების შესახებ ინფორმაციასთან მიმართებით. ამგვარი მონაცემების გამჟღავნებამ შეიძლება არსებითად, დრამატულად იმოქმედოს პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებაზე, მის სოციალურ სტატუსსა თუ დასაქმების მდგომარეობაზე. ამასთან, იზრდება მასზე ზეწოლის თუ მისი იძულებით იზოლაციაში მოქცევის რისკი, პირის საეჭვოდ ან საშიშად მიჩნევის გამო. ყოველივე ამან კი, სასამართლოს შეფასებით, შესაძლოა შექმნას დაავადების დიაგნოსტირებისა და მკურნალობის პროცესებში მნიშვნელოვანი დაბრკოლებები და ამით არაეფექტიანი გახადოს აივ პანდემიასთან ბრძოლის პრევენციული მექანიზმები. ამგვარად, დიდია აივ სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესი. აივ სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაციის

[24] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღებულია 14.06.2023 წ.), მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.
[25] ECHR, Z v. Finland, No. 22009/93, 25.02.1997.

გამჟღავნება უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული, უფლებაში ჩარევა კი, ამ ტიპის ინფორმაციის უაღრესად ინტიმური და სენსიტიური ბუნების გათვალისწინებით, უნდა მართლდებოდეს უკიდურესი საჯარო ინტერესების ძირითადი მოთხოვნით. სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სათანადო გარანტიებს, ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემების ისეთი გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეუსაბამოა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს განმარტება საქმეზე – პანტელეინკო უკრაინის წინააღმდეგ:[26] მომჩივანს სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენეს უფლებამოსილების გადამეტებისა და ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებისათვის. მისი ოფისიდან ამოღებულ იქნა არაერთი მტკიცებულება, მიმდინარე სასამართლო პროცესზე ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ გაკეთებული რამდენიმე არაეთიკური მინიშნების საპასუხოდ. მომჩივანმა განაცხადა, რომ მას არასოდეს ჰქონია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და წარმოადგინა ცნობა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან. ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ გამოითხოვა ოფიციალური ინფორმაცია ფსიქიატრიული კლინიკიდან მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ, რის პასუხადაც სასამართლოს ოფიციალურად ეცნობა, რომ მომჩივანი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადიოდა მკურნალობას კონკრეტულ ფსიქიკურ დაავადებასთან დაკავშირებით, თუმცა, მოიხსნა აღრიცხვიდან, რამდენადაც ხანგრძლივი რემისიის გამო მას აღარ აღენიშნებოდა რაიმე სახის დაავადება. ეს ინფორმაცია მოსამართლემ გაასაჯაროვა ღია სხდომაზე. მომჩივანი ასაჩივრებდა სასამართლო სხდომაზე ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელიც უკავშირდებოდა მის სულიერ მდგომარეობასა და ფსიქიკური დაავადების მკურნალობას.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ღია სასამართლო სხდომაზე ფსიქიატრიული დაწესებულებიდან მოპოვებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის შესახებ, წარმოადგენდა მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-8 მუხლი, ვინაიდან მსგავსი დეტალების გამჟღავნებას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ეროვნული სამართალწარმოების შედეგებზე. უფრო კონკრეტულად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფსიქიატრიული კლინიკიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ ემსახურებოდა გამოძიების, წინასასამართლო გამოძიების თუ სასამართლო პროცესის მიზნებს, რამდენადაც სადავო დეტალებს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სასამართლო პროცესის შედეგზე. ამასთან, ინფორმაციის გამოთხოვა

[26] ECHR, Panteleyenko v. Ukraine, No. 11901/02, 29.06.2006.

და გასაჯაროვება არ შეესაბამებოდა „ფსიქიატრიული სამედიცინო დახმარების შესახებ“ კანონის მიზნებს.

მაშასადამე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების, სამედიცინო საიდუმლოს დაცვა მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების უფლების რეალიზებისთვის, რამდენდაც ამ ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნება შესაძლოა გახდეს პირის ღირსების შელახვის, სტიგმატიზაციის თუ დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი.[27]

2.2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავების ზოგადი წესი

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების განსაკუთრებულ კატეგორიად აღიარება გულისხმობს ამ მონაცემთა დამუშავებისა და მათი უკანონო მოპოვების, გამჟღავნებისა თუ სხვაგვარი დამუშავებისგან განსაკუთრებული დაცვის რეჟიმის დაწესებას. თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავება გულისხმობს ავტომატურ, არაავტომატურ და ნახევრად ავტომატური საშუალებებით[28] დამუშავებას: ნებისმიერ ქმედებას,[29] როგორებიცაა: შეგროვება, აღრიცხვა/ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, ამოღება, წვდომა, გაცნობა, ფოტოგადაღება (მათ შორის, რენტგენის გამოსახულება),[30] ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება აგრეთვე, მონაცემთა გამჟღავნება გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი.

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია „სამედიცინო მონაცემების დაცვის შესახებ“[31] განავრცობს კონვენციის პრინციპებს სამედიცინო სფეროში მონაცემთა დამუშავებაზე, განსაზღვრავს სამედიცინო მონაცემების ლეგიტიმური დამუშავების მიზნებსა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს გამჭვირვალობაზე, წვდომაზე, შესწორებასა და წაშლაზე.

მონაცემთა დაცვის სამართალი განამტკიცებს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს,[32] მონაცემთა დამუშავების ზოგად წესს[33] და ცალკე გამოყოფს[34] ჯანმრთელობასთან დაკავში-

---

27 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, 2020, 4.

28 მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მის გარეშე ან მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით.

29 ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, მე-4 (2) მუხლი; მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მე-2 (ბ) მუხლი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მე-3 (ვ) მუხლი.

30 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, გვ. 4.

31 ევროპის საბჭოს რეკომენდაცია „სამედიცინო მონაცემების დაცვის შესახებ,“ მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 13.02.1997 წელს, იხ.: https://rm.coe.int/cmrec-97-5-on-the-protection-of-medical-data/1680a43b64 (ინგ.).

32 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მე-4 მუხლი.

33 იქვე, მე-5 მუხლი.

34 იქვე, მე-6 მუხლი.

რებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. ეროვნულ დონეზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლებს აწესრიგებს „პაციენტის უფლებების შესახებ," „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ," „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონები.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებისთვის აუცილებელია თავად მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი, რომელიც მოიცავს მონაცემთა სუბიექტის, მესამე პირთა უფლებების დაცვასა და საჯარო მიზანს – საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესის დაცვას.

2.3. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, როგორც მონაცემთა დამუშავების წინაპირობა

თანხმობა მონაცემთა დამუშავების ყველაზე გავრცელებული საფუძველია. პრეზუმფცია, რომ პაციენტს არ სურს მის კერძო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, მოქმედებს იქამდე, სანამ თავად არ გამოხატავს საწინააღმდეგო ნებას. „ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას, მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა კი, უნდა დაფიქსირდეს სამედიცინო დოკუმენტაციაში."[35] სამედიცინო ჩანაწერების დამუშავებაზე პაციენტის თანხმობის ნამდვილობისათვის უნდა შემოწმდეს, ერთი მხრივ, სამოქალაქოსამართლებრივი ნების ნამდვილობის კრიტერიუმები, ამავდროულად, დაცული უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში[36] დადგენილი სპეციალური მოთხოვნები, კერძოდ:

- თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ინფორმირებული და მკაფიოდ გამოხატული;
- თანხმობამდე პირს გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ;
- პირმა თანხმობა უნდა გამოხატოს აქტიური მოქმედებით; დუმილი, უმოქმედობა ან წინასწარმონიშნული გრაფები არ ჩაითვლება თანხმობად;
- თანხმობა გაცემული უნდა იყოს კონკრეტული მიზნით/მიზნებით მონაცემთა დამუშავებაზე;
- თუ მონაცემები ერთზე მეტი მიზნით დამუშავდება, საჭიროა, პირმა თანხმობა გამოხატოს მონაცემთა თითოეული მიზნით დამუშავებაზე;

---

35 „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

36 ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის 4(11), 6(1)(a), 7, 8 და 9(2)(a) მუხლები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონის 32-ე მუხლი.

- დოკუმენტებში თანხმობის პირობები გამოყოფილი უნდა იყოს სხვა ტექსტისგან და ჩამოყალიბებული უნდა იყოს მარტივი და გასაგები ენით;
- პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაითხოვოს თანხმობა. პროცედურა ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც თანხმობის გამოხატვა. ამ უფლების შესახებ პირი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

თანხმობის ნამდვილობაში გონივრული ეჭვის საფუძვლის არსებობისას ასევე, დელიკატური ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობისას, ექიმმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედოს. შეიძლება ექიმმა გონივრულად მიიჩნიოს კონკლუდენტური ფორმით თანხმობის გამოხატვად თანმხლები პირის წინაშე ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ თანხმობა ნებაყოფლობითია, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასების საკითხია. მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის არსებობის მტკიცების ტვირთი სამედიცინო დაწესებულებაზეა.[37] დავის შემთხვევაში, მხოლოდ ზეპირი ფორმა გაართულებს თანხმობის სათანადო წესით მოპოვების დადასტურებას. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისათვის პირის თანხმობის მოპოვებისას, მიზანშეწონილია თანხმობა გამოხატულ იქნას წერილობით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ისეთი საშუალებით, რომლითაც ნათლად დგინდება პირის ნება. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ პრაქტიკაშიც უკვე არსებობს პრეცედენტი, როცა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა დაუდგინა კლინიკას,[38] რომელმაც ვერ დაადასტურა მონაცემთა სუბიექტის თანხმობა – ფორმის ნაკლის გამო: განმცხადებლისა და მისი დედის PCR ტესტის შედეგები ელექტრონულ ფოსტაზე კლინიკამ გაუგზავნა არა უშუალოდ პაციენტს, არამედ მის დას, რომელმაც ამავე კლინიკაში რამდენიმე დღით ადრე ისარგებლა მომსახურებით. კლინიკის არგუმენტი, რომ მონაცემთა სუბიექტისაგან ზეპირად იქნა გაცხადებული თანხმობა მონაცემების გაგზავნაზე, არ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან ინსპექტორის განმარტებით, კვლევის შედეგები წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და მათ გასამჟღავნებლად კლინიკას უნდა ჰქონოდა მონაცემთა სუბიექტების წერილობითი თანხმობა.

3. პაციენტის კონფიდენციალურობის უფლებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები

ევროპული კონვენციით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც მოიცავს პაციენტის კონფიდენციალურობასაც, არ არის აბსოლუტური. მე-8 მუხლის

[37] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის 32-ე მუხლის მე-9 პუნქტი.
[38] იხ.: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021, 84.

მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის ანდა სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ევროპის კონვენცია ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლად მიუთითებს, რომ ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, დანაშულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.[39] შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა უნდა იყოს კანონის შესაბამისი, გამართლებული უნდა იყოს ძლიერი, მწვავე საჭიროებით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას.

3.1. უფლებაში ჩარევა კანონის შესაბამისად

უფლებაში ჩარევის გასამართლებლად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყოს კანონით, კანონით საკითხის განსაზღვრა არ არის თვითკმარი, კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი, ნორმა იმდენად ნათელი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს მისი სურვილისამებრ ან სუბიექტურად განმარტების ალბათობა,[40] „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მიხედვით (28-ე მუხლი), პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ:

ა) მიღებულია პაციენტის თანხმობა;
ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
გ) სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას, მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია;
გ[1]) ინფორმაცია ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. ეს ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

[39] „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1997 წლის 4 აპრილის კონვენცია, 26-ე მუხლი.
[40] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, 2020, 221.

დ) ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება არ მოხდება კანონის საფუძველზე, უფლების დარღვევის დასადგენად როგორც წესი, აღარ არის საჭირო ჩარევის მატერიალური შესაბამისობის შემოწმება.

მოცემულ საკითხზე ევროპული სასამართლომ იმსჯელა არაერთ საქმეზე:

ა) საქმეზე – მოქუტი ლიეტუვას წინააღმდეგ:[41] მომჩივანი წლების განმავლობაში იტანჯებოდა მწვავე პარანოიდული აშლილობით. ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობის შემდეგ, მისი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, იგი შეუერთდა ოშოს რელიგიურ ორგანიზაციას და დაიწყო პრაქტიკული მედიტაცია. რამდენიმე თვეში იგი კვლავ მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. სატელევიზიო გადაცემაში ოშოს რელიგიური მოძრაობის ცენტრთან დაკავშირებულ სიუჟეტში მკურნალი ექიმი, დედა და და განიხილავდნენ მომჩივნის შემთხვევას ფსევდონიმის – „ვიოლეტა“ გამოყენებით. ჟურნალისტმა ახსენა, რომ ოშოს რელიგიური მოძრაობის წევრები ჩართულნი იყვნენ სექსუალური ხასიათის აქტივობებში, რის გამოც მათ სამედიცინო შემოწმების გავლით უნდა დაედასტურებინათ თავიანთი აივ-უარყოფითი სტატუსი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის თანხმობის გარეშე, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაციისა და კომენტარების გამჟღავნება/გავრცელება წარმოადგენდა მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას. სასამართლოს განმარტებით, ამგვარი მონაცემების გამჟღავნებას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, საჭირო არ იყო იმის შეფასება, წარმოადგენდა თუ არა უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებას. წინამდებარე საქმეში ასევე, დადგინდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ნაწილში.

ბ) საქმეში – ლ.ლ. საფრანგეთის წინააღმდეგ,[42] მომჩივანი ასაჩივრებდა განქორწინების პროცესში ეროვნული სასამართლოების მიერ მისი სამედიცინო ჩანაწერების გამოყენებას. კერძოდ, ბავშვების მეურვეობის საკითხის განხილვისას, ეროვნული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაციას, სადაც მითითებული იყო მომჩივნისთვის ელენთის ამოკვეთის (სპლენექტომიის) შესახებ. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მითითებული დოკუმენტის ასლი არ მიუცია მეუღლისათვის, ხოლო სამედიცინო პერსონალისათვის არ განუცხადებია თანხმობა ამ ინფორმაციის გაცემაზე.

[41] ECHR Mockute v. Lithuania. 66490/09, 27.02.2018

[42] ECHR, L.L. v. France, No. 7508/02, 10.10.2006.

სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები განსაკუთრებულად არის დაცული მე-8 მუხლით. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ დიდი ინტერესისა და მისი მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი გარანტიების არსებობა სამედიცინო ხასიათის პერსონალური მონაცემების ისეთი გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, რაც არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს. ევროპული სასამართლოს აზრით, საფრანგეთის სასამართლომ არაჯეროვნად გამოიყენა ზემოაღნიშნული სამედიცინო ჩანაწერი საკუთარი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად, მით უფრო, რომ იმავე გადაწყვეტილებისა და დასკვნის გაკეთება შესაძლებელი იყო ზემოაღნიშნული სამედიცინო დასკვნის გარეშეც. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა პაციენტთა პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გასაჯაროებისაგან დაცვის ეფექტიან გარანტიებს, რის გამოც დადგინდა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა.

გ) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – L.H ლატვიის წინააღმდეგ.[43] საკეისრო კვეთის ოპერაციის დროს ექიმმა პაციენტს მისი თანხმობის გარეშე ჩაუტარა ქირურგიული კონტრაცეფცია (საშვილოსნოს მილების ლიგირება). პაციენტმა მიმართა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საავადმყოფოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. პარალელურად, კლინიკის დირექტორმა წერილობით მიმართა სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის ინსპექციას მის დაწესებულებაში მომჩივნისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შეფასების მოთხოვნით. ინსპექციამ შემდგომი ადმინისტრაციული გამოძიების მიზნებისთვის მოითხოვა და მიიღო პაციენტთან დაკავშირებული ბოლო შვიდი წლის სამედიცინო ისტორიის შემცველი დოკუმენტები სამი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებიდან და საბოლოოდ გამოსცა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, პაციენტის მშობიარობისას გაწეული მომსახურებისას, არ დარღვეულა არც ერთი კანონი. მოკვლევის შედეგები გადაეცა საავადმყოფოს დირექტორს.

მომჩივანმა სასამართლოს გზით სადავოდ გახადა ინსპექციის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების კანონიერება, უთითებდა რა, რომ წარმოების დაწყებას არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი, რამდენადაც მისი მიზანი არა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასება, არამედ ჰოსპიტალისთვის ყველა იმ მტკიცებულების შეგროვება იყო, რაც მას მიმდინარე სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დაეხმარებოდა, ეს კი სცილდებოდა ინსპექციის კომპეტენციას.

---

[43] ECHR, L.H. v. Latvia, No. 52019/07, 29.04.2014.

ლატვიის უზენაესი სასამართლოს სენატმა გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებები და დაადგინა, რომ ინსპექციის ანგარიში არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს. შესაბამისად, სარჩელი უწყებრივად არ ექვემდებარებოდა ადმინისტრაციულ სასამართლოს. მიუხედავად ამისა, სამედიცინო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა უფლებას აძლევდა ინსპექციას გამოეკვლია სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელებული მომსახურების ხარისხი არა მხოლოდ პაციენტის, არამედ სამედიცინო დაწესებულებების მიმართვის საფუძველზე, რამდენადაც მათ ჰქონდათ კანონიერი ინტერესი აღმოეჩინათ ნებისმიერი დარღვევა, უზრუნველეყოთ შესაბამისი რეაგირება და სამომავლოდ, მოეხდინათ პრევენცია.

მომჩივანი ევროპულ სასამართლოში დავობდა, რომ ინსპექციის მიერ განხორციელებული მოკვლევით დაირღვა მისი პირადი ცხოვრების უფლება. მოცემულ საქმეში სადავო არ იყო პაციენტის პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა, იყო თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკმარისი სიზუსტით ფორმულირებული და ითვალისწინებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობისგან დაცვის ადეკვატურ საშუალებებს. სასამართლომ დაადგინა, რომ შიდასახელმწიფოებრივი ნორმების თანახმად, ინსპექციის კომპეტენცია განსაზღვრული იყო ზოგადად. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენდა ინსპექციის მიერ პაციენტის შესახებ სამედიცინო მონაცემების შეგროვების ფარგლებს, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია მომჩივნის შესახებ შვიდწლიანი პერიოდის განმავლობაში სამ სამედიცინო დაწესებულებაში დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვება, ყოველგვარი წინასწარი შეფასების გარეშე, მიუხედავად მათი საჭიროებისა, მიზანთან შესაბამისობისა და მნიშვნელობისა. საბოლოოდ, იმ ფაქტმა, რომ ცნობების შეკრება დაიწყო მომჩივნის სტერილიზაციიდან შვიდი წლის შემდეგ, წარმოშვა საფუძლიანი ეჭვი, რამდენად იყო მონაცემების შეგროვება სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ან ჯანდაცვის მომსახურების განხორციელების მიზნებისთვის აუცილებელი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის ჭრილში.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა „ფორმულირებული უნდა იყოს საკმარისი სიზუსტით და უზრუნველყოფდეს ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას თვითნებობის წინააღმდეგ.“ მოცემულ შემთხვევაში კი, მოქმედი კანონმდებლობა საკმარისი სიზუსტით არ მიუთითებდა შესაბამისი ორგანოების დისკრეციის ფარგლებსა და მისი განხორციელების ფორმას, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

დ) საქმეში – რადუ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ,[44] მომჩივანი ორსულობის შეწყვეტის გაზრდილი რისკის გამო, ჰოსპიტალიზებულ იქნა. დამსაქმებელმა, პოლიციის აკადემიის პრეზიდენტმა, საავადმყოფოსგან მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რის საპასუხოდაც აკადემიას კლინიკამ მიაწოდა სამედიცინო ისტორია დეტალურად – ინფორმაცია ორსულობის, ხელოვნური განაყოფიერების პროცესისა და სამედიცინო პროცედურების შესახებ. ინფორმაციის გამჟღავნების შემდეგ, მომჩივანმა განიცადა მძიმე ზიანი – ორსულობა ბუნებრივად შეწყდა, რაც მომჩივნის მტკიცებით, განცდილი სტრესის შედეგია, რამდენადაც სამუშაო ადგილზე და სტუდენტებში გავრცელდა ჭორები, ხოლო მისმა მეუღლემ დატოვა პოლიციის აკადემიაში თანამდებობა. ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივნის სარჩელი, რომლითაც ეს უკანასკნელი დავობდა კონფიდენციალურობაზე უფლების დარღვევის შესახებ.

ცხადია, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა, რამდენადაც მოლდოვის კანონმდებლობა მკაცრად პირადი სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას უზრუნველყოფდა მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში და არ იყო სახეზე კონფიდენციალურობის წესიდან საგამონაკლისო რომელიმე შემთხვევა, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის სამედიცინო ისტორიის გამჟღავნება არ იყო „კანონის შესაბამისი“ კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის. ამდენად, აღარ იყო საჭირო იმის გამოკვლევა, ემსახურებოდა თუ არა ჩარევა „ლეგიტიმურ მიზანს“ ან იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

3.2. უფლებაში ჩარევის აუცილებლობა

უფლებაში თანაზომიერი ჩარევა გულისხმობს მხოლოდ მაშინ და იმდენად ჩარევას, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელი და გარდაუვალია. უფლებაში ნებისმიერი ჩარევა სათანადო საფუძვლის არარსებობისას ან იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე უპირობოდ მოთხოვნილია, ვერ იქნება გამართლებული დემოკრატიული საზოგადოების დაცვის აუცილებლობით.[45]

3.2.1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

ა) მიზნის ლეგიტიმურობა გახდა გადამწყვეტი საქმეზე – შავ ნე ჟულიენი საფრანგეთის წინააღმდეგ.[46] არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით, მომჩივანი პრეფექტის ბრძანე-

[44] ECHR, Radu v. The Republic of Moldova, No. 50073/07, 15.04.2015.
[45] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, 2020, 232.
[46] ECHR, Chave née Jullien v. France No. 14461/88, 09.07.1991.

ბის საფუძველზე მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში თუმცა, პარიზის სააპელაციო სასამართლომ იძულებითი მკურნალობის შესახებ პრეფექტის ბრძანება უკანონოდ ცნო და კომპენსაციის სახით გამოსცა სახაზინო თამასუქი 5000 ფრანკის ოდენობით. განმცხადებელმა მოითხოვა საკუთარი სახელისა და სხვა პერსონალური მონაცემების/დეტალების წაშლა მენტალურ დაავადებათა დეპარტამენტის ცენტრალური არქივიდან, რაზეც უარი უთხრა ეროვნულმა სასამართლომ. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მისი არანებაყოფლობითი მოთავსების შესახებ მონაცემების სამუდამოდ შენახვით ირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაუშვებლად ცნო საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო. კომისიის თანახმად, ხელისუფლების ორგანოების მიერ მენტალური პრობლემების მქონე პაციენტების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, კერძოდ, შეგროვება და შენახვა მიზნად ისახავდა არა მარტო ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფას, არამედ პაციენტთა უფლებების დაცვას, განსაკუთრებით კი, არანებაყოფლობითი მკურნალობის საქმეებში. კომისიის განმარტებით, მომჩივნის შესახებ პერსონალური ინფორმაცია სპეციალური კონფიდენციალურობის წესებით იყო დაცული და მონაცემებზე წვდომა მხოლოდ პირთა (სახელმწიფო ორგანოების) შეზღუდული წრისთვის იყო დასაშვები. აქედან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივნის უფლების შეზღუდვა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და ამავდროულად იყო თანაზომიერი.

ბ) ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად პროპორციულ ჩარევად შეფასდა სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება საქმეში – M.S შვედეთის წინააღმდეგ.[47] მომჩივანმა, რომელმაც სამსახურში დავარდნით მიიღო საწარმოო ტრავმა, მოითხოვა კომპენსაცია სოციალური დაზღვევის სააგენტოსგან. დადგინდა, რომ ამ უკანასკნელს კლინიკასთან ჰქონდა კომუნიკაცია და ხელი მიუწვდებოდა მომჩივნის სამედიცინო ისტორიაზე, საიდანაც ირკვეოდა, რომ მომჩივანს აწუხებდა სპონდილოლისთეზია (spondylolisthesis) და ქრონიკული ზურგის ტკივილი. ჩანაწერები შეიცავდა მონაცემებს აბორტთან დაკავშირებითაც თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურგის ტკივილები საწარმოო ტრავმით იყო გამოწვეული, მომჩივნის სამედიცინო ისტორიაში არ იყო დაფიქსირებული. სამედიცინო ჩანაწერებიდან ირკვეოდა, რომ ტკივილები, რომლებიც მომჩივანს აწუხებდა, გამომდინარეობდა არა საწარმოო ტრავმიდან, არამედ იყო აბორტის შემდგომი. შესაბამისად, სოციალური დაზღვევის სააგენტომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა კომპენსაციის მიღების თაობაზე. მომჩივნის სხვა მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა.

---

47 ECHR, M.S. v. Sweden, No. 20837/92, 27.08.1997.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეში მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას არ ჰქონდა ადგილი. ამასთან, კომპენსაციის მოთხოვნის წერილით სააგენტოსთვის მიმართვა არ უნდა იქნას გაგებული, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე უარი. თუმცა, კლინიკის მხრიდან სააგენტოსთვის სამედიცინო ისტორიის გადაცემა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, დაეცვა სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობა, რაც წარმოადგენდა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ და პროპორციულ ზომას. სააგენტოსთვის სამედიცინო ისტორიის მიწოდება ემსახურებოდა იმის შეფასებას, აკმაყოფილებდა თუ არა მომჩივანი საწარმოო ტრავმის საფუძველზე კომპენსაციის მიღების კრიტერიუმებს. ამასთან, მომჩივნის მიერ სადავოდ ქცეული ღონისძიება ექვემდებარებოდა მნიშვნელოვან საკანონმდებლო შეზღუდვებს, რაც ითვალისწინებდა პერსონალური მონაცემების დაცვის ეფექტიან და ადეკვატურ გარანტიებს.

გ) ევროპულმა სასამართლომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნის შეუსაბამო ზომად მიიჩნია სახელმწიფოს ჩარევა საქმეში – ავილკინა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ.[48] მომჩივნებს წარმოადგენდნენ რელიგიური ორგანიზაცია – „იეჰოვას მოწმეების“ ადმინისტრაციული ცენტრი რუსეთში და სამი იეჰოვას მოწმე, რომელთაც სხვა ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე, ბრალად ედებოდათ ექსტრემიზმი. მიუხედავად იმისა, რომ სანკტ-პეტერბურგის პროკურატურამ ვერ მიაკვლია დანაშაულის ნიშნებს, ყველა საავადმყოფოს მოსთხოვა, აღერიცხათ იეჰოვას მოწმეების თითოეული უარი სისხლის გადასხმაზე. კლინიკების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კი, პროკურატურამ ასევე, მოითხოვა იმ პირთა სამედიცინო ისტორიები, რომლებმაც უარი განაცხადეს სისხლის გადასხმაზე. მომჩივნები ასაჩივრდებდნენ კლინიკების მხრიდან სამედიცინო ჩანაწერების გამჟღავნებას პროკურატურისთვის.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რამდენადაც არ არსებობდა გადაუდებელი საჯარო ინტერესი, რაც გაამართლებდა მკაცრად პირადი ხასიათის ინფორმაციის პროკურატურისთვის მიწოდებას. სასამართლოს განმარტებით, მომჩივნები არ იყვნენ ეჭვმიტანილები და ბრალდებულები სისხლის სამართლის საქმეში. მეტიც, სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებშიც მომჩივნებმა გაიარეს სამედიცინო მომსახურება, არ შეუტყობინებიათ პროკურატურის ოფისისათვის რაიმე სახის სავარაუდო დანაშაულებრივი ქცევის შემთხვევები. ამასთან, სასამართლოსთვის წარმოდგენილი მასალები არ ქმნიდა იმის ვარაუდს, რომ სისხლის გადასხმაზე მეოთხე მომჩივნის უარი, რომლის შესახებაც კლინიკამ აცნობა საოლქო პროკურატურას, იყო მის რელიგიურ გრძნობებზე ზეწოლის შედეგი

[48] ECHR, Avilkina and Others v. Russia, No. 1585/09, 06.06.2013.

და არა მისი ნამდვილი ნების გამოხატულება. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა მომჩივნების შესახებ კონფიდენციალური სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნების გამამართლებელი მწვავე სოციალური საჭიროება.

პროკურატურამ ზემოაღნიშნული მონაცემების გადაცემა მოითხოვა მომჩივანთა რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგ შესული საჩივრების გამო, თუმცა, მათზე წარმოების გაგრძელება პროკურატურას შეეძლო ამ ინფორმაციის გარეშეც. მეტიც, ღონისძიებები და ხერხები, რომლებიც გამოიყენა პროკურატურამ, არ ითვალისწინებდა მომჩივანთათვის არც წინასწარ შეტყობინებას და არც გაპროტესტების საშუალებას. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ამ საქმეში შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები, რათა დაეცვათ ბალანსი ერთი მხრივ, მომჩივანთა პირადი ცხოვრების პატივისცემასა და მეორე მხრივ, პროკურატურის მიზანს შორის, უზრუნველეყო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.

1.1.2. მესამე პირთა ინტერესი

ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები ერთნაირად მოითხოვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას, მათ შორის, გონივრული, თანაზომიერი და პროპორციული ბალანსის დაცვას.[49] ამ მიზნით კანონმდებელი მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.[50] მაგ., საქართველოს კანონმდებლობით,[51] „აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული, რომლისთვისაც ცნობილია საკუთარი აივ-დადებითი სტატუსი, ვალდებულია დადგენილი წესით აცნობოს მეუღლეს/სქესობრივ პარტნიორს აივ ინფიცირების შესახებ.“ ამ წესით, პაციენტის პირად ცხოვრებაში ჩარევა და მისი დავალდებულება, შეატყობინოს პირადი ცხოვრების დეტალები მეუღლეს/პარტნიორს, გამართლებულია მესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზნით. შესაბამისად, ექიმმა ყველა ზომას უნდა მიმართოს და დაარწმუნოს პაციენტი, თავად აცნობოს ინფიცირების შესახებ მეუღლეს/პარტნიორს თუმცა, როცა პაციენტი უარს ამბობს მათთვის შეტყობინებაზე, მაშინ

---

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/2/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 26.23.2007.

50 საქართველოს კანონით „პაციენტის უფლებების შესახებ“ (28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი),

51 „აივ ინფექციის/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

სამედიცინო დაწესებულება, თუ მისთვის ცნობილია პაციენტის მეუღლის/სქესობრივი პარტნიორის ვინაობა, თავად უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას.[52]

მორალურად და სამართლებრივად რთული, საკამათო საკითხია, ექიმმა უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა თუ მესამე პირთა დაცვის მიზნით გაუმხილოს პაციენტის გენეტიკური ტესტირების შედეგები რისკის ქვეშ მყოფ ნათესავებს, რათა მათ დროული, პროფილაქტიკური შემოწმებითა თუ მკურნალობით შეძლონ მძიმე შედეგების პრევენცია.[53] ეს გადაწყვეტილება პაციენტმა უნდა მიიღოს თავად, მისი მორალური ვალდებულებაა სხვაზე ზრუნვა. ექიმს სამართლებრივად არ შეიძლება დაეკისროს შეტყობინების/გაფრთხილების მოვალეობა. სამედიცინო ეთიკაში გამოხატული მოსაზრებებით, რისკის ქვეშ მყოფი ნათესავებისათვის შეტყობინება ექიმის ეთიკურ ვალდებულებად შეიძლება იქნას მიჩნეული[54] თუმცა, თუ ეთიკის წესებზე მითითებითა და სხვაზე ზრუნვის მოტივით ექიმი პაციენტის კონფიდენციალურობას დაარღვევს, საკამათოა, რამდენად გადაწონის სხვათა ინტერესი პაციენტის პირად ცხოვრებაში ჩარევას, რამდენადაც საფრთხე ჰიპოთეტურია, უშუალოდ პაციენტისაგან არ მომდინარეობს და მისი პასუხისმგებლობის სფეროს არ განეკუთვნება. ამ შემთხვევაში, სარგებლის მოტანის პრინციპი ვერ გადაწონის „არ ავნო“ და ავტონომიის პრინციპებს, რაც აშკარად სახეზე იქნება, თუ პაციენტი ნათესავებისთვის ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგია, მხოლოდ ლეგიტიმური მიზანი – სხვათა ინტერესის დაცვა, გამართლებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევის პროპორციული ზომით. კონფიდენციალურობა შეიძლება დაირღვეს და ნათესავებს მიეწოდოთ ინფორმაცია გენეტიკური რისკის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ექიმის ყველა მცდელობა პაციენტის მხრიდან ნებაყოფლობით ინფორმაციის გამჟღავნებაზე უშედეგოა, მაღალია ნათესავისათვის ფატალური ზიანის დადგომის რისკი, ინფორმაციის გამჟღავნება რეალურად მოახდენს ზიანის პრევენციას, ინფორმაცია იქნება შეზღუდული – აუცილებელი მხოლოდ დიაგნოსტიკისა ან მკურნალობისათვის და არ არსებობს სხვა გონივრული საშუალება ზიანის თავიდან ასარიდებლად.[55]

ექიმის მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვა საკამათოა, როცა პაციენტი ექიმთან მესამე პირის მიმართ საფრთხის შემცველ სურვილს ან მიზანს გამოხატავს, რამდენადაც,

---

52 ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი. ეს ვალდებულება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების მოდიფიცირებული ვერსიაა, იხ.: World Health Organization, Guidelines on HIV self-testing and partner notification: supplement to consolidated guidelines on HIV testing services, 2016, იხ.: https://iris.who.int/bitstream/handle/10665/251655/9789241549868-eng.pdf?sequence=1&isAllowed=y (ინგ.).

53 უფრო ვრცლად, იხ.: Michael P., Lucassen A., "Genetic Information: A Joint Account?", British Medical Journal, 329, 2004, (7458):165-7.

54 Elger B., Michaud K., Mangin P., When Information Can Save Lives: The Duty to Warn Relatives about Sudden Cardiac Death and Environmental Risks, Hastings Center Report 40, May–June 2010: 39–45.

55 Andrews L. B., et al., eds., (For the Committee on Assessing Genetic Risks, Institute of Medicine), Assessing Genetic Risks: Implications for Health and Social Policy, Washington, DC: National Academies Press, 278, 1994, 264-73.

თუ წინა მაგალითში კონკრეტული პირის კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეა, ამ შემთხვევაში, მესამე პირთა დაცვის ინტერესის გარდა, საპირისპირო საჯარო ინტერესიც იკვეთება. კერძოდ, თუ პაციენტს, ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ესაჭიროება დახმარება, იგი ამას აცნობიერებს, შეგნებულად მიდის სამკურნალოდ და ექიმის მიმართ ნდობის საფუძველზე გამოხატავს ჩანაფიქრს, რომელიც შესაძლოა არც აღასრულოს, მაგრამ აღმოაჩენს, რომ მისი საიდუმლო ექიმმა გაამხილა, უკეთეს შემთხვევაში ეცდება შეცვალოს ფაქტები თავის სასარგებლოდ, უარეს შემთხვევაში კი, საერთოდ შეწყვიტოს მკურნალობა.[56] ნდობის დაკარგვის გამო ძალადობისკენ მიდრეკილი ადამიანის მკურნალობაზე უარი კი, უდავოდ იმოქმედებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, ამიტომ კონფიდენციალურობის დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ პაციენტი რეალურ, აშკარა საფრთხეს ქმნის იდენტიფიცირებული ან გონივრულად იდენტიფიცირებადი მსხვერპლისათვის, თუ მოსალოდნელია და არა სავარაუდო, რომ ზიანი/შედეგი იქნება მძიმე, ხოლო კონფიდენციალურობის დარღვევა წარმოადგენს ამ მძიმე შედეგის თავიდან არიდების უკიდურეს საშუალებას. ამგვარ შემთხვევებში, რისკისა და სარგებლის შეპირისპირება საკმაოდ რთულია და ინდივიდუალური შემთხვევის გათვალისწინებით მოითხოვს შეფასებას.

ამ თვალსაზრისით, პრეცედენტულია კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – Tarasoff v. Regents of the University of California,[57] რომლითაც საერთო სამართლის ქვეყნებში დადგინდა კონფიდენციალურობის დაცვის ფარგლები: პაციენტმა თერაპევტს გაუმხილა, რომ სურდა ქალის მოკვლა. ექიმი უშედეგოდ ეცადა გადაეფიქრებინა მისთვის ჩანაფიქრის აღსრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექიმმა შეატყობინა პოლიციას, მაგრამ არა გამიზნულ მსხვერპლს. სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა ექიმის პასუხისმგებლობა და განმარტა, რომ თერაპევტს ჰქონდა მესამე პირთა სერიოზული ძალადობრივი საფრთხის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად, ეკისრებოდა მათი გაფრთხილების ვალდებულება და პოტენციურ მსხვერპლთა დაცვის მიზანი ამართლებდა კონფიდენციალურობის დარღვევას, ხოლო განსხვავებული აზრით, პაციენტის კონფიდენციალურობის დაცვა ექიმისათვის იყო უპირატესი ვალდებულება, რამდენადაც საექიმო საიდუმლოს გამჟღავნებით ექიმსა და პაციენტს შორის დაზიანდებოდა ფიდუციური ურთიერთობა – პაციენტები დაკარგავდნენ ნდობას, ფსიქოთერაპიის დროს დამალავდნენ ინფორმაციას, რაც მათ ეფექტიან მკურნალობაზე უარყოფითად აისახებოდა. შესაბამისად, კონფიდენციალურობის დაცვის კანონისმიერი მოვალეობა გამორიცხავდა ექიმის პასუხისმგებლობას.

---

[56] Kottow M. H., Medical confidentiality: an intransigent and absolute obligation, Journal of Medical Ethics, 12, 1986, 117–122.

[57] Tarasoff v. Regents of the University of California, S.F. No. 23042. Supreme Court of California. July 1, 1976. https://law.justia.com/cases/california/supreme-court/3d/17/425.html (ინგ.).

მსგავს პრეცედენტულ საქმეზე – Jablonski by Pahls v. United States, ექიმის პასუხისმგებლობა დადგა იმ საფუძვლით, რომ მან ვერ უზრუნველყო გაფრთხილების ვალდებულება მაშინ, როცა პაციენტის სამედიცინო ისტორიაში მითითებული იყო მსხვერპლის მიმართ პაციენტის ძალადობრივი ქცევის ეპიზოდების შესახებ.[58]

ევროპის ქვეყნების სამართალშიც მესამე პირთა დაცვის მიზნით კონფიდენციალობის დარღვევა გამართლებულია განსაკუთრებულ მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებით. მაგალითად, გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ექიმი უფლებამოსილია შეატყობინოს შესაბამის სამსახურს პაციენტის დიაგნოზი, რაც მართვის მოწმობის გაუქმების საფუძველია, თუ პაციენტი საფრთხეში აგდებს თავს ან სხვა პირებს.[59]

გაფრთხილებისა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებებს შორის კოლიზიის თაობაზე დებატები აქტუალური გახდა[60] 2015 წელს დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, როცა გერმანული ავიალაინერი ალპებში ჩამოვარდა და ბორტზე მყოფი 150 ადამიანი დაიღუპა. გამოძიებით დადგინდა, რომ პილოტმა, რომელიც დეპრესიით იტანჯებოდა, განზრახ გამოიწვია ავიაკატასტროფა. გაირკვა, რომ პილოტი გარკვეული პერიოდი მენტალური პრობლემის გამო ჰოსპიტალიზებული იყო და მკურნალობის მიუხედავად, ორი ექიმის შეფასებით, არ იყო შესაფერისი ფრენისათვის თუმცა, ექიმებს ამის შესახებ დამსაქმებელი ავიაკომპანიისათვის არ შეუტყობინებიათ. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს,[61] რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სუიციდის ჩადენის შანსი დაბალი იყო, შედეგების სიმძიმისა და საზოგადოებრივი მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, ექიმებს უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია დამსაქმებლისათვის.[62]

ინფორმაციის გამჟღავნების გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალური სიფრთხილითა და გონივრულად, შესაძლო სარგებლისა და რისკის შეფასებით, მხოლოდ დამაჯერებელი და მყისიერი საფრთხის არსებობისას, ამავდროულად ყველა თანმდევი შედეგის მხედველობაში მიღებით, ინტერესთა მაქსიმალურად ბალანსირებით, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს პროფესიონალების მიერ, რისკის შეფასების/მენეჯმენტისა და ზრუნვის ვალდებულების ცოდნის საფუძველზე.[63]

---

58 Jablonski by Pahls v. United States, 1983, იხ.:https://casetext.com/case/jablonski-by-pahls-v-united-states (ინგ.).

59 BGH. 08.10.1968, NJW. მითითებულია: Giesen D., International Medical Malpractice Law, A Comparative Law Study of Civil Liability Arising from Medical Care, 1988, 406.

60 Beauchamp T., Chaildress J.F., Principles of Biomedical Ethics, 8th ed. 2020, 243; Soubrier J.P. Self-Crash Murder–Suicide: Psychological Autopsy Essay and Questions about the Germanwings Crash, Crisis: The Journal of Crisis Intervention and Suicide Prevention 37, no. 6, 2016, 399-401; Vitelli, R., After the Germanwings Crash: Why Did Andreas Lubitz Crash Flight 9525?, Psychology Today, 16, 2017.

61 Zwitter M., Medical Ethics in Clinical Practice, 2019, 39.

62 აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის შემდეგ გამკაცრდა საჰაერო ოპერატორებისთვის პილოტთა ჯანმრთელობაზე მონიტორინგის სისტემა. უფრო ვრცლად რეგულაციები იხ.: EASA strengthens medical requirements for pilots|EASA (europa.eu); ასევე, Pilot mental fitness: EASA puts forward new rules for air operations|EASA (europa.eu).

63 Rogers J. E., Neumann C. L., Myers W. C., Commentary: Bringing Order to Chaos – How Psychiatrists Know the Standard of Care, The Journal of American Academy of Psychiatry and the law, 43 (4), 2015, 451-455, https://jaapl.org/content/jaapl/43/4/451.full.pdf (ინგ.).

3. პირადი მონაცემების დაცვა პაციენტის გარდაცვალების შემდეგ

საექიმო საიდუმლო დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ პაციენტის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც. ეს წესი აღიარებულია პროფესიული ეთიკური სტანდარტითა[64] და კანონმდებლობით. „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლით, სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. ასევე, „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლი ადგენს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა არა მხოლოდ საექიმო საქმიანობის განხორციელებისას, არამედ მისი შეწყვეტის შემდეგაც როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ, ხოლო „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მიხედვით, მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ შთამომავლების უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ ჯანმრთელობისათვის შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციაზე.

აღსანიშნავია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის ახალი დანაწესი: მე-8 მუხლი ითვალისწინებს გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. კერძოდ, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული ზოგადი საფუძვლებისა (მე-5, მე-6 მუხლები), „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს აკრძალული არ არის გარდაცვლილი პირის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა წინასწარ წერილობით აკრძალა გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება. ასევე, თუ გასულია მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან 30 წელი ან მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად.

მაშასადამე, ახალი კანონით, რომელიც ამავდროულად სპეციალურია, ხაზი გაესვა პაციენტის წინასწარ გამოხატული ნების პატივისცემას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმის

---

[64] WMA, Declaration of Geneva, იხ.: https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-geneva (ინგ.).

ამოქმედებამდეც, ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პაციენტის ნებას წარმომადგენლის ნებასთან კოლიზიისას უპირატესობა უნდა მინიჭებოდა, თუ მას სხვა ლეგიტიმური მიზანი არ გადაწონიდა. მნიშვნელოვანია, რომ ავტონომიის ეს გამოვლინება საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა. შესაბამისად, თუ პაციენტს სიცოცხლეში არ გამოუხატავს ნება/მითითება ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ასეთის აკრძალვაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სხვადასხვა გარემოება: ინფორმაციის გაცემა იქნება სარგებლის მომტანი პაციენტის ოჯახისათვის, თუ პირიქით, გამოიწვევს სტრესსა და ტკივილს; პაციენტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება შეეხება თუ არა სხვა პირის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასაც, არის თუ არა ინფორმაცია უკვე გასაჯაროებული თუ ჯერ კიდევ, კონფიდენციალურია და რა მიზანს ემსახურება ინფორმაციის გამჟღავნება.

აღნიშნულ გარემოებებზე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ.[65] 1996 წლის 17 იანვარს, დაახლოებით 10 დღის შემდეგ, პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის[66] გარდაცვალებიდან, ფრანგულმა გამომცემლობამ „პლონი" გამოსცა წიგნი სახელწოდებით „დიდი საიდუმლო, სადაც პრეზიდენტის ყოფილი პირადი ექიმი გიუბლერი საზოგადოებას მოუთხრობდა მასსა და პრეზიდენტს შორის არსებულ ურთიერთობაზე. წიგნში აღწერილი იყო ის სირთულეები, რაც უკავშირდებოდა პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ნამდვილი ინფორმაციის საზოგადოებისთვის დამალვას, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ თავად პრეზიდენტის განკარგულებით ყოველ ექვს თვეში ერთხელ იბეჭდებოდა ბიულეტენი, რომელიც შეიცავდა არსებითად მცდარ ინფორმაციას პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

წიგნის გამოქვეყნების დღესვე, პრეზიდენტის ქვრივმა და შვილებმა დაჩქარებული წესით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს წიგნის გამოცემისა და მისი შემდგომი გავრცელების აკრძალვა. მათი მოსაზრებით, წიგნის საზოგადოებაში გავრცელება არღვევდა გარდაცვლილის პირად სივრცეს, რამდენადაც იგი შეიცავდა სამედიცინო (საექიმო) საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას. მეორე დღესვე, სასამართლომ გამოსცა დროებითი ამკრძალავი ბრძანება წიგნის შემდგომი გავრცელების შეწყვეტის შესახებ, ხოლო მოგვიანებით, პარიზის ტრიბუნალმა ექიმი გიუბლერი დამნაშავედ ცნო პროფესიული საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევისთვის. სასამართლომ განმარტა, რომ წიგნი შეიცავდა ინფორმაციას, რომლის გახმაურება დაუშვებელი იყო, ვინაიდან ექიმის პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, აზრის გამოხატვის

---

65 ECHR, Plon (Societe) v. France, No. 58148/00, 18.05.2004.

66 ფრანსუა მორის მიტერანი - ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ანდორის კო-პრინცი 1981-1995 წლებში.

თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე სხვა პირთა უფლებებს შეეხება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა წიგნის შემდგომი გამოცემის აკრძალვა, რაც გასაჩივრდა ევროპულ სასამართლოში. საჩივარში გამომცემლობა უთითებდა, რომ წიგნის შემდგომი გამოცემისა და გავრცელების აკრძალვით დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვან საფუძველს. ასევე, საზოგადოებრივი პროგრესისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმგვარი „ინფორმაციის" ან „იდეების" მიმართ, რომლებიც არაა შეურაცხმყოფელი, არამედ იმგვარი ინფორმაციის მიმართაც, რომელიც შეურაცხმყოფელი ან შოკისმომგვრელია კონკრეტული პიროვნების/პიროვნებების მიმართ. ასეთია პლურალიზმისა და ტოლერანტობის მოთხოვნები, რომლის გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება."

მიუხედავად ამისა, გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლის შეზღუდვებს, რომლებიც უნდა განიმარტოს მკაცრად, ხოლო ყოველგვარი შეზღუდვის საჭიროება უნდა დადგინდეს დამაჯერებლად. მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივან კომპანიას თავდაპირველად დროებით, ხოლო მოგვიანებით მუდმივად აუკრძალეს წიგნის შემდგომი გავრცელება. წიგნში გადმოცემული იყო მიტერანის ავადმყოფობის პროგრესირების ისტორია, სიმპტომები, სამედიცინო შემოწმების შედეგები და სიხშირე, სამკურნალო პროტოკოლის აღწერა მედიკამენტების მითითებით, მკურნალობის გვერდითი მოვლენები, ექიმისა და პრეზიდენტის პირადი საუბრები, პრეზიდენტის ოჯახური ცხოვრების დეტალები და სხვ.

სასამართლოს შეფასებით, წიგნი გამოიცა საფრანგეთში ფართომასშტაბიანი დებატების კონტექსტში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ფონზე. კერძოდ, საზოგადოებას ჰქონდა უფლება სცოდნოდა სახელმწიფო მეთაურის ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების შესახებ. მეტიც, პოლიტიკური ცხოვრების გამჭვირვალობის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც თითქმის 10 წლის შემდგომ გავრცელდა ინფორმაცია პრეზიდენტის ავადმყოფობის შესახებ. რამდენადაც, მეორე მხრივ, პრესის თავისუფლებასაც ემუქრებოდა საფრთხე, ეროვნულ სასამართლოებს უნდა გადაეწყვიტათ არსებობდა თუ არა მომჩივანი კომპანიის წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღებისთვის „მწვავე სოციალური საჭიროება," რაც უნდა შეეფასებინა ევროპულ სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ განსხვავებულად შეაფასა წიგნის გავრცელების აკრძალვის შესახებ დროებითი და საბოლოო ღონისძიებები. ევროპული სასა-

მართლოს შეფასებით, დროებითი აკრძალვა გამართლებული იყო, რადგან წიგნი გამოიცა პრეზიდენტ მიტერანის გარდაცვალებიდან 11 დღეში, როდესაც ჯერ კიდევ, ძლიერი იყო განცდები, ზოგადად, საზოგადოებასა და პოლიტიკურ მოღვაწეებში. წიგნში გადმოცემული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად პრეზიდენტ მიტერანის რეპუტაციისადმი მიყენებული ზიანი ძალიან სერიოზული იყო, ხოლო მისი გავრცელება ასეთი მცირე ხნის შემდგომ მხოლოდ გააძლიერებდა მისი ოჯახის მწუხარებას. ოჯახმაც სწორედ გლოვის კონტექსტს დაუკავშირა წიგნის გავრცელების შეწყვეტის თავდაპირველი მოთხოვნა. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე არ შედის სამართლებრივ განხილვაში და დროებითი ღონისძიების გამოყენებისას, ხელმძღვანელობს „prima facie ill-founded" სტანდარტით, რაც გულისხმობს, ერთი შეხედვით, კანონის დარღვევის არსებობას, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ საქმის არსებითი განხილვის შედეგიც იგივე იქნება.

რაც შეეხება 1996 წლის ოქტომბერში სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას წიგნის შემდგომი პუბლიკაციის მუდმივი აკრძალვის შესახებ, ევროპული სასამართლოს შეფასებით, იგი აღარ ემყარებოდა „მწვავე სოციალური საჭიროების" სტანდარტს. მოცემული გადაწყვეტილება მიღებული იყო პრეზიდენტ მიტერანის გარდაცვალებიდან ცხრა-ნახევარი თვის შემდგომ. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების კონტექსტი იყო სრულიად განსხვავებული იმ კონტექსტისგან, როდესაც სასამართლომ პრეზიდენტის ოჯახის სასწრაფო მიმართვის საფუძველზე დროებითი აკრძალვის გადაწყვეტილება გამოიტანა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა პრეზიდენტის გარდაცვალებიდან, მით უფრო მცირდებოდა ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობა.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამ დროისთვის საზოგადოებრივი ინტერესი, ემსჯელათ პრეზიდენტ მიტერანის ორი ვადით ყოფნის ისტორიის საკითხებზე, უკვე აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით საექიმო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას. რაკი პრეზიდენტის პირადმა ექიმმა საიდუმლოება გათქვა, პრეზიდენტის სიკვდილის შემდგომ გასული დროის ხანგრძლივობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ისეთი სერიოზული ჩარევის ღონისძიების აუცილებლობის შეფასებისას, როგორსაც წიგნის მთლიანი და საბოლოო აკრძალვა წარმოადგენდა. უფრო მეტიც, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ბოლო ღონისძიების მომენტისთვის წიგნის 40 000 ეგზემპლარი უკვე გაყიდული იყო, ასევე, წიგნი გავრცელებული იყო ინტერნეტშიც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აქტიურად მიმდინარეობდა მისი განხილვა. ამდენად, წიგნში გადმოცემული ინფორმაცია აღარ იყო კონფიდენციალური. შესაბამისად, საექიმო საიდუმლოების დაცვა ვეღარ იქნებოდა აზრის გამოხატვის თავისუფ-

ლების გადამწონი ფაქტორი. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ 1996 წლის ოქტომბრის შემდეგ წიგნის პუბლიკაციის აკრძალვის მოქმედების გაგრძელება აღარ იყო განპირობებული „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით" და რომ წიგნის მთლიანი და საბოლოო აკრძალვა არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ პრაქტიკაში გარდაცვლილი პაციენტის კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებით, სამართალდარღვევა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა.[67] კერძოდ, ერთ-ერთი საავადმყოფოს დირექტორმა ტელეკომპანიისათვის მიცემულ სატელეფონო კომენტარში გაამჟღავნა ინფორმაცია განმცხადებლის გარდაცვლილი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (თანდაყოლილი დაავადებების, ჩატარებული სამედიცინო პროცედურების შესახებ და ა. შ.). განმცხადებლის განმარტებით, საავადმყოფოს დირექტორის მიერ ჩამოთვლილი და საჯაროდ გახმაურებული ჯანმრთელობის პრობლემები მის გარდაცვლილ არასრულწლოვან შვილს დაძლეული ჰქონდა კომენტარის გაკეთებამდე წელიწადნახევრით ადრე და სრულად იყო რეაბილიტირებული. ამდენად, დასახელებულ ოპერაციებსა და ჯანმრთელობის სხვა თანდაყოლილ პრობლემებს კავშირი არ ჰქონდა განმცახდებლის შვილის მდგომარეობასა და მის გარდაცვალებასთან.

კლინიკის არგუმენტით, სატელეფონო კომენტარი ემსახურებოდა საავადმყოფოს ინტერესების დაცვას, რადგან ბავშვის მშობლებისა და ოჯახის წევრების მხრიდან მედიასაშუალებებით გადაიცემოდა არაზუსტი ინფორმაცია. პაციენტს კი, დაბადებიდან ჰქონდა მრავალი თანმხლები დაავადება, რომლებმაც ერთობლიობაში გამოიწვია შემდგომში არასრულწოვნის გარდაცვალება. ამდენად, კომენტარის მიზანი იყო საავადმყოფოს რეპუტაციის დაცვა და საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება. ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ საავადმყოფოს არ ჰქონდა ამ მოცულობის მონაცემების გამჟღავნების საჭიროება, რა მოცულობითაც ეს საავადმყოფოს დირექტორის სატელეფონო კომენტარში განხორციელდა. ვერც საავადმყოფომ დაასაბუთა, რატომ იყო საჭირო დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება და ზოგადი მითითება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე რატომ არ იქნებოდა საკმარისი საავადმყოფოს მიერ დასახელებული მიზნის მისაღწევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჯაროებული მონაცემები არ იქნა მიჩნეული ადეკვატურად და პროპორციულად, რის გამოც საავადმყოფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევისათვის.

მაშასადამე, პირის გარდაცვალების შემდეგ, სამედიცინო საიდუმლოს, პაციენტის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება შეიძლება გადაწონოს საჯარო ინტერესმა, რაც

[67] ნახეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 42.

შეფასების საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ინტერესთა დაბალანსებით, უფლებაში ჩარევის დადგენილი ტესტის შესაბამისად.

4. უფლების დაცვის საშუალებები

5.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის მიმართვა

მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობები უნდა ითვალისწინებდეს დაცვის სათანადო საშუალებებს ასევე, სანქციებს მონაცემთა დაცვის უფლების დარღვევის წინააღმდეგ.[68] კონვენციის მოთხოვნის კვალდაკვალ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონი ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილებას, განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიება დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში (52-ე მუხლი). ამ წესების დარღვევისათვის ასევე, დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[69] შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის შეუძლია მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისათვის მწირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის პაციენტების მხრიდან მიმართვის პრაქტიკა, უფლების დაცვის ეს მექანიზმი თანდათან აქტუალური ხდება.

მაგალითისთვის, ინსპექტორმა გამოავლინა სამართალდარღვევა საქმეზე,[70] სადაც განმცხადებლისთვის განქორწინებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის ფარგლებში ცნობილი გახდა, რომ სამედიცინო დაწესებულებამ გასცა ყოფილი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, ჯვრისწერის მოწმობის წარდგენის შემდეგ, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. ინსპექტორმა დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მონაცემთა სუბიექტის არც წერილობითი თანხმობა და არც მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. შესაბამისად, დადგინდა მონაცემთა გამჟღავნების უკანონო ფაქტი და სამედიცინო დაწესებულებას დაევალა პაციენტის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მესამე პირებისათვის გადაცემის სტანდარტული წესისა და პროცედურის წერილობითი შემუშავება აგრეთვე, მათი შესრულების მონიტორინგის შიდაორგანიზაციული მექანიზმების დანერგვა.

---

68 უფრო ვრცლად იხ.: მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, FRA, COE, ECHR. 2018, 268 და შემდეგი.

69 იხ.: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" მოქმედი კანონის VII თავი; ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონის X თავი.

70 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/329/2017 გადაწყვეტილება, 30.06.2017.

სხვა საქმეზე[71] განმცხადებელი უთითებდა, რომ ექიმმა, მისი უარის მიუხედავად, რინოპლასტიკის ოპერაციის სურათები განათავსა საკუთარი სოციალური ქსელის ანგარიშზე. ფოტოებზე თანდართულ ტექსტში კი, აღწერილი იყო პაციენტის სამედიცინო ჩვენება და ჩატარებული მანიპულაციები. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე პაციენტს თვალები დაფარული ჰქონდა, სახის სხვა მახასიათებლები მარტივად იძლეოდა მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ინსპექტორის გადაწყვეტილების მიხედვით, ადამიანები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი შეიძლება იყვნენ ჩატარებული პლასტიკური ოპერაციების, მათ შორის, რინოპლასტიკის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისათვის გამჟღავნების, მით უფრო, ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმის გასაჯაროებისადმი. ამასთან, ექიმის მიერ პაციენტის ფოტოზე მითითებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ მიემართებოდა პაციენტს, შესაბამისად, არ იყო ნამდვილი და ზუსტი. საქმის შესწავლით დადგინდა, რომ ამ ინფორმაციის სოციალურ ქსელში განთავსება ექიმს არ ჰქონდა მინიჭებული (დავალებული) სამედიცინო დაწესებულებისაგან, ამიტომ ის მოქმედებდა სამედიცინო კლინიკისაგან დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ, პასუხისმგებლობა მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევისა და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დამუშავებისათვის,[72] დაეკისრა ექიმს და არა კლინიკას, ამასთან, მასვე დაევალა ნაკლოვანების გამოსწორება.

5.2. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

კონფიდენციალურობისა და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის წესების დარღვევის შემთხვევაში, გარდა ინსპექტორისათვის მიმართვისა და ნაკლოვანებების გამოსწორების თუ ხელყოფის შეწყვეტის მოთხოვნისა, პაციენტს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ინტიმური ცხოვრების სფეროა და ივარაუდება, რომ კონფიდენციალურობის დარღვევა იწვევს მორალურ ზიანს.[73] მოთხოვნის დამფუძნებელი ძირითადი ნორმებია სამოქალაქო კოდექსის 413-ე და „პაციენტის უფლებების შესახებ" კანონის მე-10 მუხლები. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივა-

[71] იხ.: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021, 83.

[72] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის 44-ე და 45-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

[73] გელაშვილი ი., პაციენტისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, 4, 2020.

ლენტი არ გააჩნია, მაგრამ კომპენსაციის მიზანია პირადი ცხოვრების ხელყოფით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. ფულადი თანხის ოდენობა კი, განისაზღვრება ინფორმაციის სენსიტიურობის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების, ხელმყოფის ბრალეულობის ხარისხის, დამდგარი შედეგის სიმძიმის, მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს სასამართლომ გონივრული და სამართლიანი ოდენობით, როგორც ამას სამოქალაქო კოდექსი უთითებს და არა სიმბოლური მნიშვნელობით.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უსამართლო ოდენობა გახდა საფუძველი ევროპული სასამართლოსთვის, რომ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა დაედგინა საქმეებზე – Armonas v. Lithuania[74] და Biriuk v. Lithuania.[75] განმცხადებლები დავობდნენ, რომ ლიეტუვამ ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, ერთ-ერთმა მსხვილმა გაზეთმა გამოქვეყნა სტატია, სადაც მითითებული იყო მომჩივნების აივ-დადებით სტატუსზე. მართალია, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირადი ცხოვრების დარღვევის გამო ეროვნულმა სასამართლოებმა დააკმაყოფილეს, მაგრამ კომპენსაცია იყო მიზერული თუმცა, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის შესაბამისი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პერსონალური მონაცემების, კერძოდ, სამედიცინო ჩანაწერების დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. ჯანმრთელობის მდგომარეობის კონფიდენციალურობა განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან სამედიცინო მონაცემების, ამ შემთხვევაში აივ-დადებითი სტატუსის გამჟღავნებამ, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პიროვნების პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, დასაქმებისა და საზოგადოებრივ ინტეგრირებაზე. სასამართლომ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმას, რომ საგაზეთო სტატიის მიხედვით, მომჩივნის აივ-დადებითი სტატუსის ინფორმაციის წყარო იყო საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი, რაც აშკარად არღვევდა სამედიცინო საიდუმლოს დაცვის ვალდებულებას. მართალია, გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა თუმცა, სასამართლოს განმარტებით, გამოქვეყნების ძირითად მიზანს წარმოადგენდა გაზეთის გაყიდვის გაზრდა მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ხარჯზე და ეს იყო „პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენების მძიმე შემთხვევა," ხოლო ზიანის ანაზღაურებაზე დაწესებუ-

[74] ECHR, Armonas v. Lithuania, No. 36919/02, 25.11.2008.
[75] ECHR, Biriuk v. Lithuania, No. 23373/03, 25.11.2008.

ლი მკაცრი შეზღუდვები და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი არამატერიალური ზიანის მინიმალური ზღვარი უთითებდა, რომ ლიეტუვამ ვერ შეძლო საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულება განმცხადებლის პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად.

მაშასადამე, კონფიდენციალურობის დარღვევით პრეზუმირებულია მორალური ზიანის არსებობაც. პაციენტს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანი უნდა აუნაზღაურდეს გონივრული და სამართლიანი ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ რესტიტუცია შეუძლებელია, კომპენსაცია ემსახურება ხელყოფილი სიკეთით გამოწვეული მძიმე შედეგის შემსუბუქებას და ამგვარად, დაზარალებულის დაკმაყოფილების მიზანს, ამავდროულად ქონებრივი პასუხისმგებლობა ასრულებს უფლების დარღვევის პრევენციის ფუნქციასაც.

THE PATIENT'S RIGHT TO INFORMATIONAL INVIOLABILITY – CONFIDENTIALITY

IRMA GELASHVILI
Professor at the University of Georgia

The patient's right to confidentiality is included in the right to privacy guaranteed by Article 8 of the European Convention on Human Rights. Confidentiality is the informational inviolability of the patient and the possibility of control over the data. Naturally, what is confidential is inviolable. The area protected by this right is the inviolability of the patient's private life and the protection of personal health data – medical secrecy.

The obligation to protect medical secrecy dates back to antiquity and has a history as long as medicine itself.[1] It is older than common law or continental European law. However, its traditional content is being challenged, not only in the interest of public health[2] but as commentators point out, in practice this right of the patient is most often ignored and violated.

Disclosure of health-related information can have a significant and dramatic impact on a person's family and personal life, social status, or employment situation, so it is particularly important to have an effective mechanism to protect the right. It should be noted that in national practice, in particular in the experience of the Personal Data Protection Service, some cases indicate the appropriate response to the disclosure of health-related personal data, which, on the one hand, ensures the restoration of the right and, on the other hand, prevents the violation of privacy.

The paper summarises the practice of the European Court of Human Rights as well as national experiences. It will help to understand, protect, and enforce the patient's right to confidentiality.

1 Beauchamp T., Chaildress J.F., *Principles of Biomedical Ethics*, 8th ed. 2020, 249.

2 Maehle A., *Contesting Medical Confidentiality: Origins of the Debate in the United States, Britain, and Germany*, Chicago: University of Chicago Press, 2016; Rieder P, Louis-Courvoisier M., Huber P., "*The End of Medical Confidentiality? Patients, Physicians and the State in History,*" Medical Humanities 42 (2016): 149-54 .

საერთაშორისო აეროპორტებში გარემოსდაცვითი მართვის სისტემის თაობაზე

პრობლემები და პერსპექტივები

დავით გეფერიძე
საერთაშორისო სამართლის დოქტორი (თსუ),
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ალექსანდრე პატარაია
საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (თსუ)

შესავალი

დღესდღეობით, საკმაოდ აქტუალური პრობლემები არსებობს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით. არც თანამედროვე სამოქალაქო ავიაცია არ არის გამონაკლისი. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები საჰაერო ხომალდების გამოყენებით და სხვა დაკავშირებული საქმიანობები ნეგატიურ გავლენას ახდენენ გარემოზე, რასაც ქვემოთ განვიხილავთ. ამასთან, არა მხოლოდ უშუალოდ საჰაერო ხომალდები არის ამ დაბინძურების ერთადერთი წყარო სამოქალაქო ავიაციაში, აეროპორტებსაც საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ გარემოზე ამ ნეგატიურ გავლენაში. თუმცა, ყურადღება დიდად არ ეთმობა ხოლმე აეროპორტების მიერ გარემოს დაბინძურების პრევენციასა და კონტროლს, ყოველ შემთხ-

ვევაში, ისეთი ყურადღება, როგორიც უშუალოდ საჰაერო ხომალდების მიერ გამოყოფილი გამონაბოლქვის კონტროლს ეთმობა.

მოცემულის დამადასტურებელია თუნდაც, საქართველოს კანონმდებლობა. კერძოდ, საქართველოს საჰაერო კოდექსის 47-ე მუხლით:

„1. საქართველოს საჰაერო სივრცით სარგებლობის უფლება ეძლევა იმ სამოქალაქო საჰაერო ხომალდებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ხმაურისა და გარემოში ძრავის გამონაბოლქვის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს.

2. აეროდრომების მფლობელები, ექსპლუატანტები, საჰაერო ხომალდის ეკიპაჟი ვალდებული არიან დედამიწის ზედაპირზე და საჰაერო სივრცეში ხომალდების ექსპლუატირების დროს მინიმუმამდე შეამცირონ ხომალდის მიერ წარმოქმნილი ხმაური.

3. შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, აეროპორტის მფლობელებს მოსთხოვონ საჰაერო ხომალდის აფრენისა და დაფრენის ეტაპებზე მინიმალური სიმაღლისა და დღე-ღამის გარკვეულ მონაკვეთებში ფრენის შეზღუდვა და ფრენის მარშრუტის შეცვლა.

4. საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების ზებგერითი სიჩქარით ფრენა დაიშვება ისეთ სიმაღლეზე, რაც გამორიცხავს გარემოზე მის უარყოფით ზემოქმედებას. საქართველოს საჰაერო სივრცეში სამოქალაქო საჰაერო ხომალდების მიერ ბგერითი ზღუდის გადალახვა აკრძალულია.“

მოცემული დებულების გარდა, საქართველოს საჰაერო კოდექსში ფაქტობრივად არ მოიძებნება გარემოსდაცვითი ნორმა და აქაც აეროპორტებთან/აეროდრომებთან მიმართებით, უშუალოდ გამონაბოლქვებთან დაკავშირებით არ არის ნახსენები და ეს მუხლი მხოლოდ შემოიფარგლება ხმაურზე შეზღუდვით, რაც არ არის საკმარისი.

შესაბამისად, მოცემული დანაკლისიდან გამომდინარე, არის მნიშვნელოვანი, რომ გადაიხედოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა საქართველოში უშუალოდ აეროპორტებთან მიმართებით, რადგანაც ისინიც საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ დამაბინძურებელი გამონაბოლქვის გამოყოფაში. ამ ყოველივეს გასაანალიზებლად და პრაქტიკული რეკომენდაციებისათვის, მოცემულ სტატიაში განხილული იქნება კონკრეტულად აეროპორტის განმარტება, აეროპორტების მიერ წარმოქმნილი გარემოს დაბინძურება და ვისაუბრებთ გარემოსდაცვითი დაცვის სისტემის (EMS) შესახებ, რომელიც გვთავაზობს დამხმარე პრინციპებს აეროპორტების მმართველი ხელმძღვანელობისთვის, რათა გარემოს დაცვა ეფექტიანი გახდეს.

1. აეროპორტის ცნება

როდესაც აეროპორტის საერთაშორისოსამართლებრივ განმარტებაზე ვსაუბრობთ, როგორც კონკრეტული მნიშვნელოვანი ტერმინისა, აუცილებელია, საერთაშორისო ხელ-

შეკრულებებში მოხდეს მსგავსი განმარტების ძებნა.[1] შესაბამისად, საერთაშორისო საჰაერო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს – „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ" 1944 წლის ჩიკაგოს კონვენციას უნდა დავეყრდნოთ. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კონვენცია უშუალოდ არ იძლევა აეროპორტის განმარტებას, მისი მე-9 დანართი (რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა აეროპორტების მოწესრიგებასთან დაკავშირებით არსებულ საკითხებთან მიმართებით, საერთაშორისო საჰაერო სამართალში) წარმოგვიდგენს საერთაშორისო აეროპორტის განმარტებას.[2] კერძოდ, ამ დანართის მიხედვით, საერთაშორისო აეროპორტი ეს არის ნებისმიერი აეროპორტი, რომელიც დანიშნულია ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება, როგორც საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ჩამოსვლისა და გამგზავრების აეროპორტი, სადაც ტარდება ფორმალური შემოწმებები, როგორიცაა საბაჟო, იმიგრაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ცხოველებისა და მცენარეების კარანტინი და მსგავსი პროცედურები.[3]

შედარებით იშვიათია, რომ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში მოცემული იყოს უშუალოდ აეროპორტის განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ეს ტერმინი ყოველთვის გამოიყენება.[4] შესაბამისად, არ შეიძლება იმ შესაძლებლობის გაშვება ხელიდან, როდესაც ასეთი იშვიათი შემთხვევა ფიქსირდება, მით უმეტეს, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობაში და მისი არხსენება. კერძოდ, საქართველოს საჰაერო კოდექსის 1-ლი მუხლის „გ" ნაწილის შესაბამისად, აეროპორტი შემდეგნაირად განიმარტება – „საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო ხომალდების, მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის მიღებას, მომსახურებას, დამუშავებასა და გაშვებას და რომელსაც ამ მიზნით აქვს აეროდრომი, სამგზავრო ტერმინალი, სხვა მიწისზედა ნაგებობები, მოწყობილობები და ჰყავს შესაბამისი მომსახურე პერსონალი."[5] ხოლო „საერთაშორისო აეროპორტს" საჰაერო კოდექსი შემდეგნაირად განმარტავს – „აეროპორტი, რომელიც მომსახურებას უწევს საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს და რომელშიც უზრუნველყოფილია სასაზღვრო, სანიტარიულ-საკარანტინო და საბაჟო კონტროლი."[6] მოცემული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3

---

1 გამომდინარეობს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლში მოცემული წყაროების თანმიმდევრობიდან, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ მოცემული არ წარმოადგენს უშუალო იერარქიას წყაროებს შორის, არსებული თანმიმდევრობა მაინც უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოა, რომელიც აჩვენებს თუ რომელი სამართლებრივი წყაროები უნდა იყოს გამოყენებული თავდაპირველად.

2 Annex 9 to the Convention on International Civil Aviation (Chicago Convention of 1944) (Fifteenth Edition, October 2017), გვ. 1-3, https://www.icao.int/WACAF/Documents/Meetings/2018/FAL-IMPLEMENTATION/an09_cons.pdf [28.01.2024].

3 „Any airport designated by the Contracting State in whose territory it is situated as an airport of entry and departure for international air traffic, where the formalities incident to customs, immigration, public health, animal and plant quarantine and similar procedures are carried out."

4 გეფერიძე დ., საერთაშორისო საჰაერო სამართალი, 2021, გვ. 261.

5 საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხლი 1(გ).

6 საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხლი 1(ტ).

ნაწილის მიხედვით, აეროპორტს საქართველოში საერთაშორისო სტატუსს საქართველოს მთავრობა ანიჭებს.

ამასთან, აეროპორტი შეიძლება განიმარტოს ორნაირად, ორგვარად: ტექნიკური თვალსაზრისით – „საინჟინრო-ტექნიკური მოწყობილობების რთული კომპლექსი, რომელიც შეიცავს აეროდრომს, სამგზავრო ტერმინალს, რომელიც განკუთვნილია გაფრენამდე და გაფრენის შემდეგ მომსახურებისათვის, სატვირთო ტერმინალს, სამოსამსახურეო ტექნიკურ ტერიტორიას, აეროდრომის წინა ტერიტორიას და სხვა;"[7] ხოლო იურიდიული თვალსაზრისით – „ავიასაწარმო, რომელიც ახორციელებს მგზავრების, ხელბარგის, ტვირთების მიღებას და გაგზავნას და საჰაერო ხომალდების მომსახურებას."[8]

2. აეროპორტების ნეგატიური გავლენა გარემოზე

დედამიწის კლიმატზე ანთროპოგენური ნეგატიური ზემოქმედება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემაა, რომელსაც საავიაციო ინდუსტრია აწყდება.[9] თვითმფრინავების გამონაბოლქვმა, როგორც მიწის დონეზე, ასევე სიმაღლეზე, შეიძლება გამოიწვიოს მრავალი უარყოფითი გავლენა ჰაერის ხარისხზე, კლიმატსა და ოზონის შრეზე.[10]

მიწის დონეზე, სადაც მდებარეობს აეროპორტები, თვითმფრინავის ემისიების ერთ-ერთი უარყოფითი ეფექტი არის ჰაერის ხარისხის დეგრადაცია, რამაც შეიძლება პირდაპირ იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე.[11] გარემოსდაცვითი ანგარიშებისა და შემოწმებების მიხედვით, საჰაერო ხომალდის ძრავის გამონაბოლქვიდან NOx, HC, SOx და CO-მ შეიძლება გავლენა იქონიოს ჰაერის ხარისხზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.[12] მსგავსი

---

7 გეფერიძე დ., გვ. 261.

8 იქვე.

9 იხ.: Maha Mousavi Sameh and Juliana Scavuzzi, Environmental Sustainability Measures for Airports [Sameh and Scavuzzi] (Institute of Air and Space Law (IASL) at McGill University, Occasional Paper Series No. VII, 2016), გვ. 2, იხ.: https://www.mcgill.ca/iasl/files/iasl/vii_sustainability_and_environmental_protection_measures_for_airports_final.pdf [30.01.2024]. ასევე იხ. L.Q. Maurice. and D.S. Lee (eds.), Assessing Current Scientific Knowledge, Uncertainties and Gaps in Quantifying Climate Change, Noise and Air Quality Aviation Impacts, Final Report of the International Civil Aviation Organization (ICAO) Committee on Aviation and Environmental Protection (CAEP) Workshop [Assessing Climate Change, Noise and Air Quality Aviation Impacts] (Washington DC and Manchester: US Federal Aviation Administration and Manchester Metropolitan University, 2009), გვ. 25.

10 Sameh and Scavuzzi, გვ. 2.

11 იქვე. ასევე იხ.: Rae Andre, Take Back the Sky: Protecting Communities in the Path of Aviation Expansion (London: Sierra Club Books, University of California Press, 2004), გვ. 26; Assessing Climate Change, Noise and Air Quality Aviation Impacts, გვ. Iv.

12 იხ.: ICAO Environmental Report 2010: Aviation and Climate Change, The Environment Branch of ICAO in collaboration with FCM Communications Inc. (2010), გვ. 18, http://www.icao.int/environmental-protection/Documents/Publications/ENV_Report_2010.pdf [30.01.2024]. ასევე იხ.: Assessing Climate Change, Noise and Air Quality Aviation Impacts, გვ. 7.

ნეგატიური გავლენის მქონე გამონაბოლქვის წყაროები აეროპორტებში არ შემოისაზღვრება მხოლოდ საჰაერო ხომალდებით, არამედ სახმელეთო დამხმარე აღჭურვილობაც ამ მხრივ დიდ ნაწილს ასრულებს.[13] ეს ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინძურება აეროპორტის სახმელეთო მომსახურების მანქანებიდან, ისევე როგორც აეროპორტის ტერიტორიაზე მისასვლელი სისტემებიდან ასევე, დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენენ გარემოზე.[14]

დღესდღეობით, არსებობს გარემოსდაცვითი ლიმიტები და შეზღუდვები, რომლებიც დანერგილია აეროპორტებთან მიმართებაში, რათა შემცირდეს საავიაციო საქმიანობის მხრიდან ნეგატიური გავლენა გარემოზე.[15] ამ მიზნით, მარეგულირებელი ორგანოებისა და ხელისუფლებების მიერ განისაზღვრა გარემოსდაცვითი შესაძლებლობები, რომლებიც ზღუდავენ ადამიანებისა და ტვირთების საჰაერო მიმოსვლის რაოდენობას და შეიცავენ კონკრეტულ ლიმიტებს, რათა საავიაციო გამონაბოლქვისგან მიღებული გამონაბოლქვი განსაზღვრულ ზღვრებზე ქვემოთ იყოს. ასეთი გარემოსდაცვითი შესაძლებლობები გამოიხატება თითოეულ აეროპორტში ლიმიტებისა და კვოტების სახით.[16]

აეროპორტების ფუნქციონირების შედეგად გამოყოფილი დაბინძურებისა და ჰაერის ხარისხის პრობლემების გადასაჭრელად, შემოთავაზებულია სხვადასხვა გზები და მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება აეროპორტის მმართველი ხელისუფლების მიერ. ასეთი გზები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული დაფრენისა და აფრენის დროს თვითმფრინავების გამონაბოლქვის შესამცირებლად პროცედურებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, დამთავრებული სახმელეთო დამხმარე აღჭურვილობისა და ელექტროენერგიის გათბობისთვის საწვავის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით.[17]

3. გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS)

გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS) არის მართვის პრინციპების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ორგანიზაციის საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგსა და შემცირებას. ეს სისტემა გვთავაზობს მიმდინარე აქტივობების შეფასებისა და კონტროლისთვის სისტემატურ მიდგომას, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი რეგულაციების შესაბა-

13 Sameh and Scavuzzi, გვ. 2.

14 იქვე.

15 იქვე, გვ. 3.

16 იქვე. ასევე იხ. Milan Janić, Greening Airports: Advance Technology and Operations [Janic] (Delft, Netherland: Springer, 2011), გვ. 15, 60.

17 იხ.: Sameh and Scavuzzi, გვ. 3. ასევე, იხ.: Karen Thomas, Airports and the Environment - A sustainable Approach (Airports Council International, Celebrating 20 years_ 1991-2011), გვ. 103-104.

მისად.[18] მაგალითად, გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად უფლებამოსილმა ორგანომ წინასწარ უნდა დაგეგმოს და შექმნას კორპორატიული გარემოსდაცვითი პოლიტიკა და განახორციელოს სხვადასხვა ქმედებები, ხოლო EMS მიზნად ისახავს ამ მთელს პროცესში დახმარებას. EMS გვთავაზობს მრავალ განსხვავებულ და სასარგებლო ინსტრუმენტს ორგანიზაციათა საქმიანობაში, პროდუქტებსა და სერვისებში ჩართული იმ ელემენტების აღმოსაჩენად, აღსაქმელად და სამართავად, რომლებსაც აქვთ გარემოზე ზემოქმედების პოტენციალი.[19]

„გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS) უზრუნველყოფს მეთოდოლოგიასა და ჩარჩოს საავიაციო ორგანიზაციების ოპერაციების მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ასპექტების სისტემურად იდენტიფიცირებისა და ეკონომიურად მართვისთვის და დადასტურდა, რომ ის ეფექტიანია ორგანიზაციების ფართო სპექტრში, მათ შორის, აეროპორტებში, ავიაკომპანიებში, მწარმოებლებსა და სამთავრობო უწყებებში."[20]

EMS არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც მდგრადობის გეგმებთან, სერტიფიკატებთან (მაგალითად, Envision)[21] და სხვა პროცესებთან ერთად, ხელმისაწვდომია აეროპორტში გარემოსდაცვითი საკითხების მართვისთვის.[22]

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO) განსაზღვრავს EMS-ის იმ მართვის სისტემის ნაწილად, რომელიც გამოიყენება გარემოსდაცვითი ასპექტების მართვისთვის, შესაბამისობის ვალდებულებების შესასრულებლად და როგორც რისკების, ასევე შესაძლებლობების მიმართ საპასუხო ნაბიჯების გადასადგმელად.[23]

აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA) თანახმად, „გარემოს მართვის სისტემა (EMS) არის პროცესებისა და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას შეამციროს გარემოზე ზემოქმედება და გაზარდოს მისი მოქმედებითი ეფექტიანობა."[24]

კანადის სტანდარტების საბჭო (SCC) განმარტავს, რომ EMS-ის უნდა შეეძლოს გადაამოწმოს ორგანიზაციის ზემოქმედება გარემოზე და დაეხმაროს მას გარემოსდაცვითი მიზნების ჩამოყალიბებაში და შეაფასოს, რამდენად კარგად მიიღწევა ისინი.[25]

---

18 ICAO, An Environmental Management System for Airports – ECO Airport Toolkit [An Environmental Management System for Airports], გვ. 5, https://www.icao.int/environmental-protection/Documents/EMS_at_Airports.pdf [28.01.2024].

19 იქვე.

20 ICAO Doc. 9968: Report on Environmental Management System (EMS) Practices in the Aviation Sector, გვ. 1-2.

21 იხ.: https://sustainableinfrastructure.org/envision/ [28.01.2024].

22 An Environmental Management System for Airports, გვ. 5.

23 იხ.: ISO 14001:2015, გვ. 2, https://www.iso.org/obp/ui/#iso:std:iso:14001:ed-3:v1:en [28.01.2024].

24 იხ.: U.S. Environmental Protection Agency (EPA) website, https://www.epa.gov/ems [28.01.2024].

25 იხ.: The Standards Council of Canada (SCC) website, https://www.scc.ca/en/accreditation/management-systems/environmental [28.01.2024].

ეფექტიან EMS-ის უნდა შეეძლოს შექმნას ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც დაეხმარება ორგანიზაციას მისი გარემოზე ზემოქმედების დაგეგმვაში, განხორციელებაში, შერბილებასა და მართვაში, სისტემატური, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებითი გზით, რომელიც შეესაბამება მის გარემოსდაცვით პოლიტიკას. EMS-ის განხორციელების საერთო წარმატება ეყრდნობა ორგანიზაციის ყველა დონისა და ფუნქციის ჩართულობას.[26]

გარემოსდაცვითი მართვის სისტემის მთავარი პრინციპები

უმაღლესი ხელმძღვანელების მიერ თავის დავალდებულება – ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯმენტი ვალდებულია, როგორც მინიმუმ, EMS-ის დანერგვაზე. ეს უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებით, განხორციელებითა და შენარჩუნებით. კონკრეტულად იმ გზით, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვითი მიზნების განსაზღვრის ჩარჩოსა და უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის ამ გარემოსდაცვით მიზნებთან შესაბამისობას.[27] ამასთან, ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი დამატებითი ვალდებულებებიც: გარემოსდაცვითი პოლიტიკის განსახორციელებლად იმ პირობების წარმოდგენა, რომელიც მოიცავს საჭირო რესურსების უზრუნველყოფას, მხარდაჭერასა და შიდა კოორდინაციას, ანგარიშვალდებულება EMS-ის ეფექტურობაზე.[28]

დაგეგმვა – ორგანიზაცია, რომელიც იყენებს EMS-ის, უნდა დაადგინოს საჭირო პროცესები და პრაქტიკა გარემოსდაცვითი ასპექტებისა და შესაბამისი ვალდებულებების საპასუხოდ, იგი უნდა გაუმკლავდეს ასევე, გამოვლენილ რისკებსა და შესაძლებლობებს. რისკებისა და შესაძლებლობების საპასუხოდ აუცილებელია ორგანიზაციისა და მისი კონტექსტის, დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და მოლოდინების გაგება, ასევე EMS-ის მასშტაბის განსაზღვრა ყოვლისმომცველი დაგეგმვის პროცესის მეშვეობით.[29]

იმპლემენტაცია და მუშაობა – უნდა დადგინდეს საჭირო ოპერატიული პროცესების კრიტერიუმები და დაიგეგმოს საჭირო კონტროლი. ასევე, ორგანიზაციას შეუძლია სამუშაო პროცესებში გააკონტროლოს დაგეგმილი ცვლილებები ან გაუმჯობესებები და დარწმუნდეს, რომ გარედან რესურსების მოპოვების პროცესები ასევე, კონტროლდება. საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირებაც ასევე, შეიძლება იყოს ამ პროცესის ნაწილი.[30]

---

26 იხ.: ISO 14001:2015, გვ. vi.
27 An Environmental Management System for Airports, გვ. 7.
28 იხ.: ISO 14001:2015, გვ. 7-8.
29 იქვე, გვ. 6-9.
30 იქვე, გვ. 13-14.

შემოწმება – ორგანიზაციამ მუდმივად უნდა შეაფასოს თავისი გარემოსდაცვითი საქმიანობა მონიტორინგისა და ანალიზის გზით. ამ კუთხით საჭიროა კონკრეტული მეთოდოლოგიის, შესაბამისი კრიტერიუმებისა და შესაბამისი ინდიკატორების გამოყენება, რომლებიც წინასწარ უნდა განისაზღვროს. შიდა აუდიტი და მენეჯმენტის მიმოხილვები ასევე, შეიძლება იყოს განსაზღვრული შემოწმების პროცესების ნაწილი.[31]

ხელმძღვანელობის შეფასება – ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯმენტი პასუხისმგებელია განსაზღვრული ინტერვალებით EMS-ის შემოწმებაზე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი მუდმივი ვარგისიანობა, ადეკვატურობა და ეფექტიანობა. ეს მიმოხილვები უნდა მოიცავდეს წინა შემოწმების დროს განხილული მოქმედებების მიმდინარეობის ახლანდელ სტატუსს, მათ შორის, იმ ცვლილებებს, რომლებიც გასათვალისწინებელია – იმის განსაზღვრა, თუ რომელი გარემოსდაცვითი მიზნები იყო მიღწეული წინა განხილვის შემდეგ. ასევე, უნდა მოიცავდეს საერთო გარემოსდაცვითი მუშაობის ანალიზს, რესურსების ადეკვატურობასა და მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობას.[32]

მუდმივი გაუმჯობესება – მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით ორგანიზაციას შეუძლია განსაზღვროს დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების გაუმჯობესებისა და მიღწევის შესაძლებლობები. ეს პერსპექტივა უნდა მოიცავდეს შეცდომების იდენტიფიკაციასა და გამოსასწორებელი მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილებას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მუდმივი გაუმჯობესება.[33]

დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე (Plan, Do, Check, Act (PDCA)) პრინციპი არის უწყვეტი მიდგომა, რომელიც გამოიყენება როგორც ზოგადად, EMS-თან, ასევე მის თითოეულ ელემენტთან მიმართებით. ამ მხრივ, ეს არის ერთგვარი კომბინაცია ზემოთ ნახსენები ინდივიდუალური პრინციპებისა. კერძოდ, თითოეული მოცემული ნაბიჯი შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს:[34]

- დაგეგმე – გარემოსდაცვითი მიზნების წინასწარი ჩამოყალიბება, განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო პროცესებისა და პრაქტიკის დადგენასთან ერთად და ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად.
- გააკეთე – პროცესებისა და პრაქტიკის ნაკრების განხორციელება განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

---

31 იქვე, გვ. 14–15.
32 იქვე, გვ. 15–16.
33 იქვე, გვ. 16–17.
34 იქვე, გვ. vii.

- შეამოწმე – პროცესებისა და პრაქტიკის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრულ გარემოსდაცვით პოლიტიკასთან მიმართებით. ამ შეფასების შედეგები უნდა იყოს მოხსენებული ანგარიშის სახით.
- იმოქმედე – მუდმივი გაუმჯობესებისთვის მუდმივად ნაბიჯების გადადგმა.

აეროპორტებს შეუძლიათ განავითარონ მართვის პროცესი სხვადასხვა გზით. EMS ციკლის ეფექტიანი მაგალითი აღწერილია ISO 14001 სტანდარტში: ციკლი „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე." ზოგიერთმა აეროპორტმა შეიძლება ამჯობინოს კონსულტანტის დაქირავება EMS-ის შემუშავებაში დასახმარებლად, ზოგმა კი, შეიძლება თავად განავითაროს იგი. ნებისმიერ შემთხვევაში, იგივე ინფორმაციაა საჭირო. პროცესი იწყება შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:[35]

1. მკაფიო გარემოსდაცვითი პოლიტიკის განცხადება;
2. აეროპორტის გარემოს პირველადი შემოწმება;
3. პოტენციური ზემოქმედების შეფასება;
4. მიზნების შემუშავება ზემოქმედების მინიმიზაციისა და პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აეროპორტების მიერ გარემოზე ნეგატიური გავლენა არის საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მქონე და მას შესაბამისი ყურადღებაც უნდა ექცეოდეს. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოში ეს ასე არ არის და მეტი მონდომება და უშუალო მოქმედებები არის საჭირო არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტული წრეების ჩართვით, საკანონმდებლო დონეზე აუცილებელია სათანადო ცვლილებების განხორციელება, რომ არსებული გარემოსდაცვითი მოთხოვნილებები აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, პრაქტიკაში უნდა მოხდეს ზემოხსენებული სისტემის გამოყენებით, გარემოსდაცვითი კონკრეტული კონტროლის სისტემების დანერგვა, რაც გაცილებით შეამცირებს აეროპორტების მიერ გარემოზე უარყოფით გავლენას და კონტროლს დაუქვემდებარებს გამოყოფილ გამონაბოლქვს.

EMS აუმჯობესებს აეროპორტის შიდა მენეჯმენტის მუშაობას და ზრდის თანამშრომლების გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცოდნას და მათი პასუხისმგებლობების შესახებ აღქ-

[35] An Environmental Management System for Airports, გვ. 12.

მადობას. EMS-ის მქონე აეროპორტებმა შეამცირეს გარემოსდაცვითი ინციდენტების სიხშირე და სიმძიმე და გააუმჯობესეს არსებულ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა.[36]

გარდა ამისა, EMS პროცესი ხელს უწყობს ანგარიშგებასა და ვალდებულებებთან შესაბამისობას და აეროპორტს ეხმარება სათანადო გულმოდგინება გამოხატოს გარემოსდაცვითი საკითხების მართვასთან მიმართებით. EMS-ის მთავარი მნიშვნელობა არის ის, რომ იგი ეხმარება აეროპორტებს მათ გარემოსდაცვით მართვის პროგრამასა და შეფასების პრაქტიკაში ხარვეზების დადგენაში. EMS-ის შეუძლია აეროპორტის გარემოსდაცვითი პროგრამის სრულყოფილება და ეფექტიანობა შეაფასოს, რაც ერთობლიობაში გარემოსდაცვით რისკებს ამცირებს.

[36] Delaney, Elizabeth and Barbara Thomson, Environmental Management System Development Process: A Synthesis of Airport Practice (ACRP Synthesis 44, Transportation Research Board. U.S. National Academy of Sciences, 2013), გვ. 24.

REGARDING ENVIRONMENTAL MANAGEMENT SYSTEM IN INTERNATIONAL AIRPORTS – PROBLEMS AND PERSPECTIVES

DAVIT GEPERIDZE
PhD in International Law (Tbilisi State University)
Professor at Gori State University

ALEKSANDRE PATARAIA
Master in International Law (Tbilisi State University)

Today there are quite urgent problems related to environmental issues. Modern civil aviation is no exception. International air transport and other related activities harm the environment, which is also discussed below. With that said, not only are aircraft directly the only source of this pollution in civil aviation, but airports also play a significant role in this negative impact on the environment. However, not much attention is paid to the prevention and control of environmental pollution by airports, at least not as much attention as the control of emissions emitted directly by aircraft.

Apart from this provision, the Air Code of Georgia does not contain an environmental norm, and even here, emissions are not mentioned directly concerning airports/airfields, and this article is only limited to noise restrictions, which is not enough.

Therefore, based on this shortfall, it is important to revise the environmental legislation in Georgia directly about airports, because they also play a large role in the emission of polluting emissions. To analyze all this and make practical recommendations, this article will discuss specifically the definition of an airport, the environmental pollution generated by airports, and directly talk about the Environmental Management System (EMS), which offers helpful principles for airport management to make environmental protection effective.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

გიორგი ჯუღელი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი

შესავალი

შეკრების თავისუფლება, როგორც აზრის გავრცელების საშუალება, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნდამენტს ქმნის. შესაბამისად, აღნიშნული უფლება შინაარსობრივად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარანტირებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საერთაშორისო ინ-სტრუმენტებში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით. მშვიდობიანი შეკრების უფლება ფუნდამეტური შესაძლებლობაა, ინდივიდებმა, მიუხედავად მათი სტატუსისა, გამოხატონ გრძნობები, შეხედულებები და პროტესტი სხვადასხვა საკითხის მიმართ, გააკრიტიკონ სა-ზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები, წარადგინონ

ალტერნატიული ან/და არაპოპულარული მოსაზრებები და მოახდინონ უმცირესობათა, თუ მარგინალიზებული ჯგუფების ინტერესების ადვოკატირება. ამდენად, შეკრება ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, ცნობიერების ამაღლების, ცვლილებებისა თუ რეფორმების პროცესს და წარმოადგენს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საშუალებას.[1]

შეკრების თავისუფლების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებას და ამავდროულად, აქტუალურ გამოწვევასაც წარმოადგენს, ვინაიდან მისი პრაქტიკული რეალიზება ხშირ შემთხვევაში, თანაკვეთაში მოდის სხვა უფლებებთან, რის გამოც შესაძლოა, წარმოიშვას შეკრების თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლება. შესაბამისად, წინამდებარე სტატიის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სტრასბურგის სასამართლოს უახლეს პრაქტიკაზე დაყრდნობით, მოკლედ იქნება წარმოდგენილი საერთაშორისო სტანდარტები (სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ჭრილში), რომლებიც დაკავშირებულია შეკრებების დროს სამართალდამცველთა როლსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითად ასპექტებზე.

სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები – სამართალდამცველთა როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის ჭრილში

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულია შეკრებისა და გაერთიანების უფლება. ამ მუხლის მიზანია, ადამიანებს მისცეს შესაძლებლობა, გაერთიანდნენ, გამოხატონ, განიხილონ და დაიცვან თავიანთი საერთო ინტერესები.[2] შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ქმნის სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების განვითარების სივრცეს, განსხვავებული მოსაზრებების, ფასეულობების ან ინტერესების გამოთქმის არენას და პლატფორმას ადამიანებისათვის აზრის, ფასეულობების ან ინტერესების სხვებისთვის გასაზიარებლად.[3]

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, სახელმწიფოებმა არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესები-

---

1 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში – მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, გვ. 2.

2 Rasemblement Jurassien and Unite Jurasseienne v. Switzerland, N 891/78, 1979.

3 ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 568.

საგან, არამედ უნდა დაიცვან ეს უფლება. სახელმწიფოებმა, „პოზიტიური“ ვალდებულების ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყონ შეკრების მონაწილე პირებს ამ უფლებით ეფექტიანად სარგებლობაში.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როცა შეკრების მონაწილე პირები წარმოადგენენ უმცირესობებს და უმრავლესობისთვის არაპოპულარულ მოსაზრებებს ავრცელებენ, ვინაიდან ისინი უფრო მოწყვლადები არიან ვიქტიმიზაციის კუთხით.[4]

არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, უზრუნველყონ კანონიერი და მშვიდობიანი შეკრების ჩატარება და შეკრების მონაწილე მოქალაქეების უსაფრთხოება. თუმცა, ბუნებრივია, მათ არ შეუძლიათ ამის სრულად გარანტირება და, შესაბამისად, აქვთ მოქმედების ფართო დისკრეცია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. შეკრების უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უფლების დაცვისა და მისი ხელშეწყობის კუთხით, მთავარი პასუხისმგებლობა პოლიციას აკისრია, რადგან პოლიცია წარმოადგენს მთავარ სტრუქტურას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მხრივ. ამაში შედის ისეთი მშვიდობიანი შეკრებების დაცვა, რომლებიც შეიძლება ახდენდეს სხვა ჯგუფების პროვოცირებას და მათი გრძნობების შეურაცხყოფას. ასევე, იგულისხმება ისეთი შეკრებების დაცვა, რომლებსაც შეუძლიათ ყოველდღიური აქტივობების შეფერხება და, შესაბამისად, იმ პირებისათვის დისკომფორტის შექმნა, რომლებიც არ მონაწილეობენ შეკრებებში.[5]

პოლიციის მთავარი მოვალეობაა კანონიერებისა და წესრიგის დაცვა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, მასთან ბრძოლა და საზოგადოებისთვის დახმარებისა და მომსახურების გაწევა. შესაბამისად, მოვალეობების განხორციელებისას, პოლიციელები უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგი პრინციპებით:

- კანონის უზენაესობის დაცვა: პოლიციამ უნდა იმოქმედოს აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- პოლიციის ეთიკის კოდექსი და ადამიანის უფლებები: სიცოცხლის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა და შენარჩუნება პოლიციის მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს;

---

4 გზამკვლევი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, 2021 გვ. 14, https://ewmi-ruleoflawgeo.org/uploads/files/3314შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება.pdf.pdf

5 იქვე, გვ. 20.

- პოლიციის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა: პოლიცია უნდა თვლიდეს, რომ ანგარიშვალდებულია მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების, სახელმწიფოსა და კანონის წინაშე.[6]

შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფის ამოცანა საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, დიდ მოთხოვნებს უყენებს პოლიციას ერთი მხრივ, თავი შეიკავოს თავისუფ-ლებაში დაუსაბუთებელი ჩარევისგან, ამავდროულად, შეძლოს სიტუაციის იმგვარი მართვა პოზიტიური ვალდებულების ჭრილში, რომ შეკრების თავისუფლება დაცული იქნას სხვა პირთა, მათ შორის, კერძო პირთა მხრიდან თავდასხმისგან.[7]

თათარი და ფაბერი უნგრეთის წინააღმდეგ საქმეში,[8] ორი პირი მივიდა უნგრეთის პარ-ლამენტის შენობასთან და შენობის წინ ღობეზე 13 წუთის განმავლობაში მიამაგრა ჭუჭყიანი ტანსაცმელი, რითაც ისინი გამოხატავდნენ პროტესტს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაზე. ორივე პირი გასამართლდა გაუფრთხილებელი შეკრების ჩატარებისათვის. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით მომჩივნების ქმედებები არ წარმოადგენდა შეკ-რებას, რამდენადაც სახეზე არ იყო მონაწილეთა განზრახ შეკრება.[9]

სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ დემოკრატია, ეს არის ის ერთადერთი პოლიტიკური მოდელი, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით და შეესაბამება მის ღირებულებებს, ამდენად, „შეკრების თავისუფლების დაცვა არ შეიძლება დამოკიდებული გახდეს ხელისუფლების ახირებაზე და მის აღქმაზე, თუ რა იმსახურებს ან არ იმსახურებს ავტორიზაციას (ნების დართვას).“ გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ერევა გამოხატვის თავისუფლებაში, გამონაკლისია ძალადობის წაქეზების ან დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის შემთხვევები, რაც არ უნდა შოკისმომგვრელი ან მიუღებელი ჩანდეს ხელისუფლებისთვის – ზიანს აყენებს დემოკრატიას და ხშირად საფრთხეს უქმნის მას.[10]

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-11 მუხლი იცავს მხოლოდ „მშვიდობიანი შეკრების“ უფლებას, ცნებას, რომელიც არ მოიცავს საპროტესტო აქციას, სადაც ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვა აქვთ. შესაბამისად, მე-11 მუხლის გარანტიები ვრცელდება ყველა შეკრებაზე, გარდა იმ შეკრებებისა, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ მსგავსი განზრახვები, ძალადობის წახალისება ან

---

6 იქვე, გვ. 20.

7 Handbook European_Convention_Police_ENG.pdf, p.98.

8 Tatar and Faber v Hungary, 2012.

9 Tatar and Faber v Hungary, judgment of 12 June 2012, §39.

10 Faber v Hungary, judgment of 24 July 2012, §37.

სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს.[11] მაშინაც კი, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ ადგილი ექნება არეულობას, ორგანიზატორების კონტროლს მიღმა განვითარებული მოვლენების გამო, მსგავსი საპროტესტო აქცია როგორც ასეთი, არ ამოვარდება მე-11 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებიდან და ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დაწესდება უნდა იყოს კონვენციის დებულების მეორე პარაგრაფის პირობებთან შესაბამისობაში.[12]

სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში შეკრების თავისუფლების გამოყენების უფლების კონტექსტში არ არის იშვიათი მოვლენა ფიზიკური ქმედება, განზრახ შეფერხდეს მოძრაობა და ჩვეულებრივი ცხოვრება, იმისათვის, რომ სერიოზულად შეეშალოს ხელი სხვების საქმიანობას, აღნიშნული არ წარმოადგენს უფლების ბირთვს, როგორც ის დაცულია კონვენციის მე-11 მუხლით. ამ მდგომარეობას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული გავლენა „საჭიროების" შესაფასებლად, რომელიც უნდა განხორციელდეს მე-11 მუხლის მეორე პარაგრაფის საფუძველზე,[13] საჯარო ადგილას ნებისმიერმა საპროტესტო აქციამ შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების ჩვეული რიტმის გარკვეულ დონეზე შეზღუდვა. ეს ფაქტი იმთავითვე არ ამართლებს შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა აჩვენონ ტოლერანტობის გარკვეული დონე. შესაფერისი „ტოლერანტობის დონე" ვერ იქნება აბსტრაქტულად განსაზღვრული: სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და „ჩვეულებრივი ცხოვრების შეზღუდვის" მოცულობა. ამგვარად, მნიშვნელოვანია გაერთიანებებმა და სხვებმა, რომლებიც აორგანიზებენ დემონსტრაციებს, როგორც დემოკრატიული პროცესების აქტორები, დაემორჩილონ პროცესის მარეგულირებელ ნორმებს მოქმედი რეგულაციების შესრულების კუთხით. ორგანიზატორების მიერ წესების განზრახ შეუსრულებლობა და დემონსტრაციის ან მისი ნაწილის იმგვარად ორგანიზება, რომ გამოიწვიოს ჩვეულებრივი ცხოვრების შეფერხება და სხვა საქმიანობები, რომლებიც აჭარბებს იმას, რაც გარდაუვალია მსგავს გარემოებებში, წარმოადგენს ქმედებას, რომელიც კონვენციის საფუძველზე ვერ ისარგებლებს დაცვის იმავე პრივილეგიით, როგორც საჯარო ინტერესის საკითხებზე პოლიტიკური გამოსვლა ან დებატები ან მსგავს საკითხებზე აზრის მშვიდობიანი გამოხატვა. საპირისპიროდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებით, მსგავსი ქმედების შეზღუდვის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელების შეფასებისას.[14]

---

11 Kudrevičius and Others vs. Lithuana, §92.

12 Kudreviccčius and Others vs. Lithuana, §94.

13 Kudreviccčius and Others vs. Lithuana, §97.

14 Kudreviccčius and Others vs. Lithuana §155-156; Makarashvili and others v. Georgia, 23158/20, 31365/20, 32525/20 §§8-87; ob.: www.supremecourt.ge/makarashvili-da-sxvebi-saqartvelos-winaagdmeg.pdf.

ამდენად, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და კონკრეტულ შემთხვევებში, სახელმწიფოებს შეუძლიათ მათი შეზღუდვა. კონვენციის მე-11 მუხლის თავისებურებას წარმოადგენს მისი მეორე ნაწილი, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას, რათა შეზღუდონ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრული თავისუფლება.[15]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იმპერატიულად განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მიერ უფლების შეზღუდვა ჩაითვლება კონვენციის შესაბამისად.[16]

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, კონვენციაზე დაყრდნობით დამკვიდრდა შეკრების თავისუფლებაში ჩარევის შეფასების ტესტი. კერძოდ, უფლების შეზღუდვა:

1. გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით, ხოლო კანონი უნდა იყოს სამართლიანი, ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი (კანონისამდი კონვენციისეული მოთხოვნები ვრცლად განხილულია საქმეებში: ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ[17] და მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ[18]);

2. უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. შეკრების და გაერთიანების თავისუფლების შემთხვევაში, შეზღუდვა ნებადართულია შემდეგი კანონიერი მიზნებიდან ერთ-ერთი მათგანის მისაღწევად: ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უწესრიგობის ან დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;

3. აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული.

პროპორციულობა: შეკრების გამართვის დროსთან, ადგილთან და ფორმატთან დაკავშირებით დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული. ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროცესში ხელისუფლებამ ყოველთვის უპირატესობა უნდა მიანიჭოს ზომებს, რომლებიც მცირე მასშტაბის ინტერვენციას მოითხოვს. პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, ხელისუფლებამ არ უნდა დააწესოს ისეთი შეზღუდვები, რომლებიც ფუნდამენტურად შეცვლის კონკრეტული ღონისძიების ხასიათს. მაგალითად, შეკრების ქალაქის

---

15 გზამკვლევი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, 2021 გვ. 10, https://ewmi-ruleoflawgeo.org/uploads/files/3314შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება.pdf.pdf

16 იქვე, გვ. 11.

17 Handiside v. The United Kingdom, application 5493/72, 1976.

18 Melone v. The United Kingdom, application 8691/79, 1984.

ცენტრიდან გადატანა ან მიზნობრივი აუდიტორიის თვალთახედვის არეალში კონკრეტული შეკრების გამართვის აკრძალვა.[19]

აუცილებლობა: დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრების უფლებით სარგებლობაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოების ჯანმრთელობის ან ზნეობრივი ნორმების დაცვის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. აუცილებლობის ტესტი, კონკრეტულ გარემოებებში, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის „გადაუდებელი სოციალური საჭიროების" არსებობის დადასტურებას მოითხოვს.[20]

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს განხილული აქვს საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე საქმე, სადაც მომჩივნები დავობდნენ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სტრასბურგის სასამართლოს ხშირ შემთხვევაში, დადგენილი აქვს მომჩივნების სასარგებლოდ, ხელისუფლების მხრიდან კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა.

მაგალითად, საქმეში იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ,[21] სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მომჩივნების მშვიდობიანი მარშის ორგანიზების განზრახვის თაობაზე სახელისუფლებო ორგანოების გაფრთხილებისა, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ცხრადღიან პერიოდში შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და მოსალოდნელი საფრთხეების არიდება. მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება ან გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების თაობაზე და ადგილზე მოეხდინათ უფრო მეტი პირადი შემადგენლობის საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა, მათ შორის, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზებით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ჰომოფობიური და ძალადობრივი კონტრ-დემონსტრანტების სათანადოდ შეკავება და ამგვარი წინდაუხედაობით სასამართლოს შეფასებით, სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული თავიანთი პოზიტიური ვალდებულება მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებითაც, ღირებული იქნება უფრო ვრცლად განვიხილოთ საქმეზე – მაქარაშვილი და სხვები საქართველოს

---

19 Human Rights Handbook on Policing Assemblies; published by the OSCE; OSCE/ODIHR 2016; p. 23.

20 იქვე.

21 5 Identoba v. Georgia, application 73235/12, 2015.

წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც წარმოდგენილია სასამართლოს შეფასება ზედმიწევნით უფლების შეზღუდვის კონვენციისეულ ყველა კრიტერიუმთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული საქმე ეხებოდა, 2019 წლის 18 ნოემბერს გამართულ საპროტესტო აქციას, რომელიც მომჩივანთა აღიარებით, მიზნად ისახავდა პარლამენტის საქმიანობისთვის ხელის შეშლას, რისთვისაც ორგანიზატორებმა და ზოგიერთმა მონაწილემ გადაკეტეს შენობის ყველა შესასვლელი. მთავრობის მტკიცებით, საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელის გადაკეტვა წინააღმდეგობაში მოდიოდა დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებთან და მომჩივნები ჩადიოდნენ დასაგმობ ქმედებას, რის გამოც, მათ შეეზღუდათ კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ მხრივ, სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება ყველა შეკრებაზე, გარდა ისეთი შეკრებებისა, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ ძალადობრივი მიზნები, ახალისებენ ძალადობას ან სხვა მხრივ უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც ცხადი გახდებოდა აქციის ძალადობრივი მიზანი. აქციის ძალადობრივ ბუნებაზე არ იყო საუბარი არც ეროვნული სასამართლოების დასაბუთებაში.[22]

საპროტესტო აქციის ძალადობრივი მიზნის გამორიცხვის შემდეგ, სტრასბურგის სასამართლო გადავიდა იმის შეფასებაზე, აღნიშნულმა აქციამ მოახდინა თუ არა დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების სხვაგვარი შერყევა და აღნიშნა შემდეგი: [სტრასბურგის] სასამართლო მზად არის მოცემული საქმის გარემოებების საფუძველზე გაიზიაროს, რომ პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტების და ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ საკანონმდებლო რეფორმის გაპროტესტება მიზნად ისახავდა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებას, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის დამაბრკოლებელი ფორმა იქნა გამოყენებული, აღნიშნული არ უნდა იქნას მიჩნეული დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების უარყოფად.[23] აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნები სარგებლობდნენ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული გარანტიებით, შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან ამ უფლების შეზღუდვის კანონიერება შეაფასა კონვენციის ამავე მუხლის მე-2 პარაგრაფით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით იმსჯელა შემდეგნაირად:

---

[22] MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA, 23158/20, 31365/20, 32525/20, §90.

[23] MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA, 23158/20, 31365/20, 32525/20, §92.

ა) იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ნათლად ადგენდა დემონსტრაციის ჩატარების წესებს, ითვალისწინებდა ადმინისტრაციული შენობების შესასვლელების გადაკეტვის და დემონსტრაციის დროს მოძრაობის განზრახ შეფერხების აკრძალვას. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ღონისძიებებს ჰქონდა საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში.

ბ) ჩარევა ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს – სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, მომჩივნების დაკავება და შემდგომი გასამართლება კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის მისდევდა უწესრიგობის თავიდან აცილების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

გ) იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში – მომჩივნების მიმართ განხორციელებული ღონისძიებების აუცილებლობის და პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის აქცია იყო განზრახ სტრუქტურირებული იმგვარად, რომ ხელი შეეშალა საზოგადოების ჩვეულებრივი ცხოვრებისთვის დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის შეფერხებით, ვიდრე მათი გარკვეული მოთხოვნები არ შესრულდებოდა, რელევანტური წესებისა და რეგულაციების აშკარა დარღვევით. სტრასბურგის სასამართლომ პირველ და მესამე მომჩივანთან მიმართებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მათ არ ჩაუდენიათ ძალადობრივი ქმედებები, არავინ წაუქეზებიათ მსგავსი ქმედებების ჩადენისკენ, პარლამენტის შენობის შესასვლელების სრულად გადაკეტვა და შემდეგ პოლიციელების მიერ შესასვლელების გახსნის შეფერხება, ეროვნული კანონმდებლობის აშკარა უგულებელყოფა, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად და დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის წევრების უფლებისა შეესრულებინათ თავიანთი ფუნქციები, რაც აუცილებელია ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც „დასაგმობი“ ქმედება. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ მომჩივნებთან პოლიციელებმა აწარმოეს მოლაპარაკებები, მათ შორის, მიიღეს გაფრთხილება რელევანტური წესებისა და რეგულაციების შესახებ, რაც უკავშირდებოდა აქციის მონაწილეების მოქმედებას (სადავო არ გამხდარა, რომ პოლიციელების ბრძანებები იყო ბუნდოვანი ან რთულად გასაგები). შესაბამისად, პირველი და მესამე მომჩივნის დაკავება არ იყო განპირობებული აქციაში მონაწილეობით, არამედ პარლამენტისაკენ მიმავალი გზის გახსნისთვის. ამდენად, პროპორციულობის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ: პირველ და მესამე მომჩივანს ადმინისტრაციული პატიმრობის სანქცია არ დაკისრებიათ აქციის ორგანიზების ან/და მასში მონაწილეობისთვის, არამედ გზის გადაკეტვისთვის, როდესაც პოლიციელები ცდილობდნენ პარლამენტის

შენობის შესასვლელის გახსნას. გზების და ადმინისტრაციული სამსახურების გადაკეტვა იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც ასახული იყო კანონმდებლობაში ნათლად და პროგნოზირებულად, მათზე დაკისრებული ადმინისტრაციული საპატიმრო სანქციის მოკლე ხანგრძლივობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სასამართლომ პირველ და მესამე მომჩივანთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

რაც შეეხება, საქმეში არსებულ მეორე მომჩივანს, მასთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობამ ვერ შეძლო წარმოედგინა რელევანტური და საკმარისი საფუძვლების არსებობა, იმ მიზნით, რომ გაემართლებინა მეორე მომჩივნის უფლებების კონტექსტში, კონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე მისი გასამართლების აუცილებლობის და პროპორციულობის საჭიროება და ოთხდღიანი საპატიმრო სასჯელის დაკისრება. შესაბამისად, მეორე მომჩივანთან დაკავშირდებით დადგინდა კონვენცის მე-11 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ძირითადი ასპექტები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მასობრივი აქციების დროს

სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით ასევე, დაცულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს, რომელიც იძლევა კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისგან დაცვის პრაქტიკულ გარანტს. შესაბამისად, ამ უფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლის უზენაესობის უზრუნველსაყოფად.

სამართლებრივ სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. სასამართლოსთვის მიმართვის უფლების იმგვარი ინტერპრეტაცია, რაც გამორიცხავდა უფლებათა დაცვას ხელისუფლების ჩარევებისგან, შეეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ უფლების შინაარსსა და მიზანს, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსაც. ამდენად, უფლება სამართლიან სასამართლოზე ემსახურება ხელყოფილი მატერიალური უფლებების დაცვას ან მათი დარღვევის პრევენციას. აქ, იგულისხმება არა მხოლოდ ძირითადი უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვა, არამედ სხვა უფლებებისაც, რომლებიც კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის.[24]

[24] ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 786-788.

საქმეში – ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ,[25] სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ: „თუ დემონსტრანტები არ არიან ჩართულნი ძალადობრივ აქტებში, მაშინ მნიშვნელოვანია ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინონ ტოლერანტობის გარკვეული ხარისხი მშვიდობიანი შეკრებების მიმართ."[26]

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი არ იცავს ძალადობრივ შეკრებას. თუ შეკრების რომელიმე ელემენტი მოიცავს ძალადობრივ აქტში ჩართვას, მაშინ პოლიციის მოქმედება ფოკუსირებული უნდა იყოს ამგვარი ელემენტების მიმართ.

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზეც, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულია ის ძირითადი პრინციპები, რომელთა მხედველობაში მიღება მნიშვნელოვანია მასობრივი აქციების დროს დაკავებულთა სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების დასაცავად.

მასობრივი აქციების კონტექსტში, როდესაც მომჩივნები მიუთითებენ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევებზე, სტრასბურგის სასამართლო ამ შემთხვევაში განიხილავს მომჩივნის მიერ წარმოდგენილ თითოეულ ბრალდებას, იმისათვის, რომ შეაფასოს საქმის წარმოება საბოლოოდ, წარიმართა თუ არა სამართლიანად.[27]

პრაქტიკაში ხშირად მომიტინგეების სამართალდამრღვევებად ცნობა ხდება სასამართლო პროცესის დაჩქარებულ ვადებში. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, დაჩქარებული პროცესი თავისთავად არ წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, იმ შემთხვევაში თუ სამართალწარმოება უზრუნველყოფს დაცვის საჭირო გარანტიებს.[28] სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში კი, ამგვარ გარანტიებად მიჩნეულია შემდეგი:

- სრული, დეტალური ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო სამართალდამრღვევისთვის წარდგენილი „ბრალის" თაობაზე და შემდგომ სამართლებრივ შედეგებზე, რაც შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- ადეკვატური დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად;
- მტკიცებულებების გამოკვლევისა და მოწმეთა დაკითხვის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის უფლება;[29]

[25] Oya Ataman v Turkey, judgment of 5 December 2006.

[26] Oya Ataman v Turkey, judgment of 5 December 2006, §§ 41-42.

[27] Gafgaz Mammadov v. Azerbaijan, 2015, § 75.

[28] Borisova v. Bulgaria, 2006, § 40.

[29] Butkevich v. Russia, 2018, §§ 91-103; Mushegh Saghatelyan v. Armenia, 2018, §§ 200-212; Olga Kudrina v. Russia, 2021, §§ 38-41.

- უფრო ზოგადად, თანასწორობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით სავარაუდო სამართალდამრღვევისათვის შესაძლებლობის მიცემით წარმოადგინოს საკუთარი ვერსია მასობრივი აქციის დროს, მისი დაკავების გარემოებებთან დაკავშირებით;[30]
- სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება.[31]

ზემოაღნიშნულ კონტექსტში, შესაძლებელია წარმოიშვას დამატებითი საკითხები სასამართლოს მიუკერძოებლობის პერსპექტივიდანაც, თუ ბრალდების მხარე არ ესწრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,[32] სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების მხარის პროცესზე დაუსწრებლობამ გავლენა იქონია უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედებაზე სასამართლოს პროცესისას, შესაბამისად, წარმოშვა საქმის განმხილველი სასამართლოს მიმართ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები.

სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულად ხაზს უსვამს დაკავებულისთვის ადვოკატთან ადრეული წვდომის მნიშვნელობასაც.[33] მასობრივი აქციების კონტექსტში კი, დაკავებულისთვის ადვოკატთან წვდომის შეფერხებამ დაკავებისას, პირველი დაკითხვისას ან შემდგომი პროცესებისას, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანად შეფასებას.[34]

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ადგენს მტკიცებულებების შესახებ წესებს, როგორც ასეთი. მტკიცებულების მისაღებობა და მისი შეფასების წესი, პირველ ყოვლისა, რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობითა და ეროვნული სასამართლოებით. იგივე ეხება მტკიცებულების მტკიცებულებით ძალას და მტკიცების ტვირთს. შემოთავაზებული მტკიცებულებების შესაბამისობის შეფასება ასევე, ევალება ეროვნულ სასამართლოებს. ფაქტის ან კანონის პრეზუმფცია მოქმედებს ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და კონვენცია პრინციპში, არ კრძალავს ასეთ პრეზუმფციებს. თუმცა, ფიზიკური პირებისთვის ეფექტიანი სასამართლო გარანტიები უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

სტრასბურგის სასამართლოს ამოცანა კონვენციის შესაბამისად, არის გარკვევა იმისა, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების წესი.[35] ამიტომ, მან უნდა დაადგინოს, იყო თუ არა მტკიცებულება წარმოდგენი-

---

30 Kasparov and Others v. Russia, 2013; §§ 63-69; Navalnyy and Gunko v. Russia, 2020, §§ 69-70.

31 Navalnyy v. Russia [GC], 2018, §§ 83- 84.

32 Elvira Dmitriyeva v. Russia, 2019, §§ 103-105.

33 Beuze v. Belgium [GC], 2018.

34 Mikhaylova v. Russia, 2015; Huseynli and Others v. Azerbaijan, 2016, §§ 125-134.

35 Elsholz v. Germany [GC], 2000, § 66; Devinar v. Slovenia, 2018, § 45.

ლი ისე, რომ გარანტირებული ყოფილიყო საქმის სამართლიანი განხილვა. სტრასბურგის სასამართლო არ უნდა მოქმედებდეს, როგორც მეოთხე ინსტანცია და შესაბამისად, ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ეროვნული სასამართლოების შეფასებას, თუ მათი დასკვნები არ შეიძლება ჩაითვალოს თვითნებურად ან აშკარად დაუსაბუთებლად.[36]

ეროვნული სასამართლოების მოვალეობაა, სათანადოდ გამოიკვლიონ მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალები, არგუმენტები და მტკიცებულებები.[37] შესაბამისად, დავის მონაწილე მხარეებს ევალებათ, უზრუნველყონ შესაბამისი და საკმარისი მტკიცებულებები თავიანთი საქმის გასამყარებლად.[38]

აღსანიშნავია, რომ უმთავრესად შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სავარაუდო სამართალდამრღვევთა დაკავების საქმეებში მტკიცებულებები ხშირ შემთხვევაში, მწირია და პირის სამართალდამრღვევად ცნობა ეროვნული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, დიდწილად დამოკიდებულია პოლიციელთა ჩვენებებზე. ამ მხრივ, საინტერესო მაგალითია სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2022 წლის 1-ელ სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე – მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,[39] სადაც სამი მომჩივანი, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ მათი დაკავება მასობრივი აქციის დროს იყო უკანონო. მოცემულ საქმეში, ვინაიდან მომჩივნები ერთ-ერთ ასპექტად გამოყოფდნენ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების) დარღვევას, მათი ეროვნული სასამართლოების მიერ სამართალდამრღვევად ცნობის გამო არასაკმარისი მტკიცებულებების პირობებში, შესაბამისად, გადაწყვეტილებაში ვხვდებით სტრასბურგის სასამართლოს მსჯელობას მტკიცებულებების შეფასების ზოგად პრინციპებზე. კერძოდ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

§61. მოცემულ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ განაცხადა, რომ პოლიციელების მიერ წარდგენილი მტკიცებულება, რომელთა ნაწილი მოქმედებდა როგორც პროკურატურის ორგანო, სარგებლობდა ნდობის მაღალი ხარისხით. სასამართლომ ეს შეფასება გაამართლა ტერმინით – „კარგი მმართველობის ვარაუდი," პოლიციელებმა იციან მსგავსი სიტუაციები. დასაბუთებას ავსებდა განცხადება, რომ იმ პირთა ჩვენებები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სამართალდარღვევის ჩადენა ვერ იქნებოდა სანდო, რადგან შესაძლოა

[36] Bochan v. Ukraine (no. 2) [GC], 2015, § 61, and López Ribalda and Others v. Spain [GC], 2019, §§ 149, 159-161.

[37] Van de Hurk v. the Netherlands, 1994, § 59.

[38] Fleischner v. Germany, 2019, §§ 40-41), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გზამკვლევი, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები, გვ. 125 (იხ.: Guide_Art_6_civil_GEO.pdf).

[39] MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA, 23158/20, 31365/20, 32525/20.

მიზანი პასუხისმგებლობის თავიდან არიდება იყო, ვიდრე არ დადასტურდებოდა სხვა მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ეს შეფასება.

§62. [სტრასბურგის] სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციელების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით, მსგავსი მიდგომა საკმაოდ სწორად იყო გაკრიტიკებული უზენაესი სასამართლოს მიერ, როგორც ზოგადი პრინციპი (44 პარაგრაფი). სასამართლო აღნიშნავს, რომ „მოწმის" ცნება კონვენციის სისტემაში ავტონომიური კონცეფციაა, ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში კლასიფიცირებისგან დამოუკიდებლად (იხ.: Ürek and Ürek v. Turkey, no. 74845/12, § 50, 30 July 2019). სასამართლო შეაფასებს ეროვნული სასამართლოების მხრიდან, პოლიციელების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე მიდგომის რეალურ გავლენას მომჩივნების საქმეზე. ამ კონტექსტში, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სამივე მომჩივანს მათ მიერ არჩეული ადვოკატები წარმოადგენდნენ და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა დაეკითხათ მოწმეები მათ წინააღმდეგ, მათ შორის, შესაბამისი პოლიციელები (შეადარეთ და განასხვავეთ Navalnyy and Gunko v. Russia, no. 75186/12, § 66, 10 November 2020). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პირველმა და მეორე მომჩივანმა აირჩიეს არ მიეცათ ჩვენება სასამართლოსთვის, მაშინ როცა მესამე მომჩივანმა აღიარა, რომ იმყოფებოდა გზაზე პოლიციელების მიერ გაცემული მითითების მიუხედავად (პარაგრაფი 21).

§63. მნიშვნელოვანია, რომ მაშინ როცა [სტრასბურგის] სასამართლომ ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ პოლიციელების ჩვენებები პრინციპში, იქნებოდა საკმარისი – მტკიცების ტვირთის მომჩივნებზე გადასატანად, სასამართლოს მხედველობიდან არ რჩება ფაქტი, რომ მაგალითად, პოლიციელების განცხადება, რომ მომჩივნები იგინებოდნენ, არ იქნა საკმარისად მიჩნეული, თავისთავად მტკიცების ტვირთის მომჩივნებზე გადასატანად. კერძოდ, სასამართლომ ის დაუსაბუთებლად მიიჩნია და სამივე მომჩივანი წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა. რაც შეეხება მომჩივნების მსჯავრდებას პარლამენტთან მიმავალი გზის გადაკეტვის ნაწილში, მაშინ, როდესაც პირველი და მესამე მომჩივნის მსჯავრი ნამდვილად დიდწილად, ეფუძნებოდა პოლიციელების მონათხრობს, ის ასევე, იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით როგორიცაა სადავო მოვლენების ამსახველი ვიდეო მასალა. ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილება იყო შეეფასებინა მსგავსი მასალის რელევანტურობა და საკმარისობა პირველი და მესამე მომჩივნის მსჯავრდებასთან მიმართებით. ამ გარემოებებში და იმის მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლოს არ აქვს ეროვნული სასამართლოების წინაშე არსებული საქმის სრული მასალების იდენტური ასლი, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მსჯელობამ მტკიცებულებების შეფასებისას, პრაქტიკაში გავლენა იქონია პირველ და მესამე მომჩივანზე, მათ მსჯავრდებასთან მიმართებით. შესაბამისად, პირველ და მესამე მომჩივნებთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

§64. ამის საპირისპიროდ, მეორე მომჩივნის მსჯავრდებასთან მიმართებით, პოლიციელების მიერ მის წინააღმდეგ მიცემული ჩვენებები არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით გარდა პოლიციელების მონათხრობისა, რაც არ გამხდარა სადავო. ამ გარემოებაში, მეორე მომჩივანი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, სადაც მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება, პოლიციელების ბრალდებების გარშემო, ბრალდების მხარის მონათხრობის გარდა, არანაირი სხვა მტკიცებულებების არსებობისას მაშინ, როცა მეორე მომჩივანი უთითებდა უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპზე, ობიექტურ მიუკერძოებლობაზე და თანასწორუფლებიანობაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ პოლიციელების მიერ წარდგენილი ჩვენებების შეფასებამ, მოცემული საქმის გარემოებებით, მთლიანობაში შეასუსტა მეორე მომჩივნის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითება, რომ მან საკმარისად იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიდგომაზე. მსჯელობა, რომელიც აუცილებელი იყო პოლიციელების მტკიცებულებებთან მიმართებით, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მხედველობაში მიღებით (პარაგრაფი 44) და საქმეში სხვა დამატებითი მტკიცებულების არარსებობის გამო. შესაბამისად, მეორე მომჩივანთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის (1) ნაწილი."[40]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული სამართალდაკავებისას, პირის სამართალდამრღვევად ცნობა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არ ეფუძნებოდეს ცალმხრივად, მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს და პოლიციელთა მონათხრობები გამყარებული იყოს საქმეში სხვა მტკიცებულებებითაც.

დასკვნა

სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს, როგორც პლურალიზმის, ტოლერანტულობისა და ლიბერალური მსოფლმხედველობის საბოლოო გარანტი. შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი თავისუფლება არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებამდე, არ ჩაერიოს შეკრება-მანიფესტაციაში: სრულად ნეგატიური კონცეფცია, კონვენციის მე-11 მუხლის განზრახვას და მიზანს არ ესადაგება და არ აკმაყოფილებს. ეს დებულება ზოგჯერ პოზიტიური ზომების გატარებას მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუ-

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს თარგმანი,
იხ.: www.supremecourt.ge/makarashvili-da-sxvebi-saqartvelos-winaagdmeg.pdf.

ალური ურთიერთობების სფეროშიც კი. ეს პოზიტიური ვალდებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ არაპოპულარული შეხედულებები ან ძლიერი მოწყვლადობის გამო, მიეკუთვნებიან უმცირესობებს.[41] აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი შეკრება ვერ ექცევა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის ფარგლებში. მაგალითად, ნებისმიერი შეკრება, რომელიც ატარებს ძალადობრივ ხასიათს ან სხვაგვარად საფრთხეს უქმნის დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლებს, თავისთავად ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-11 მუხლით დაცული გარანტიებით.

შეკრების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა დასაშვებია კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ამ მხრივ, სტატიაში მოკლედ შეჯამებულია სტრასბურგის სასამართლოს მიდგომები უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობის შეფასების თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია, რომ შეკრებების დროს, ადმინისტრაციული დაკავებისას, სავარაუდო სამართალდამრღვევებს ჰქონდეთ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით შეუფერხებლად სარგებლობის შესაძლებლობა. ამ მხრივ, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შეფასებისას, განსაკუთრებული ადგილი უკავია მტკიცებულებებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ნათლად იკვეთება, რომ პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის საჭიროა პოლიციელთა ჩვენებებს ამყარებდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები და ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდეს ცალმხრივად, მხოლოდ სამართალდამცველის მონათხრობს.

[41] გზამკვლევი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, 2021 გვ. 46,
იხ.: https://ewmi-ruleoflawgeo.org/uploads/files/3314შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება.pdf.pdf

FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY AND STATE OBLIGATIONS UNDER THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

GIORGI JUGHELI
Georgian American University (GAU)
PhD Student of Law at the School of Law, Social Sciences and Diplomacy

Freedom of assembly, as a means of spreading opinion, forms one of the important foundations of the existence and development of a democratic society. Therefore, the mentioned right is guaranteed in various international instruments related to human rights, including Article 11 of the European Convention on Human Rights. The right to peaceful assembly is a fundamental opportunity for individuals, regardless of their status, to express their feelings, opinions and protest about various issues, to criticize the prevailing views in society, to present alternative and/or unpopular opinions, and to advocate the interests of minority or marginalized groups. Thus, assembly is a component of a healthy political and public process, which facilitates the discussion of issues important to society, the process of raising awareness, changes, or reforms, and is one of the most powerful means of influencing the government.

Protection of freedom of assembly is an obligation of a democratic state and at the same time an actual challenge, since its

practical realization often coincides with other rights, which may lead to the need to interfere with freedom of assembly. Accordingly, within the framework of this article, based on the European Convention on Human Rights and the latest case law of the Strasbourg Court, the international standards (in terms of positive and negative obligations of the state) related to the role of law enforcement officers during gatherings and the main aspects of a fair trial on administrative offenses will be briefly presented.

„აუცილებელი გზა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

ირაკლი ლეონიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მედიატორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში, სსკ) 180-ე მუხლის სახელწოდებაა „აუცილებელი გზა.“ ეს მუხლი სამეზობლო სამართლის თავშია და მნიშვნელოვან დათქმას შეიცავს მესაკუთრეებისთვის, რომლებსაც არა აქვთ მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენების შესაძლებლობა, რათა დაამყარონ კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან. ობიექტური გარემოების დამტკიცების შემთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება მოთხოვნის წარმდგენისთვის აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. აუცილებელი გზის დადგენასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა საინტერესო დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის, რადგან აუცილებელი გზის დადგენას

აქვს სამართლებრივი ბმა სხვა სანივთო უფლებებთან და მოთხოვნის საფუძვლებთან, სასამართლომ ისინი შეიძლება განიხილოს, როგორც სსკ-ის 180-ე მუხლით მისაღწევი შედეგის ალტერნატივები თუმცა, განსხვავებული პირობებით. აუცილებელი გზის მოთხოვნა, როგორც უკიდურესი მოთხოვნა მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ, საჭიროებს, აუცილებლად შემოწმდეს გამორიცხულია თუ არა შედეგის მიღწევის სხვა ალტერნატიული საშუალებები.

აუცილებელი გზის დადგენის იურიდიული ინტერესი ყალიბდება ფაქტობრივი მოცემულობისგან, როდესაც მიწის მესაკუთრეს სსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე უჩნდება მოთხოვნის უფლება. მესაკუთრე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. შესაბამისად, განსხვავებულია აუცილებელი გზის დადგენის იურიდიული ინტერესი. ინტერესის წარმოშობა არა მხოლოდ ფაქტობრივი მოცემულობით, არამედ მიზანმიმართული ქცევით შეიძლება იყოს განპირობებული, როდესაც ერთი მესაკუთრე თავისი მოთხოვნისთვის უპირობო ხასიათის მინიჭებას ცდილობს. ფაქტია, რომ დიდი მნიშვნელობისაა თუ ვინ იქნება მოთხოვნის წარმდგენი მესაკუთრე – ფიზიკური თუ იურიდიული პირი და ამის მიხედვით უნდა გაირკვეს, რისთვის სჭირდება მას ეს გზა. თუ მოთხოვნის წარმდგენი საცხოვრებელ სახლთან მისასვლელად ყოველდღიური გამოყენებისთვის ითხოვს გზას, ეს მიზანი შეიძლება განსხვავებულად იყოს გაგებული კომპანიისთვის, რომელსაც გზა შესაბამისი რესურსის ტრანსპორტირებისთვის, მაგალითად, უწყვეტი მილსადენის გასატარებლად სჭირდება. ინტერესს თან სდევს გზის მასშტაბის განსაზღვრის საკითხი, რა სიგრძითა და სიგანით უნდა დადგინდეს იგი. ეს კი, იმდენად დიდი ჩარევაა მესაკუთრის სფეროში, რომ მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი დასაბუთება.

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003-2007 წლების პრაქტიკა „აუცილებელ გზასთან“ დაკავშირებით

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეებს აქვთ თმენისა და კომპენსაციის გადახდის ურთიერთშემხვედრი ვალდებულება. ვინაიდან მოსარჩელეებმა მოპასუხეს არ მოსთხოვეს ფულადი კომპენსაცია სსკ-ის 179-ე მუხლის საფუძველზე და ისე დათმეს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მოპასუხე სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ვალდებულია, ითმინოს მოსარჩელის მიერ მისი მიწის ნაკვეთის აუცილებელ გზად გამოყენება და არ მოითხოვოს ამისათვის კომპენსაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ მეზობლები წლების განმავლობაში ითმენდნენ თავიანთ მიწის ნაკვეთებზე ორმხრივ ზემოქმედებას და ურთიერთპატივისცემის მოვალეობიდან გამომდინარეობს კომპენსაციის მოთხოვნაზე უარის თქმა.[1]

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/1245-02.

სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკუთრების შებოჭვა დასაშვებია ობიექტურად აუცილებელი გარემოებების არსებობისას, როდესაც მოთხოვნის წარმდგენი მესაკუთრის ნაკვეთი აუცილებელი გზის გარეშე გამოსაყენებლად ნაკლულია ან საერთოდ უვარგისია, რაც იწვევს სხვისი ნაკვეთით სარგებლობის საჭიროებას.[2] მოსარჩელემ ვერ შეძლო მტკიცებულებებით დაედასტურებინა მეზობლის მიწის ნაკვეთიდან შესასვლელის მოწყობის აუცილებლობა.

სასამართლომ განმარტა, რომ თუ მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრებაშია და ამ ნაკვეთს აქვს აუცილებელი გზა, ქონებრივი სიკეთით თანაბარწილად შეუძლია ისარგებლოს ყველა თანამესაკუთრემ და მიზანშეწონილი არ არის ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ აუცილებელი გზის მოთხოვნა საერთო საკუთრებიდან ან სხვა მოსაზღვრე მესაკუთრეების მიმართ.[3]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს, კერძო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ კომპანიის მიერ წარდგენილი მოთხოვნა სასამართლომ აუცილებელი გზის უფლების ჭრილში დასაშვებად ცნო და დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელი გზა წარმოადგენს სანივთო უფლებას[4] და მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, სსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე, წარმოეშობა თმენის ვალდებულება, რაც უკავშირდება სწორედ ამ ნორმის გამოყენებას და არა აღნაგობის ან სერვიტუტის უფლების მოპოვებას, რადგან კომპანიას მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს ნავთობის მილსადენის გასაყვანად, ხოლო შეძენილი ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის, კომპანიას ესაჭიროება აუცილებელი კავშირი ნავთობის ქსელთან.[5] მნიშვნელოვანია, გაუთანაბრდა თუ არა კომპანიის ინტერესი სახელმწიფოში ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელების საჯარო მიზანს. საყურადღებოა, სასამართლო პრაქტიკის სსკ-ის 180-ე მუხლით, განვითარება კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტთან მიმართებით, ფიზიკურ პირთა/კერძო მესაკუთრეთა საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონისმიერ დასაშვებობას ხომ არ ქმნის. სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა კომპენსაციის საკითხზე.

---

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-689-03.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-218-909-03. ასევე, საერთო სარგებლობის გზა არ უნდა იქნას მიჩნეული აუცილებელ გზად. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1034-1269-05.

4 საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ," სსმ, 41, 19/12/2008, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებები.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1416-1548-04.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე, მეზობელს თმენის მოვალეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრება, თუ აუცილებელი გზა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გადის. საქმეში არ იყო დადგენილი, სადავო ჩიხი ვის საკუთრებას წარმოადგენდა. პალატამ ვერ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ აუცილებელი გზის მოთხოვნის წარმდგენმა თავად გააუქმა არსებული დაკავშირება, გაიუარესა მდგომარეობა, რის გამოც მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს არ ეკისრება აუცილებელი გზის გამოყენების თმენის ვალდებულება.[6]

სხვა საქმეში საკასაციო პალატა აზუსტებს: მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი დაადასტუროს, რომ სადავო გზა არ არის პრივატიზებული და მან უნდა ისარგებლოს მოპასუხესთან ერთად ამ გზით, როგორც აუცილებელი გზით. მოსარჩელის პოზიციის დამადასტურებლად სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ერთადერთ მტკიცებულებას დაეყრდნო, რაც ამ ფაქტის დასადასტურებლად არასაკმარისია, ვინაიდან საქმეში არსებობდა მოგვიანებით გაცემული საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია[7] და ამ ტიპის დავებზე მტკიცების სტანდარტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით განისაზღვრება.

სასამართლომ დაადგინა მოთხოვნის წარმდგენი მესაკუთრის თვითნებური მოქმედება, კერძოდ, მიწის რეფორმის კომისიამ მიწის ნაკვეთების განაწილებისას, მოდავე მხარეების ნაკვეთებს შორის დატოვა რამდენიმე მეტრი სიგანის გზა და ეს ფართი არ შესულა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მოწმობაში, მაგრამ მოსარჩელემ ეს გზა შეუერთა თავის ნაკვეთს, ანუ თვითნებური მოქმედებით გააუქმა გზა და შემდეგ, მოითხოვა მეზობელი მესაკუთრისგან აუცილებელი გზა.[8] სხვა საქმეში პალატამ მიუთითა, რომ უნდა დადგინდეს სადავო გზის გამოყენების აუცილებლობის საკითხი, რომლის გარეშეც შეუძლებელია მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება. მოსარჩელის აზრით, საერთო საკუთრების გზის მოშლით შეილახა მისი კანონიერი უფლებები, მოპასუხის მოქმედების შედეგად მოესპო სასმელ წყალთან მისასვლელი და ასევე, ეზოში შესასვლელი გზა. მოპასუხის მტკიცებით, სადავო გზა არის მისი საკუთრება და ის არასდროს ყოფილა საერთო სარგებლობის სასოფლო გზა.[9] პალატის ვარაუდით, შესაძლებელია მხარეთა შორის წარსულში არსებობდა პირვან-

---

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-123-464-05.

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-140-474-05.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-9-378-05.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1283-1519-05.

დელი სასოფლო გზა, რომლითაც თავიანთი მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის სარგებლობდნენ მეზობლები. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მეზობლის (მოპასუხის) თვითნებური მოქმედებების შედეგად მოისპო თუ არა სადავო გზის ჯეროვანი გამოყენება.[10]

ფაქტი, რომ მოსარჩელე სარგებლობს მოპასუხეების კუთვნილი მიწის ნაკვეთით, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მისთვის კომპენსაციის სახით, ყოველთვიურად, მოპასუხეების მიერ შეთავაზებული თანხის დაკისრებას. პალატამ მიიჩნია, რომ იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა, უნდა მიეცეთ კომპენსაცია, რომელიც ურთიერთშეთანხმებით შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს თუმცა, მრავალჯერადი გადახდით გამოხატული კომპენსაცია უნდა განისაზღვროს გონივრული განსჯის შედეგად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის ყოველთვიურად 200 ლარის დაკისრება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს მას, რის გამოც ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს 20 ლარის გადახდა. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მოპასუხეები საჯარო რეესტრში არ არიან დარეგისტრირებული მესაკუთრეებად, მათ არ უნდა გადაუხადოს კომპენსაცია. პალატამ მიუთითა, რომ მიწა, რომელიც პირის კანონიერ სარგებლობაშია, მის საკუთრებად მიიჩნევა.[11]

სასამართლო ადასტურებს: სსკ-ის 180-ე მუხლით დაწესებული საკუთრების კანონისმიერი შებოჭვა, გამოწვეულია სამეზობლო სამართლით დადგენილი სამეზობლო თმენის ვალდებულებით და „აუცილებელი გზის თმენის ვალდებულება დამოკიდებულია არა მესაკუთრის სუბიექტურ ნებაზე, არამედ კანონის ნორმატიულ ნებაზე, რითაც იგი არსებითად განსხვავდება ამავე კოდექსით გათვალისწინებული სანივთო გარიგებებისაგან. ამდენად, აუცილებელი გზის დადგენა მხარეთა ნების არარსებობის შემთხვევაშიც, შესაძლებელია განხორციელდეს სასამართლო წესით."[12]

მეზობელი ნაკვეთის დატვირთვა ობიექტური გარემოებებით უნდა იყოს გამოწვეული, როდესაც ნაკვეთი მთლიანად ან მისი დიდი ნაწილი იზოლირებულია საჯარო გზებისგან. უნდა გაირკვეს, ადრე არსებობდა თუ არა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი გზა, რომელიც გაუქმდა. აუცილებელ გზაში იგულისხმება არა მარტო ბილიკი, საცალფეხო გზა, არამედ სამანქანე გზაც.[13]

---

10 გაუქმებული „აუცილებელი გზის" უფლების აღდგენის დაუშვებლობის საკითხზე იხ.: ათაბეგაშვილი დ., აუცილებელი გზის საკითხი სამეზობლო ურთიერთობებში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", №1(40), 2014, 105-106.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-328-648-05.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1108-1312-04.

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-144-486-07.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008-2017 წლების პრაქტიკა „აუცილებელ გზასთან“ დაკავშირებით

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა მოულოდნელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რადგან არ იმსჯელა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის საკითხზე. სააპელაციო სასამართლომ აუცილებელი გზის მოთხოვნის წარმდგენი პირის მეზობელი ისე მიიჩნია არასათანადო მოპასუხედ, რომ არ გამოარკვია გზა, რომლის სარგებლობით ხელშეშლის აღკვეთასაც ითხოვს მოსარჩელე მხოლოდ ამ მეზობლის მიწის ნაკვეთზე გადის, თუ მეორე მეზობლის მიწის ნაკვეთზეც.[14]

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ მეზობელი მესაკუთრისთვის შეთავაზებული თანხა სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია იყო და არა მიწის ნაკვეთის შესყიდვისათვის შეთავაზებული ფასი ან მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაციისთვის განკუთვნილი თანხა.[15]

საინტერესოა, შინაარსობრივი სხვაობა მხარეთა მორიგების პირობებსა და მხარეთა მორიგების გამო გაუქმებულ (საქმეზე გამოტანილ) სასამართლო გადაწყვეტილებებს შორის.[16] საკასაციო სასამართლო გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და ჩათვალა, რომ მხარეთა მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია/უნდა დაკმაყოფილდეს და გააუქმა ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.[17] სასამართლომ მიუთითა, სატრანსპორტო გზის მოთხოვნა არ ნიშნავს მიწის ნაკვეთზე არსებული გზის გამოყენებას, ვინაიდან ეს გზა შესაძლებელია საერთოდ არ არის გათვალისწინებული ტრანსპორტისათვის და განკუთვნილია მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთათვის. ეს საკითხი გადაწყდა მორიგების აქტში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენდა სსკ-ის 180-ე მუხლი და სარჩელის დავის საგანი აუცილებელი გზის დადგენაში კი არა, არამედ გზით სარგებლობით ხელშეშლის აღკვეთაში მდგომარეობდა. საკასაციო

---

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის პირველი თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-551-892-07.

[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-802-1122-07.

[16] იხ. ერთ-ერთი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-948-1254-07.

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-123-454-09.

სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის მართლზომიერების დასადგენად, სსკ-ის 176-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, აუცილებელია იმის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა სადავო გზად გამოყენებული მიწის ნაკვეთი მეზობელი მესაკუთრის რეგისტრირებულ ან ფაქტობრივ საკუთრებას. ამის შემდეგ, ნაკვეთის სამანქანე გზად ოფიციალურად არსებობა (საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) გავლენას ვერ მოახდენს ხელშეშლის აღკვეთის შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.[18]

სსკ-ის 180-ე მუხლით გზის მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციით და სამოქალაქო კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით, ამ უფლების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობათა ნაწილობრივი დაკმაყოფილება აუცილებელი გზის დასადგენად მიუღებელია.[19] ეს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მყარი ერთგვაროვანი პრაქტიკის ნაწილია. კიდევ ერთ საქმეში აღინიშნა, რომ „აუცილებელი გზის კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელი გზის თმენის ვალდებულება დამოკიდებულია არა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სუბიექტურ ნებაზე, არამედ კანონის ნორმატიულ ნებაზე."[20] აქვე აღნიშნულია შემდეგი: აუცილებელი გზის მოთხოვნა გამართლებული უნდა იყოს წარსულში მისი არარსებობით და აუცილებელი გზით მიწის ნაკვეთის დატვირთვისას, მესაკუთრეების უფლების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გამოირიცხოს აუცილებელი გზით დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ზედმეტად დავალდებულება.

საკანალიზაციო მილი სატრანსპორტო საშუალების ერთ-ერთი სახეა და მესაკუთრის ნაკვეთზე მის გასაყვანად უნდა არსებობდეს სათანადო სამშენებლო ნებართვა, პროექტი, მესაკუთრის ნებართვა ან/და სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებელი გზის მიღების შესახებ.[21]

საქმეში ექსპერტის მონაწილეობის და სასამართლოს მიერ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შეფასებისას, სასამართლო უფლებამოსილია, რომ არ გაითვალისწინოს კომპენსაციის გამოანგარიშების ის წესი, რომელსაც ექსპერტი სთავაზობს

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-977-1177-08.

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1048-1316-09.

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-443-415-2010.

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-685-641-2010.

დამკვეთს.[22] კომპენსაცია ერთჯერადი გადახდით განსხვავებულად დაიანგარიშება. ერთ-ერთ საქმეში მეზობელმა მესაკუთრემ კომპენსაციად მოითხოვა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხა, რადგან გაზსადენი მიწის ნაკვეთის შუაში გადიოდა და მიწის დარჩენილი ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა – მიწის ნაკვეთი კარგავდა ფუნქციას.[23] კომპენსაციის გამოანგარიშებისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს ზემოქმედების მასშტაბი, რომელსაც მეზობელი მიწის ნაკვეთი განიცდის. მიწის ფოტომასალებთან დაკავშირებით განიმარტა, რომ იგი, იურიდიული ძალის თვალსაზრისით, არ შეიძლება საექსპერტო კვლევის გამაბათილებელ მტკიცებულებად იქნას მიჩნეული.[24]

პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 170-ე მუხლის არასწორი განმარტება და მეზობლის უფლებების უგულებელყოფა სასამართლო გადაწყვეტილებას უკანონოს ხდის. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელეები მოითხოვდნენ არა აუცილებელ გზას, არამედ ადრე არსებული საჯარო გზის აღდგენას, ამიტომ მათი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენდა სსკ-ის 180-ე მუხლი და სარჩელის დავის საგანი აუცილებელი გზის დადგენაში კი არა, არამედ გზით სარგებლობით ხელშეშლის აღკვეთაში მდგომარეობდა. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მთლიანად იზოლირებული იყო საჯარო გზისგან.[25]

აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია, მაგრამ აუცილებელი გზის მოთხოვნის წარმდგენ პირს უფლება არა აქვს უპირობოდ მოითხოვოს მეზობლის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი დემონტაჟი იმ დათქმით, რომ ეს საჭიროა აუცილებელი გზის მოსაწყობად.[26] უნდა დადგინდეს მეზობლის ნაკლებად შემზღუდველი ალტერნატიული საშუალებები აუცილებელი გზის მოსაწყობად. სხვა საქმეში მიეთითა: მართალია, კასატორი მოითხოვს ნაგებობის დემონტაჟის გზით ხელშეშლის აღკვეთას თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნაგებობის დემონტაჟის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, თუ დადგინდება სადავო მიწის ნაკვეთის აუცილებელ გზად გამოყენების წინაპირობები.[27]

---

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-797-746-2010.

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1410-1425-2011.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1070-1009-2015.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-468-442-2011.

26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-478-452-2011.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-70-68-2014.

მეზობლის საკუთრების აუცილებელი გზით დატვირთვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები სრულყოფილად უნდა შეფასდეს. მაგალითად, კონკრეტულ ქუჩასთან კავშირის შეუძლებლობა გამოწვეული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით, სხვისი მიწის ნაკვეთის ან სხვისი ნაგებობის, ავტომანქანის ამ მხრიდან ფიზიკურად შეყვანის შეუძლებლობით ან სხვა ისეთი გარემოების არსებობით, რაც მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნების დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდიან საჯარო გზასთან დაკავშირებას.[28]

ნაკვეთზე იურიდიული პირის უფლებების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურში დაუყოვნებლივი რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილება მიექცა აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა იურიდიული პირისთვის ნების დართვას აუცილებელი გზის მოწყობის მიზნით, გამოეყენებინა მეზობლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი – მისთვის შეთავაზებული პირობების სანაცვლოდ. ასევე, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ, მოიაზრებდა – აღნიშნულ ნაკვეთზე სსკ-ის 180-ე, 247-ე და 248-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების აღიარებას, იურიდიული პირის/მოთხოვნის წარმდგენის სასარგებლოდ – ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მიზნით, მათ შორის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.[29]

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ შეიძლება მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოეთხოვოს მის ნაკვეთთან დამაკავშირებელი ახალი გზის დაგება. ჩვეულებრივ პირობებში, გზების დაგება მოქალაქის ვალდებულება არ არის. გარდა ამისა, აღნიშნული შეუსაბამოდ დიდ დანახარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. აუცილებელი გზის მოთხოვნით დაუსრულებლად გადამისამართება მეზობლიდან მეზობლამდე შეუძლებელს ხდის მხარეთა კანონიერი ინტერესების დაცვას.[30]

გადაწყვეტილებაში გამოიკვეთა, რომ თუ საკადასტრო აზომვითი ნახაზით დგინდება ნაკვეთის მდებარეობა და დაკავშირება ან ამ უკანასკნელის აუცილებლობა საჯარო გზებთან, მაშინ სასამართლოს შეუძლია უარი განაცხადოს სადავო ტერიტორიის დათვალიერების შესახებ მხარეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.[31] სხვა საქმეში, სააპელაციო საჩივარში სსკ-ის 170-ე, 172-ე, 174-ე და 180-ე მუხლების საფუძველზე მითითებული გარემოებების

---

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-744-801-2011.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1332-1350-2011.

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-6-6-2012.

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-722-678-2012.

გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხეს, მაგრამ ვინაიდან, იგი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ აამოქმედა პრეზუმფცია, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.[32]

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ საქმეში არსებული მასალები არ იძლეოდა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რის გამოც შეუძლებელი იყო, იმის გარკვევა უკვე არსებული შეზღუდვის ფარგლებში „აუცილებელი გზის" დადგენა ხდებოდა, თუ ახალი შეზღუდვების დაწესება, რაც საბოლოოდ, არღვევდა ამ ნაკვეთებზე საკუთრების უფლების არსს.[33]

არაერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები, არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. მყარად დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკა ფუძემდებლურია სსკ-ის 180-ე მუხლის განმარტების თვალსაზრისით.

კასატორი (მოპასუხე) არც შესაგებელში და არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე ეჭვქვეშ არ აყენებდა კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე აუცილებელი გზის უფლების მოპოვებისათვის სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას და არც ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების საკმარისობას ან შესაბამისობას. მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები და დამადასტურებელი მტკიცებულებების საკმარისობა კასატორმა მხოლოდ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ეტაპზე გახადა სადავო. მხოლოდ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ეტაპზე მიუთითა მოპასუხემ, რომ ადგილი ჰქონდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის ფაქტს. აღნიშნულ ეტაპზე კი, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაზეც მხარეს შესაგებელში და პირველი ინსტანციის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით არ მიუთითებია.[34]

---

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-125-119-2013.

[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-478-454-2013.

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1141-1187-2014.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორების შენიშვნა, რომ არასწორია მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად, სასამართლოს მხრიდან იმის მითითება, რომ მოპასუხე მომავალში გეგმავს სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის აღძვრას აუცილებელი გზის შესახებ. პალატა დასძენს, სასამართლოს ვალდებულებაა დაადგინოს, არსებობს თუ არა მოცემულ შემთხვევაში საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. მის ფუნქციაში არ შედის სამომავლო მოთხოვნების სასამართლოში წარდგენის შესაძლო საფუძვლების გამოკვლევა და მით უფრო, ასეთი საფუძვლების მოხმობით მის წინაშე განსახილველი დავის გადაწყვეტა.[35]

მოსარჩელემ სარწმუნოდ დაასაბუთა აუცილებელი გზის დადგენის წინაპირობების არსებობა, ამ მხრივ, სასამართლოს დასკვნები დაეფუძნა საქმის მასალების, ექსპერტთა დასკვნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით კვლევას, რომლის წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი დასაშვებ შედავებას არ შეიცავდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ ქონების მესაკუთრე რელიგიური გაერთიანებაა, ვერ იქნება განხილული აუცილებელი გზის უფლების დადგენაზე უარის თქმის საფუძვლად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კასატორი, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მიუთითებს, რომ სარგებლობის უფლების მოპასუხისათვის მიკუთვნება ხელს შეუშლის რელიგიურ მსახურებას.[36]

ერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული შეხედულების თანახმად, სსკ-ის 180-ე მუხლი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეზღუდვას აწესებს მხოლოდ ნორმაში აღნიშნულ წინაპირობათა უტყუარად არსებობის შემთხვევაში.[37] ამავდროულად, ამ წინაპირობებზე არსებობის აუცილებლობაზე გავლენას არ ახდენს მესაკუთრის მიერ მეზობლისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი მიზნით (მეორე მეზობლის მიერ ნაკვეთით უკეთ სარგებლობის ან სხვა) და საფუძვლით (კეთილმეზობლური, ნათესაური და სხვა) გადაცემა.[38]

---

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1041-998-2014.

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-387-360-2017.

[37] შეად. ქადარია ს., ექსპროპრიაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №3-4, 2021-2022, 272-273.

[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1291-1211-2017.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018-2022 წლების პრაქტიკა „აუცილებელ გზასთან“ დაკავშირებით

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, აუცილებელი გზის დადგენის გარდაუვალობის (ერთადერთი და უალტერნატივო შესაძლებლობა მიწის ნაკვეთთან დასაკავშირებლად) მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა, რომელმაც სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებებით უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება. მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებითაც დამტკიცდებოდა, რომ მოპასუხის მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზის დადგენა გარდაუვალი იყო. სასამართლომ, მხარეთა განმარტებებთან ერთად, ექსპერტიზის დასკვნისა და ადგილზე დათვალიერების ოქმის სრული და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა სსკ-ის 180-ე მუხლიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.[39] შესაბამისად, კასატორი არ წარმოადგენდა აუცილებელი გზის მოთხოვნის მფლობელს, რადგან მან ვერ დაამტკიცა მოპასუხის მიწის ნაკვეთებზე აუცილებელი გზის დადგენის გარდაუვალობის ფაქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს იმ მესაკუთრის შესაგებელს, რომლის მიწის ნაკვეთის აუცილებელი გზით დატვირთვაც სურს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს. მტკიცება, რომ საჯარო გზასთან ჯეროვანი კავშირი მესაკუთრის თვითნებურმა მოქმედებამ განაპირობა, ეკისრება მოპასუხეს.[40] სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საკადასტრო ნახაზებისა და ორთოფოტოების შესწავლის მნიშვნელობაზე.

მოსარჩელემ მოითხოვა მის კუთვნილ შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის აღდგენა და მოპასუხეთა კუთვნილი ნაგებობის გადატანა. სასამართლომ აღნიშნა, თუ გამოირიცხება სსკ-ის 172-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 180-ე მუხლიდან.[41]

---

[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-815-763-2017. გადაწყვეტილებაში გაზიარებულია ერთგვაროვანი პრაქტიკის შემადგენელი გადაწყვეტილებები: №ას-102-100-2011, 24/5/2011 და №ას-70-68-2014, 6/4/2015.

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-889-829-2017.

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1218-1138-2017.

სააპელაციო სასამართლომ სწორად არ შეაფასა ის გარემოება, რომ ორივე ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო მოსარჩელე, რომელმაც ჯერ მიჰყიდა მოპასუხეს მიწის ნაკვეთი, ხოლო შემდეგ დაიწყო დავა, თავის ნაკვეთთან მისასვლელი აუცილებელი გზის მოთხოვნით. სასამართლოს სწორად რომ შეეფასებინა მითითებული გარემოება, შემოიფარგლებოდა მოპასუხისათვის ნაკლები სიგანის საფეხმავლო გზის მიცემით, ვიდრე შემდგომში, სამანქანე გზის დადგენით.[42] სხვა საქმეში დადგინდა: ნაკვეთის შეძენისას, გარიგების მხარეებს ნაკვეთთან მისასვლელი გზის უზრუნველყოფა არ მოუხდენიათ და ეს რისკი მხარეებს მიემართება და არა მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს.[43]

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 180-ე მუხლით სხვისი საკუთრებით სარგებლობის უფლება წარმოადგენს საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის კანონისმიერ (არასახელშეკრულებო) უფლებას მეზობელი მესაკუთრის თანხმობის მიუხედავად. თუმცა, მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენება სხვა მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზეც, ანუ მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმებითაც, მაგრამ, რადგანაც განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე არ იყო თანახმა, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, აუცილებელი გზის უფლების დადგენა სასამართლოსადმი მიმართვის გზით მოეთხოვა. შესაბამისად, მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენების უფლება საჯარო გზასთან აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად დგება იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი იზოლირებულია საჯარო გზების, ელექტრო, ნავთობის, გაზის ან წყალმომარაგების ქსელისაგან და არ არსებობს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა შორის სსკ-ის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება.[44]

პალატამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობაში ასახული გარემოებები ქმნის მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძველს, რამდენადაც გასაზიარებელია მოსარჩელის განმარტება, რომ შესაძლოა, აუცილებელი გზის დადგენასთან დაკავშირებული დავა დიდი ხნით გაგრძელდეს და სამუშაოების დასრულებისთვის გეგმით გათვალისწინებულ ვადას მნიშვნელოვნად გადააჭარბოს, სამუშაოების დროულად განუხორციელებლობა კი, მოსარჩელის მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, გაზის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში, ზარალდება მომხმარებელთა ფართო სპექტრი.[45]

---

[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-554-529-2016.

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1513-2018(ბ).

[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1549-2018.

[45] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-870-2018.

აუცილებელი გზის უფლების თაობაზე სარჩელი ფორმალურად გამართულია, თუ მოსარჩელე მიუთითებს ნორმით განსაზღვრულ ყველა წინაპირობაზე: ა) ის უნდა წარმოადგენდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს; ბ) მიწის ნაკვეთს არ უნდა გააჩნდეს ჯეროვანი კავშირი საჯარო გზასთან; გ) მეზობელი ნაკვეთის აუცილებელ გზად გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ნივთის ფაქტობრივი მდებარეობითა და ფუნქციური დანიშნულებისამებრ გამოყენებით; დ) მეზობელი მიწის ნაკვეთი უნდა იყოს მიზნის მიღწევის ერთადერთი პროპორციული საშუალება. იმის მიხედვით, თუ ჩამოთვლილთაგან რომელ ფაქტებს შეედავება მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე, განისაზღვრება მტკიცების საგანი და შედავებათა პროცესუალური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ნაწილდება მტკიცების ტვირთი.[46]

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავად კორპორაციის განმარტებით, დასახელებულ მიწის ნაკვეთზე არ გადის გაზსადენი მილი, არამედ სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, სამშენებლო ტექნიკის განლაგების მიზნით, ითხოვდა აუცილებელი გზის მოწყობის უფლების მოპოვებას. უდავოა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ფაქტი, მხარეები არ უარყოფენ დასახელებულ ნაკვეთზე გაზსადენი მილის არარსებობას, შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა დასახელებული მიწის ნაკვეთის უფლებრივი დატვირთვის შესახებ დაუსაბუთებელია.[47]

მნიშვნელოვანია არა ის ფაქტი, არითმეტიკულად რამდენი მესაკუთრის უფლებას შეზღუდავს აუცილებელი გზის დადგენა, არამედ აღნიშნული შეზღუდვის ხასიათი და ხარისხი. კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის წარდგენის გზით ვერ დაარწმუნა სასამართლო მის მიერ მოთხოვნილი აუცილებელი გზის უალტერნატივობასა და მისი სადავო სახით დადგენის ობიექტურ აუცილებლობაში.[48] კასატორის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ სადავო გზამ უნდა გადაკვეთოს საჯარო სკოლის შესასვლელი ტერიტორია, რაც პოტენციურად საფრთხის შემცველია მოსწავლეთათვის იმ პირობებში, როდესაც ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია სხვა სახით გზის მოწყობის შესაძლებლობაც.[49]

სსკ-ის 247-ე და 180-ე მუხლების შედარებითი ანალიზის შესაბამისად, თუ სერვიტუტი უკავშირდება მიწის ნაკვეთის გარკვეული უფლებით შესაძლო დატვირთვას, აუცილებელი გზა ცალსახად

---

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1869-2018.

[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-138-2020.

[48] შეად. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი/ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 34.

[49] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1605-2019.

გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვის იმპერატიულ მოთხოვნას.[50] პალატა მნიშვნელოვან განმარტებებს აკეთებს ალტერნატივების ერთმანეთთან შედარების, ტერიტორიების დანიშნულებისა და მესაკუთრისთვის აუცილებელი გზის დადგენით გამოწვეული ნეგატიური შედეგების გათვალისწინებაზე, მხარეთა ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე.[51]

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხოლოდ აუცილებელი გზის უფლების დადგენა განიხილებოდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „წინამდებარე დავის ფარგლებში კომპენსაციის საკითხი არ დამდგარა და ბუნებრივია, საკასაციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს თუმცა, ის არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ მოპასუხეებმა დაკარგეს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება."[52]

თმენა ეხება არა მხოლოდ მატერიალურ უფლებაში ჩარევას, როგორიცაა: შემოსავლის შემცირება, საკუთრების ჩვეულებრივი სარგებლობით უფლების შეზღუდვა, უძრავი ქონების საფასურის შეცვლა საუარესოდ და ა. შ. ასევე, არამატერიალურ უფლებებში ჩარევასაც.[53] კომპენსაციას ექვემდებარება არა მხოლოდ აუცილებელი გზის ფარგლებში არსებული თმენის ვალდებულება, ასევე ის შეზღუდვა, დანაკარგი, დანაკლისი, თუ ზემოქმედება, რისი თმენის ვალდებულებაც მესაკუთრეს აუცილებელი გზის დაწესებიდან გამომდინარე წარმოეშობა.[54]

თუ აუცილებელი გზის ვალდებულებით დატვირთულ მიწის ნაკვეთს აქვს კომერციული დანიშნულება, თმენისათვის კომპენსაცია შესაძლოა განისაზღვროს მისი გაქირავების ფასით, რადგან იჯარით გაცემა არის უძრავი ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა.[55] ასევე, აუცილებელი გზის უფლება უალტერნატივო შემთხვევებს გულისხმობს და აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი,

---

50 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1058-2020.

51 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-936-2021.

52 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-58-2019.

53 შეად. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მე-3 გამოც., თბ., 2014, 149-150.

54 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-786-2020. შეად. გამოხმაურება: ახალაძე მ., კვაჭაძე მ., ძიძიგური ნ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებები სამოქალაქო სამართალში, თბ., 2022, 32-33.

55 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-172-2021. დამატებით: კომპენსაციის ფორმა და შინაარსი (ღირებულება) დაკავირვებას საჭიროებს. პროფესორი ბესარიონ ზოიძე, ქართულ სამართალში ფორმალიზმთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „იურიდიული ფორმალიზმი სამართლის ფორმალური ყოფიერების გადამეტებული შეფასებაა, რომელზეც სამართლის შინაარსობრივი (მატერიალური) ელემენტები მხოლოდ მიბმულია. იგი არ უნდა იწვევდეს სამართლის არაპოზიტიური ყოფიერების (მდგომარეობის) დაჩრდილვა – დაკნინებას, ვინაიდან ეს ხელს უშლის სამოსამართლო სამართლის განვითარებას". იხ.: ზოიძე ბ., ფორმალიზმი ქართულ სამართალში – უპირატესად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. საჯარო სამართლის ჟურნალი, №1, 2023, 124.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გზის მოთხოვნა აღნაგობით, სერვიტუტით ან სხვა საფუძვლით არ შეიძლება. აუცილებლობაა განმსაზღვრელი ურთიერთობის მოწესრიგებისთვის.

დასკვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა „აუცილებელი გზის" დადგენაზე სახასიათო და მნიშვნელოვან სამართლებრივ მსჯელობას შეიცავს, რაც უზრუნველყოფს სსკ-ის 180-ე მუხლის პრაქტიკული გამოყენების დასაბუთებას, მაგრამ საკუთრების კონსტიტუციური უფლების ჭრილში ამ მუხლის საფუძვლით მოთხოვნის უპირობო ხასიათი და მასშტაბი ზღუდავს მეზობელი მესაკუთრის უფლებას მიწის ნაკვეთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის თაობაზე. აუცილებელი გზის დასადგენად ნორმატიული ჩანაწერის შეფასება სადავო შემთხვევებთან ერთად მიანიშნებს, რომ მისაღწევი შედეგი – დადგინდეს გზა, შეიძლება საერთოდ არ ატარებდეს აუცილებელ ხასიათს თუმცა, ზღვარი აუცილებელი და არააუცილებელი შინაარსის გზებს შორის მოქალაქეთა იურიდიულ ინტერესებსა და სასამართლო დავაზე გადის. ინტერესთა დაპირისპირებაში სასამართლოს ფუნქცია გამოიხატება საპროცესო კანონმდებლობის დაცვით საკითხის გადაწყვეტაში, სადაც ცალკეული გადაწყვეტილება, ხშირად ფუძემდებლური აღმოჩნდება ხოლმე, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად, სოციალური საკითხები წარმოშობს პრაქტიკის შეცვლის საჭიროებას. მაშინ, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალია, მტკიცებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოთხოვნისა და შემხვედრი პოზიციის დასასაბუთებლად.

მოთხოვნა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მან თავიდანვე გამორიცხოს სხვა ალტერნატივები, თუ მოსარჩელეს ეჭვი ეპარება მოთხოვნის საფუძვლიანობაში, მაშინ ის სსკ-ის 180-ე მუხლს არ უნდა იყენებდეს აუცილებელი გზის დასადგენად. მოპასუხის შემხვედრი პოზიცია მოსალოდნელია, რომ იქნება წინააღმდეგობრივი, რადგან მოთხოვნის წარმდგენი იჭრება მოპასუხის საკუთრებაში, არღვევს საკუთრების სტრუქტურას, ცვლის ფართობს, მდებარეობას და ამით ტერიტორიულად ამცირებს მოპასუხის ქონებას. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი უპირისპირდება სხვა ინტერესებს, როდესაც ნაკვეთი, რომელზედაც აუცილებელი გზა უნდა დადგინდეს მაღალი საბაზრო ღირებულებისაა, მიუხედავად იმისა, ეს ნაკვეთი სოფლადაა თუ ქალაქად. გაუმართლებელია განსხვავებული პრაქტიკის ჩამოყალიბება სასოფლო და საქალაქო მიწის ნაკვეთებზე აუცილებელი გზის დასადგენად. პრაქტიკა არ უნდა განვითარდეს მოთხოვნის დაკმაყოფილებით ისე, რომ სამართლებრივი საფუძვლები გადაფაროს ერთჯერადად გადახდილი თანხის ოდენობამ.

RIGHT OF WAY OF NECESSITY IN THE PRACTICE OF THE SUPREME COURT OF GEORGIA

IRAKLI LEONIDZE
PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, Mediator, Researcher of International Relations, Analytics, and Strategic Development Department at the Personal Data Protection Service

The title of Article 180 of the Civil Code of Georgia is "The Way of Necessity." This article is in the neighborhood chapter and contains important topics for private owners who do not have the opportunity to use the land to establish a connection to public roads, electricity, oil, gas, and water supply networks. In the event of proving the objective circumstances, the owner is entitled to request that the neighbor tolerate the use of his plot of land to ensure the connection necessary for the applicant. The review of the practice of the Supreme Court of Georgia regarding the determination of the necessary path creates an opportunity to draw certain conclusions. Because the determination of the necessary path has a certain legal connection with other commercial rights and grounds of demand, the court may consider them as alternatives under different conditions. The requirement of a necessary road, as an extreme requirement for the owner of the neighboring needs to be checked whether other alternative means of achieving the result are excluded.

საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა ფარული მიყურადების განხორციელების სფეროში

ნინო შონია
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი

შესავალი

საზღვარგარეთის ქვეყნებში საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა აქტუალური თემაა, რადგან დანაშაულებრივი ქმედების წარმატებით გამოძიების ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.[1]

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, ფარული მიყურადების საშუალებათა ჩამონათვალი სწრაფად ფართოვდება. კერძოდ, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა სისხლის სამართლის საპროცესო თუ ცალკეული აქტებით დარეგულირებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს:

---

[1] ჯაოშვილი მ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევის ფარგლები (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამაგისტრო ნაშრომი, 2015, გვ. 25.

- ფარულ აუდიო ჩაწერას (სატელეფონო საუბრების ჩამწერი, ქსელთაშორისი ოქმის ტელეფონის,[2] მოსასმენი აპარატურის მეშვეობით);
- ვიზუალურ თვალთვალს (ფარული ვიდეოჩამწერი საშუალებების, ავტომობილში დასამონტაჟებელი ვიდეოსისტემების, სხეულზე დასამაგრებელი ვიდეომოწყობილობების, ღამით ხედვის თბოვიზური ხელსაწყოების, ვიდეოთვალთვალის კამერების[3] მეშვეობით);
- ადგილსამყოფელის ამოცნობას (გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემების,[4] მობილური ტელეფონების, რადიოსიხშირეების საიდენტიფიკაციო მოწყობილობების,[5] ბიომეტრიული ინფორმაციული ტექნოლოგიების[6] მეშვეობით);
- მონაცემთა მოპოვებას (კომპიუტერის/ინტერნეტის, ბლექბერის/მობილური ტელეფონების, კომპიუტერის კლავიატურის კლავიშების მონიტორინგის[7] პროგრამების მეშვეობით).

შესაბამისი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის ნებართვის მისაღებად, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა უნდა დაასაბუთოს, რომ ფარული ელექტრონული თვალთვალის განხორციელება აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების, განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთის ან თავიდან აცილებისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, როგორც წესი, დაწვრილებით არის ჩამოთვლილი დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც, შეიძლება დაწესდეს ელექტრონული თვალთვალი ან/და აღნიშნულია, თუ რა ვადით დასჯადი დანაშაულების ჩადენისთვის შეიძლება მიმართონ ფარულ მიყურადებას.

არის დანაშაულები, რომელთა გამოძიებისას საკმაოდ ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულია ელექტრონული თვალთვალის განხორციელება, ესენია: ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები, სახელმწიფო ღალატი, განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე ძალადობრივი დანაშაულები, მაგალითად, მკვლელობა, ადამიანის გატაცება და სხვა.

ასევე, არის დანაშაულები, რომელთა გამოძიებისას დაშვებულია ელექტრონული თვალთვალი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, მაგალითად: ქურდობასთან და ქრთამის აღებასთან დაკავშირებული დანაშაულები (გერმანია, აშშ, ახალი ზელანდია, ხორვატია, თურქეთი, პოლონეთი, სლოვენია), ეკონომიკური დანაშაულები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის კეთილდღეობას (დიდი ბრიტანეთი, აშშ), არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართული გარკვეული კატეგორიის დანაშაულები და ა. შ.

---

2 ინგლ. Voice over Internet Protocol – VoIP.
3 ინგლ. Closed Circuit Television – CCTV.
4 ინგლ. The Global Positioning System – GPS.
5 ინგლ. Radio frequency identification devices – RFID.
6 მაგალითად, თვალის ბადურის სკანერი აეროპორტებში.
7 ინგლ. Keystroke monitoring software.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ შესაძლებელია ნებისმიერი სახის სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებისთვის დაწესდეს ელექტრონული თვალთვალი, მოსამართლის შეხედულებისამებრ გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში (კანადა, ავსტრალია).[8]

შუამდგომლობაში ელექტრონული საშუალებებით თვალთვალის დაწესებისათვის დასაბუთებული უნდა იყოს გონივრული ეჭვი იმის თაობაზე, რომ პირმა ან პირთა ჯგუფმა ჩაიდინა, ჩადის ან სავარაუდოდ ჩაიდენს დანაშაულს და რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების გარეშე შეუძლებელია ან ძალზე ძნელია მტკიცებულებების მოპოვება.[9]

წინამდებარე თავი მიმოიხილავს საზღვარგარეთის სხვადასხვა მოწინავე ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, განახორციელონ შესაბამისი ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებებით დადგენილი სტანდარტები პირადი ცხოვრების დაცულობის კონტექსტში. აღნიშნულ თავში გვსურს ნათლად წარმოჩინდეს ის საკანონმდებლო დებულებები და ნორმები, რომელიც წინამდებარე თემატიკასთან მჭიდრო კავშირშია და ამავე დროს უზრუნველყოფს შედარებით ანალიზს ფარული მიყურადების განხორციელების თეორიულ თუ პრაქტიკულ დონეზე.

1. ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დარეგულირებულია როგორც აშშ-ს ძირითადი კოდექსით, ასევე სხვადასხვა ფედერალური კანონით, რომელიც ინტეგრირებულია აშშ-ის ძირითად კოდექსში.

კერძოდ, ფარული მიყურადების საკითხი აშშ-ში უზრუნველყოფილია სამი ფედერალური აქტით: 1968 წლის სატრანსპორტო დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების აქტი (ფარული მიყურადების აქტი), რომელიც ჩანაცვლდა 1986 წლის ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალობის აქტით; 1978 წლის საგარეო დაზვერვის ზედამხედველობის აქტი და 1995 წლის სამართალდამცავთათვის საკომუნიკაციო დახმარების შესახებ აქტი.[10]

1986 წლის ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალობის აქტი არეგულირებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში ელექტრონული კომუნიკაციის გადაჭერის საკითხებს.[11]

---

8 ახალი სამხრეთ უელსის შტატი.

9 ხმალაძე მ., მიყურადებისა და კავშირგაბმულობის არხებიდან ინფორმაციის მოხსნის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კვლევითი დეპარტამენტი, საქართველოს პარლამენტი, 2014.

10 იხ.: https://clfr.globalnetworkinitiative.org/country/united-states/ [31.01.2024].

11 1986 წლის ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალობის აქტი (ECPA), https://bja.ojp.gov/program/it/privacy-civil-liberties/authorities/statutes/1285 [03.02.2024].

1978 წლის საგარეო დაზვერვის ზედამხედველობის აქტი განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან უცხოური სადაზვერვო ინფორმაციის გადაჭერის უფლებამოსილებებს ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, როცა არ არსებობს სისხლისსამართლებრივი ქმედების ნიშნები.[12]

1995 წლის სამართალდამცავთათვის საკომუნიკაციო დახმარების შესახებ აქტი ავალდებულებს სატელეკომუნიკაციო მწარმოებლებსა და გადამზიდველებს მოაწყონ სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა, საშუალებები და სერვისები სწრაფი თვალთვალის შესაძლებლობებით. კონგრესმა წინამდებარე აქტი მიიღო მზარდი შეშფოთების საპასუხოდ, რომ ახალი ტექნოლოგიები შეაფერხებდა მთავრობის უნარს ფარული მიყურადების განხორციელებაში.[13]

აშშ-ის კოდექსი, რომელიც არის შეერთებული შტატების ზოგადი და მუდმივი ფედერალური წესების ოფიციალური კოდიფიკაცია, მოიცავს ძირითად მარეგულირებელ ნორმებს სახელმწიფოს ყველა სფეროში. აღნიშნული კოდექსის მე-18 წიგნი ეთმობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას. კერძოდ, აღნიშნული წიგნის პირველი ნაწილის 199-ე თავი ეთმობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას.[14]

წინამდებარე კოდექსით, გენერალურ პროკურორს, გენერალური პროკურორის მოადგილეს, გენერალური პროკურორის თანაშემწეს, გენერალური პროკურორის თანაშემწის ნებისმიერ მოადგილეს ან გენერალური პროკურორის მიერ სპეციალურად დანიშნულ მისი თანაშემწის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს კრიმინალური ან ეროვნული უსაფრთხოების განყოფილებაში შეუძლია მიმართოს კომპეტენტური იურისდიქციის ფედერალურ მოსამართლეს, რომელიც აღნიშნული კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილია გასცეს ბრძანება გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ფარული მიყურადების ან თვალთვალის შესახებ. აღნიშნული ნებართვა ასევე, შეიძლება გაიცეს იმ ფედერალური სააგენტოს მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მტკიცებულებები.[15]

სახელმწიფოს მთავარი პროკურორი ან რომელიმე შტატის პოლიტიკური ქვედანაყოფის მთავარი პროკურორი შტატის კანონმდებლობით უფლებამოსილების ფარგლებში მიმართავს კომპეტენტური იურისდიქციის მოსამართლეს ფარული მიყურადების შესახებ ბრძანების

---

12 1978 წლის საგარეო დაზვერვის ზედამხედველობის აქტი (FISA), https://bja.ojp.gov/program/it/privacy-civil-liberties/authorities/statutes/1286 [03.02.2024].

13 1995 წლის სამართალდამცავთათვის საკომუნიკაციო დახმარების შესახებ აქტი (CALEA), https://www.fcc.gov/calea [03.02.2024].

14 აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/part-I/chapter-119 [31.01.2024].

15 აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2516 [31.01.2024].

გაცემის თაობაზე. აღნიშნული მოსამართლე წინამდებარე კოდექსისა და შესაბამისი შტატის კანონმდელობის შესაბამისად, გასცემს ბრძანებას საგამოძიებო ან სამართალდამცავი ოფიცრების მიერ ფარული მიყურადების შესახებ. აღნიშნული პირები პასუხისმგებელნი არიან იმ დანაშაულების გამოძიებაზე, რომლის შესახებაც შუამდგომლობა წარდგენილია და როცა ასეთმა ფარულმა საგამოძიებო მოქმედებებმა შეიძლება უზრუნველყოს მტკიცებულებების წარმოდგენა კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულებზე: მკვლელობა, გატაცება, ტრეფიკინგი, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, ბავშვთა პორნოგრაფია, პროსტიტუცია, აზარტულ თამაშებში ჩაბმა, ძარცვა, კორუფცია, გამოძალვა, ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა ან სხვა დანაშაულები, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე მეტი ვადით. ამასთან, როცა ნებისმიერი შტატის მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია ფარული თვალთვალის განხორციელება რომელიმე ზემოაღნიშნული დანაშაულის გამოძიებისთვის.

შტატის ნებისმიერ პროკურორს შეუძლია მიმართოს კომპეტენტური იურისდიქციის ფედერალურ მოსამართლეს და ასეთმა მოსამართლემ შეიძლება დააკმაყოფილოს შესაბამისი შუამდგომლობა და გასცეს ბრძანება გამომძიებლის ან სამართალდამცავი ოფიცრის მიერ ფარული მიყურადების შესახებ იმ დანაშაულის გამოძიებაზე, რომელზედაც შეტანილია განცხადება და როდესაც ასეთმა მოსმენამ შეიძლება უზრუნველყოს რომელიმე ფედერალურ დანაშაულზე მტკიცებულების წარმოდგენა.[16]

ამ კოდექსით გათვალისწინებული ყოველი შუამდგომლობა ფარული მიყურადების თაობაზე, წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფიცის ან დამოწმების ფორმით, კომპეტენტური იურისდიქციის მოსამართლესთან და მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის უფლებამოსილება ასეთი შუამდგომლობის დასაყენებლად.

მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობის ავტორს მოსთხოვოს დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა შესაბამისი მიმართვის დასადასტურებლად.

ასეთი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია გამოიტანოს ex parte ბრძანება ფარული მიყურადების ნებართვის თაობაზე, სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში.[17]

ფარული მიყურადების ნებართვის შესახებ გაცემული ბრძანება მოქმედებს ოცდაათი დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი მოსამართლის მხრიდან შესაბამისი აუცილებელი მიზნების მიღწევიდან გამომდინარე თუმცა, იგი არ უნდა აჭარბებდეს ოცდაათდღიან პერიოდს. მოსამართლის მიერ გაცემული ნებისმიერი

[16] აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2516 [31.01.2024].

[17] აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2518 [31.01.2024].

ბრძანება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნებართვასთან დაკავშირებით ან ვადის გახანგრძლივებასთან მიმართებით უნდა მოიცავდეს დებულებას, რომლის მიხედვითაც, ნებართვა შესრულდება რაც შეიძლება მალე, უნდა განხორციელდეს ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს სხვა ისეთი კომუნიკაციების გადაჭერა, რაც სხვა შემთხვევაში, არ დაექვემდებარებოდა ამ კოდექსის საფუძველზე მიყურადებას და უნდა შეწყდეს ბრძანებაში მითითებული მიზნების მიღწევისთანავე ან ნებისმიერ შემთხვევაში, ოცდაათი დღის განმავლობაში.

ნებისმიერი გამომძიებელი ან სამართალდამცავი ოფიცერი, რომელიც სპეციალურად დანიშნულია გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის მოადგილის, უმცროსი გენერალური პროკურორის, რომელიმე შტატის ან მისი ქვედანაყოფის მთავარი პროკურორის მიერ და გონივრულად განსაზღვრავს, რომ:

(ა) არსებობს საგანგებო სიტუაცია, რომელიც მოიცავს:
   (i) ნებისმიერი ადამიანის სიკვდილის ან სერიოზული ფიზიკური დაზიანების უშუალო საფრთხეს;
   (ii) კონსპირაციულ ქმედებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, ან
   (iii) ორგანიზებული დანაშაულისთვის დამახასიათებელ კონსპირაციულ საქმიანობას, რომელიც მოითხოვს ფარულ მიყურადებას მანამ, სანამ ბრძანება, ასეთი ღონისძიების განხორციელების შესახებ იქნება სათანადოდ მიღებული, და
(ბ) არსებობს გარემოებები, რომლის საფუძველზეც შეიძლება მიღებულ იქნას ბრძანება ამ თავით აღნიშნული წესით, ფარული მიყურადების შესახებ ნებართვის გაცემის შესახებ;

ზემოაღნიშნულ პირებს შეუძლია სხვადასხვა ელექტრონული კომუნიკაციის გადაჭერა, თუ შუამდგომლობა ფარული მიყურადების შესახებ შესაბამისი მოსამართლის მხრიდან ნებართვის გაცემის ბრძანების შესახებ შესრულებულია ამ თავის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედებების დაწყებიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში. ბრძანების არარსებობის შემთხვევაში, ასეთი ფარული საგამოძიებო მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, როდესაც შესაბამისი შუამდგომლობა არ კმაყოფილდება. მიმართვის უარყოფის ან ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც ფარული თვალთვალი წყდება ბრძანების არარსებობის გამო, ასეთი ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ნებისმიერი მონაცემები/ინფორმაცია მიიჩნევა, როგორც ამ თავის დარღვევით მოპოვებულად და შესაბამის რეესტრში აღირიცხება.[18]

[18] აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2518 [03.02.2024].

კანონის დარღვევით ჩატარებული ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული ინ-ფორმაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად ნებისმიერ სასამართლო პროცესზე ან შეერთებული შტატების სხვა ორგანოსა თუ უწყებაში.[19]

იმ პირს, რომელიც შტატების ძირითადი კოდექსის საწინააღმდეგოდ დაექვემდებარა უკანონო ფარულ მიყურადებას და სხვაგვარად შეელახა უფლებები, შესაბამისი სამარ-თალდარღვევის შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლია კანონის შესაბამისად მოითხოვოს მიყენებული ზიანის სათანადო ანაზღაურება.[20]

ყოველი წლის იანვარში, თითოეული მოსამართლე, რომელმაც გამოსცა ბრძანება ფარუ-ლი მიყურადების ნებართვის შესახებ კოდექსის მიხედვით ან რომელმაც არ დააკმაყოფილა შესაბამისი შუამდგომლობა, ანგარიშვალდებულია შტატების სასამართლოების ადმინისტ-რაციული ოფისის მიმართ.

ყოველი წლის მარტში, გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის მიერ სპეციალურად დანიშნული გენერალური პროკურორის თანაშემწე ან შტატის მთავარი პროკურორი ან შტატის რომელიმე პოლიტიკური ქვედანაყოფის მთავარი პროკურორი, ანგარიშვალდებულია შტატების სასამართლოების ადმინისტრაციული ოფისის მიმართ.

ყოველი წლის ივნისში შეერთებული შტატების სასამართლოების ადმინისტრაციული ოფისის დირექტორი კონგრესს წარუდგენს სრულ და ყოვლისმომცველ ანგარიშს ფარული მიყურადების შესახებ ამ კოდექსით დაკმაყოფილებული შუამდგომლობების თაობაზე. ასევე, ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას წინა კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული ან უარყოფილი ბრძანებების რაოდენობის შესახებ, მათ შორის, მიყურადების თაობაზე ვადის გაგრძელების კონტექსტში.

2. დიდი ბრიტანეთი

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატა-რების წესი დიდ ბრიტანეთში დარეგულირებულია საგამოძიებო უფლებამოსილების რეგუ-ლირების შესახებ აქტით (RIPA)[21] და საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ აქტით (IPA),[22] რომელიც განავრცობს და ახლებურად აწესრიგებს ფარული მიყურადებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საკითხს და ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალური და პირადი ინფორმაციის დამუშავებასა და დაცვას.

---

19 აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2515 [03.02.2024].

20 აშშ-ის კოდექსი, https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2520 [03.02.2024].

21 საგამოძიებო უფლებამოსილების მოწესრიგების შესახებ აქტი - Regulation of Investigatory Powers Act 2000, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/23/contents [27.01.2024].

22 საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ აქტი – Investigatory Powers Act 2016 [27.01.2024].

საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ აქტის მიხედვით, შესაძლებელია ინფორმაციის მოხსნა საფოსტო თუ სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებებიდან შესაბამისი ორდერის ან ღონისძიებების სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, ასეთი მოხსნა დანაშაულს წარმოადგენს იმ შემთხვევაში თუ ის განხორციელდა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების გარეშე.[23] ასევე, დანაშაულად ითვლება პირადი ტელეკომუნიკაციის სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა ორდერის ან თანხმობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ტელეკომუნიკაციის საშუალებებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე, მოიაზრებს პირად მობილურებს. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქმე – ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Halford v. UK,[24] სადაც განმცხადებლის (პოლიციელის) თანახმად, ისმინებოდა მისი პირადი მობილური. იმ დროისათვის ბრიტანეთის მოქმედი კანონმდებლობა საკომუნიკაციო საშუალებებში არ ითვალისწინებდა პირად მობილურებს, შესაბამისად, ევროპის სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მერვე მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა.

ამჟამად მოქმედი, 2016 წელს მიღებული საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ აქტი საკმაოდ ფართოდ განმარტავს სატელეკომუნიკაციო სისტემას და ფარავს მობილურ ტელეფონებს (მათ შორის, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს), ელექტრონულ მეილს და პირად გვერდებს.[25]

ინფორმაციის მოხსნის უფლებაზე ორდერს გასცემს სახელმწიფო მდივანი, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში, აღნიშნულ ორდერს ამოწმებს სასამართლო კომისარი. სახელმწიფო მდივანი ასევე, გასცემს ორდერს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ურთიერთდახმარების საკითხებს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიის გარეთ.[26] გამონაკლისს წარმოადგენს შოტლანდია, სადაც მინისტრებს აქვთ უფლება ფარული მიყურადების შესახებ ორდერის გაცემისა, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ორდერს ამოწმებს კვლავ სასამართლო კომისარი, რომელსაც აქვს მართლმსაჯულების სფეროში მაღალ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება.[27]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მდივანს შეუძლია გასცეს ინფორმაციის მოხსნაზე ორდერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი აზრით ეს აუცილებელია ეროვნული უსაფრთ-

---

23 IPA 2016, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/contents [27.01.2024].

24 ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (Halford v. UK) (1997) ECtHR.

25 IPA 2016, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/notes/division/6/index.htm [27.01.2024].

26 IPA 2016, იხ., https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/19 [27.01.2024].

27 IPA 2016, იხ., https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/21 [27.01.2024].

ხოებისთვის, მძიმე დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენისთვის,[28] ასევე, საერთაშორისო ურთიერთდახმარების საჭიროებისას და გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის უსაფრთხოებისათვის. ამავე დროს, ორდერში გაწერილი ქმედება უნდა იყოს მიზნის პროპორციული.[29]

მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რას უნდა შეიცავდეს ორდერი. ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით, მასში მითითებული უნდა იყოს ერთი პირი, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის მოხსნის/მიყურადების სუბიექტს ან უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ შენობა/ნაგებობების შესახებ, სადაც უნდა განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. ორდერი ასევე, უნდა შეიცავდეს დეტალურ მონაცემებს მისამართთან, ნომერთან, აპარატთან და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა იმ საკომუნიკაციო საშუალებების იდენტიფიცირებისათვის, საიდანაც უნდა მოხდეს ინფორმაციის მოხსნა.[30] ბრიტანეთის კანონმდებლობა ასევე, განსაზღვრავს ორდერის ხანგრძლივობას, კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი ორდერი უნდა გაუქმდეს, როგორც კი, დასრულდება შესაბამისი პერიოდი,[31] მაგრამ შესაძლოა, განახლებულ იქნას ასეთი პერიოდის დასრულებამდე ნებისმიერ დროს იმავე წესის ანალოგიურად, როგორც ხდებოდა ორდერის გაცემისას.[32] ხოლო, გადაუდებელი აუცილებლობის დროს გაცემულ ორდერს აქვს 12 დღის ვადა.

საგამოძიებო უფლებამოსილების რეგულირების შესახებ აქტი დამატებით ადგენს სპეციალური ტრიბუნალის შექმნის წესს, რომელიც განიხილავს სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების შედეგად დარღვეულ უფლებებთან დაკავშირებულ საჩივრებს.[33] პროცედურების დარღვევით ორდერის გაცემის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ტრიბუნალი უფლებამოსილია გააუქმოს ორდერი და დაადგინოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.[34]

საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ აქტი განსაზღვრავს შესაბამისი ფარული საგამოძიებო თუ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებაზე ზედამხედველობის

---

[28] მძიმე დანაშაული განმარტებულია აქტის ზოგად დეფინიციებში, როგორც დანაშაული, ჩადენილი 21 წელს მიღწეული პირის (შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ხოლო ინგლისისა და უელსის შემთხვევაში – 18 წელი) მიერ, რომელიც არ იყო ნასამართლევი და ექვემდებარება თავისუფლების აღკვეთას სამი ან მეტი წლით ან ძალადობრივი დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია დიდი ოდენობით თანხების მითვისებასთან ან ჩადენილია ჯგუფის მიერ ერთიანი საერთო განზრახვით, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/263 [28.01.2024].

[29] IPA 2016, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/20 [28.01.2024].

[30] IPA 2016, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/31 [28.01.2024].

[31] შესაბამისი პერიოდი გულისხმობს, რომ აქტით გათვალისწინებული საფუძვლების შემთხვევაში ორდერი უნდა გაიცეს 6 თვის ვადით, ხოლო მისი განახლების შემთხვევაში ორდერის ხანგრძლივობა არის 30 დღე.

[32] IPA 2016, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/33 [28.01.2024].

[33] RIPA 2000, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/23/section/65 [28.01.2024].

[34] RIPA 2000, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/23/section/67 [28.01.2024].

მექანიზმს. კერძოდ, წინამდებარე აქტით დარეგულირებულია საგამოძიებო უფლებამოსილების კომისრისა და სხვა სასამართლო კომისრების უფლება-მოვალეობები და ფუნქციები.[35] წინამდებარე პოზიციაზე თანამდებობაზე ნიშნავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 3 წლის ვადით. კომისრის ძირითადი ფუნქცია უკავშირდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებულ ფარულ საგამოძიებო ღონისძიებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას, მათ შორის, მოპოვებული მონაცემების შენახვა, დამუშავებასა და გამჟღავნებაზე მეთვალყურეობას.[36] საგამოძიებო უფლებამოსილების კომისარი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს პრემიერ-მინისტრს, სასამართლო კომისრების მიერ განხორცილებული საქმიანობის შესახებ კანონისმიერად დაკისრებული უფლებამოსილების კონტექსტში.[37]

ფარული მიყურადების ღონისძიებების განხორციელების კონტექსტში, უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიდ ბრიტანეთში მოქმედი კანონმდებლობა ადამიანის უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. 2018 წლის მონაცემთა დაცვის აქტი დიდ ბრიტანეთში არეგულირებს საჯარო და კერძო ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, მათ შორის, სათვალთვალო კამერებისა და მონიტორინგის სხვა ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებს. მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის თანახმად, საჯარო და კერძო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება იყოს კანონიერი, სამართლიანი და გამჭვირვალე, ამასთან, დაცული იყოს პირთა უფლებები.

მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი არის 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტი, რომელიც არეგულირებს ევროპული კონვენციით დაცული უფლებების რეალიზების საკითხებს ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისას, დიდ ბრიტანეთში. კერძოდ, იგი აერთიანებს ევროკონვენციით აღიარებულ უფლებებს გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. უფრო კონკრეტულად, საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ფარული თუ ოპერატიული ღონისძიება იყოს პროპორციული, აუცილებელი და კერძო პირთა უფლებები არ იყოს დარღვეული.[38]

3. გერმანია

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 (ა) მუხლი ითვალისწინებს სატელეკომუნიკაციო საუბრების ფარულად მოსმენისა და ჩაწერის პირობებს. ასევე, ამავე

35 IPA 2016, https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/contents [28.01.2024].

36 იხ.: https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/229 [28.01.2024].

37 იხ.: https://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/25/section/234 [28.01.2024].

38 იხ.: https://ableinvestigations.com/what-laws-are-there-on-surveillance-in-the-uk/ [28.01.2024].

კოდექსის მე-100 (გ) მუხლი ითვალისწინებს პირის პირადი საუბრებისა და საცხოვრებელი სახლის მიყურადებისა და ჩაწერის შესაძლებლობას. ასეთი სატელეკომუნიკაციო საუბრების მოსმენა დასაშვებია, თუ კონკრეტული ფაქტები წარმოშობენ გონივრულ ეჭვს, რომ ეს პირი არის ამსრულებელი ან თანამონაწილე განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულში,[39] დანაშაული არის განსაკუთრებული მძიმე კატეგორიის და სხვა საშუალებები ფაქტის დასადგენად ბევრად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის საქმის გამოძიებას. დანაშაულის ჩამონათვალი, როდესაც შესაძლებელია საცხოვრებელ სახლში ან პირად საუბრებზე მიყურადება უფრო მცირეა, ვიდრე ეს ტელეკომუნიკაციის მოსმენისას. ანალოგიური წესი მოქმედებს საცხოვრებელი სახლის მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების მიმართ, თუმცა ასევე, ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნას არსებობდეს ვარაუდი, რომ თვალთვალის შედეგად შესაძლებელი იქნება ფაქტებსა და კონკრეტულ ბრალდებულ პირზე ინფორმაციის შეგროვება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 (ე) მუხლის თანახმად, ფარული მიყურადების შესახებ ბრძანებას გასცემს სასამართლო პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროკურატურას თავადაც შეუძლია გასცეს ბრძანება, თუმცა, ის ძალადაკარგულად ითვლება, თუ სასამართლო არ დაამტკიცებს მას 3 დღის ვადაში. ბრძანება არ შეიძლება მოიცავდეს ფარული მიყურადების უფლებას 3 თვეზე მეტი ხნის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, შესაძლებელია 3-3 თვით ვადის გაგრძელება, თუ კვლავ იარსებებს ფარული მიყურადების საფუძვლები. ბრძანება უნდა იყოს წერილობითი ფორმის და მოიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: როდესაც ცნობილია – სახელი, გვარი და მისამართი იმ პირის, ვის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, ტელეფონის ნომერი ან სხვა ტექნიკური მოწყობილობის კოდი, რაზეც ხორციელდება ფარული მიყურადება და შესაბამისი ტექნიკური საშუალება, ფარგლები და დრო; ასევე, მითითებული უნდა იყოს სავარაუდო დანაშაულის სახე და ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნას აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად. ამ ბრძანების საფუძველზე, ტე-

[39] გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლის გამოძიების პროცესშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფარული მიყურადება არის: დანაშაულები მშვიდობის, ქვეყნის დემოკრატიული წეს-წყობილების, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ, მათ შორის, ქრთამის აღება, სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა, ფულის და ოფიციალური საბუთების გაყალბება, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, არასრულწლოვანთა გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება, გასაღება და გავრცელება, მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფური ქურდობა, ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ნარკოტიკული დანაშაულები, იარაღის შესახებ კანონიდან გამომდინარე დანაშაულები, საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე დანაშაულები ფულად-საკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში და სხვა.

ლეკომუნიკაციების განმახორციელებელი ყველა კომპანია ვალდებულია ითანამშრომლოს სასამართლოსთან, პროკურატურასთან ან პოლიციასთან, რათა დახმარება აღმოუჩინოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაში. თუ ფარული მიყურადების საფუძველი აღარ არსებობს, ბრძანება უნდა გაუქმდეს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.[40]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 (ე) მუხლის თანახმად, პირად საუბრებზე კერძო საცხოვრებლებში მიყურადება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეგიონული სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ გამოცემული ბრძანებით, პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბრძანება შეიძლება გამოსცეს თავმჯდომარე მოსამართლემ, თუმცა, ის ძალას კარგავს, თუ შესაბამისი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია 3 დღეში არ დაამტკიცებს მას. ბრძანება შეიძლება მოიცავდეს პირად საცხოვრებელზე და საუბარზე მიყურადებას მაქსიმუმ ერთი თვით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, შესაძლებელია თითო-თითო თვით ვადის გაგრძელება, თუ კვლავ იარსებებს ფარული მიყურადების საფუძვლები. თუ მიყურადება აჭარბებს 6 თვის ვადას, შემდეგ ამ მიყურადების გაგრძელების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ზემდგომმა რეგიონულმა სასამართლომ. ბრძანება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: როდესაც ცნობილია – სახელი, გვარი და მისამართი იმ პირისა, ვის მიმართაც ხორციელდება მიყურადება, რა სახის დანაშაულის ძიება მიმდინარეობს, შესაბამისი კერძო დაწესებულებები ან ოთახები, სადაც შესაძლებელია მიყურადება განხორციელდეს, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს, რა ფარგლებში და რამდენი ხნით.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე (ბ) მუხლის მიხედვით, გენერალური პროკურორი ვალდებულია ყოველი წლის 30 ივნისს, იუსტიციის ფედერალურ ოფისს წარუდგინოს ინფორმაცია, თუ რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა გასული ერთი წლის განმავლობაში. იუსტიციის ფედერალური ოფისი თავის მხრივ, ამზადებს და აქვეყნებს ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობაზე.[41]

4. საფრანგეთი

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ფარული მიყურადება ხორციელდება ისეთ დანაშაულებზე, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს

[40] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები – ანალიტიკური დეპარტამენტი, იუსტიციის სამინისტრო.

[41] გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - German Code of Criminal Procedure, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html#p0572 [03.12.2023].

თავისუფლების აღკვეთას 3 წლითა და მეტი ვადით. ამ შემთხვევაში, გამომძიებელ მოსამართლეს უფლება აქვს, ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, გასცეს ელექტრონული საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენციის ფარული მიყურადების (მოსმენა, ჩაწერა და გაშიფვრა) ბრძანება. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ტარდება მოსამართლის უფლებამოსილებითა და კონტროლის ქვეშ.

წინამდებარე ბრძანება წერილობითი ხასიათისაა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

ფარული მიყურადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მოტივირებულია ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არსებობით, რომელიც ამართლებს აღნიშნული ღონისძიებების აუცილებლობას. იგი მოიცავს როგორც ყველა იმ ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს კავშირს მომხდარ დანაშაულსა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების აუცილებლობას შორის, ასევე, ასეთი ღონისძიებების გამოყენების ხანგრძლივობას.

ფარული მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მაქსიმუმ ოთხი თვის ვადით. იგი შეიძლება განახლდეს მხოლოდ იმავე საფუძვლებითა და ხანგრძლივობით ისე, რომ აღნიშნული ღონისძიებების ჯამური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს (გარდა კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებისა, რომლის შემთხვევაში, აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს).

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გამომძიებელი მოსამართლე ან მის მიერ დანიშნული პოლიციის თანამშრომელი, ამ უკანასკნელის კონტროლის ქვეშ ადგენს ოქმს, თითოეული განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ. აღნიშნულ ოქმში მითითებულია თარიღი და შესაბამისი ღონისძიების დასაწყისისა და დასრულების დრო. აღნიშნული ოქმი ილუქება.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული მასალები/ინფორმაცია ნადგურდება გენერალური პროკურორის ან პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. განადგურების შესახებ დგება ოქმი.[42]

1991 წლის 10 ივლისის №91-646 კანონით,[43] რომელიც ეხება ელექტრონული კომუნიკაციებით გაგზავნილი კორესპონდენციის საიდუმლოებას, შეიქმნა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა და უშიშროების კონტროლის ეროვნული კომისია (Commission nationale de contrôle des interceptions de sécurité, or CNCIS). იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ადმინისტ-

---

[42] საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები: 100–100.8, https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006071154/LEGISCTA000006182887?codeTitle=penal&anchor=LEGISCTA000032655289#LEGISCTA000032655289 [24.01.2024].

[43] იხ.: https://www.lagbd.org/Commission_nationale_de_contr%C3%B4le_des_interceptions_de_ s%C3%A9curit%C3%A9 _(fr)#cite_note-1 [25.01.2024].

რაციულ ორგანოს, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კოდექსის[44] საფუძველზე, ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების კანონიერებასა და შესაბამისობას. აღნიშნულ კონტექსტში, შესაბამის რეკომენდაციებს და მოსაზრებებს წარუდგენს სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს მონიტორინგის სხვადასხვა მოქმედებებთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული მიმართულებით, წინამდებარე კომისია ზედამხედველობს რა, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას, ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ.[45]

აღნიშნულ კონტექსტში, საფრანგეთში, 2006 წელს მიღებულ იქნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტი,[46] რომელიც უფლებას აძლევს პოლიციას წვდომა ჰქონდეს სატელეკომუნიკაციო არხებსა და შესაბამის მონაცემებზე სასამართლო კონტროლს მიღმა (აღნიშნულ შემთხვევაში, იგულისხმება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა და უშიშროების კონტროლის ეროვნული კომისიის მიერ დანიშნული შესაბამისი თანამშრომელი). კერძოდ, ზემოაღნიშნული აქტის ერთ-ერთი მიმართულება უკავშირდება პოლიციის მიერ დაკვირვებას საფრანგეთის გზებსა და ავტომაგისტრალებზე მოძრავ მანქანებზე, სურათების გადაღებას მანქანების ნომრებისა და მანქანაში მჯდომი პირებისთვის. აღნიშნული გამართლებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლითა და მოპარული მანქანების აღმოჩენის მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, სათვალთვალო კამერების დაყენების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად გადაჭერილი მონაცემების და მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის გახანგრძლივებული და გაზრდილი შესაძლებლობები.[47]

5. ესტონეთი

ფარული საგამოძიებო მოქმედებები დარეგულირებულია ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.[48] კერძოდ, წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულია, რომ ფარული მიყურადების ღონისძიებები ხორციელდება კანონის საფუძველზე, შესაბამისი

---

44 ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კოდექსი, https://www.legifrance.gouv.fr/codes/texte_lc/LEGITEXT000025503132 [24.01.2024].

45 იხ.: https://www.lagbd.org/Commission_nationale_de_contr%C3%B4le_des_interceptions_de_ s%C3%A9curit%C3%A9_(fr)#cite_note-1 [25.01.2024].

46 ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტი, https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000000454124/2024-01-25/ [25.01.2024წ.].

47 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები - ანალიტიკური დეპარტამენტი, იუსტიციის სამინისტრო.

48 ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, https://legislationline.org/sites/default/files/documents/3f/Code_Criminal_Procedure_2003_am2020_en.pdf [30.01.2024].

საფუძვლებისა და გარემოებების დროს. მას ასრულებენ უფლებამოსილი ორგანოები და ამასთან, დაცული უნდა იყოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული ინფორმაციის შენახვის, დამუშავების, განადგურებისა და შესაბამისი ადრესატისთვის შეტყობინების წესები. ამასთან, ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სხვა საშუალებებით ვერ იქნება მიღწეული გამოძიების მიზანი და ვერ იქნება მოპოვებული ან განსაკუთრებულ სირთულესთან იქნება დაკავშირებული საქმისთვის მნიშვნელოვანი აუცილებელი ინფორმაციისა თუ სხვა მტკიცებულებების უზრუნველყოფა. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სხვა ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ ქონებას, გაუმართლებლად არ ჩაერიოს გარემოს დაცვისა თუ სხვა უფლებებში.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები ხორციელდება პროკურატურის ან წინასწარი გამოძიების მოსამართლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. მოსამართლე დაუყოვნებლივ განიხილავს პროკურორის დასაბუთებულ შუამდგომლობას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, გასცემს ბრძანებას აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ.

გადაუდებელ შემთხვევებში, საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს პროკურატურის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რომელიც შესაბამისი ოპერატიული საქმიანობის დაწყების მომენტიდან შემდგომი 24 საათის განმავლობაში ფორმდება.

იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლეს, ფიზიკურ მთლიანობას, თავისუფლებას ან ქონებას იმწუთიერი საფრთხე ემუქრება და ვერ ხერხდება ნებართვის გაცემის თაობაზე დროული მიმართვა, ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და სასამართლოს მხრიდან წერილობითი ნებართვის შესახებ ბრძანება გაიცემა შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებების დაწყებიდან, მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

კონკრეტული პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ვადა შეადგენს 1 წელს, რომელიც გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია 1 წელზე მეტი ხნით გახანგრძლივდეს გენერალური პროკურორის ნებართვის ან სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე.[49] ცალკეულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია ორთვიანი ვადა, რომელიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე, წინასწარი გამოძიების მოსამართლის მიერ შეიძლება ისევ ორი თვით იქნას გაგრძელებული.

---

[49] ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, https://legislationline.org/sites/default/files/documents/3f/Code_Criminal_Procedure_2003_am2020_en.pdf [30.01.2024].

ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ნებართვის შესაბამისად განხორციელებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურა. შესაბამის უწყებებზე კონტროლს კი, ახორციელებს ესტონეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტი (რიიგიკოგუს კომიტეტი უსაფრთხოების ორგანოებზე ზედამხედველობის შესახებ). შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო წერილობით ანგარიშს წარუდგენს კომიტეტს სამ თვეში ერთხელ მაინც, ზემდგომი სამინისტროს მეშვეობით.

ამასთან, იუსტიციის სამინისტრო თავის ვებგვერდზე ყოველწლიურად, აქვეყნებს ანგარიშს შესაბამისი ორგანოებიდან, პროკურატურის ოფისებიდან და სასამართლოებიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული მოიცავს თემატიკას ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული მასალების რაოდენობასა და სახეებზე, შესაბამისი გაცემული ნებართვების რაოდენობასა და ტიპზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ ინფორმირებულ პირთა რაოდენობის შესახებ. ასევე, ინფორმაციას იმ პირების რაოდენობის შესახებ, რომელთაც ერთ წელზე მეტი ვადით გაუხანგრძლივდათ მათ მიმართ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.[50]

ესტონეთის 1994 წლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ აქტი[51] არეგულირებს საკომუნიკაციო საშუალებების მიყურადებისა და ფარული თვალთვალის წესს, ასევე, ინფორმატორის, პოლიციისა და სადაზვერვო სამსახურის მონაცემთა ბაზებს.

ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით, თვალთვალი უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ა) კანონიერების, გამჭვირვალობისა და საიდუმლოობის უზრუნველყოფა; ბ) თვალთვალის მეთოდების, ტაქტიკისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელი ორგანოს შიგნით და დაუშვებელია მისი გადაცემა, გარდა მათი მტკიცებულებად გამოყენების შემთხვევებისა; გ) არ შეიძლება თვალთვალი განხორციელდეს პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებებისა და მოძრაობების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ; დ) არ შეიძლება მოქალაქეთა რწმენის შესახებ მონაცემების შენახვა მათი თანხმობის გარეშე; ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

ესტონეთის კანონმდებლობის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განმახორციელებელ ორგანოებს უფლება აქვთ მოახდინონ ფარული დაკვირვება და ინფორმაციის ფარული შეგროვება, ნივთების ფარული ცვლილება, პირის ფარული იდენტიფიცირება, დაად-

---

50 ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, https://legislationline.org/sites/default/files/documents/3f/Code_Criminal_Procedure_2003_am2020_en.pdf [30.01.2024].

51 იხ.: http://www.worldlii.org/int/journals/EPICPrivHR/2006/PHR2006-Republic-8.html [30.01.2024].

გინონ მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და ტელეკომუნიკაციის შინაარსი, ხანგრძლივობა, მანერა და კომუნიკაციის ფორმა, გამგზავნისა და მიმღების პერსონალური მონაცემები და ადგილმდებარეობა.[52]

სასამართლო ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების თაობაზე ნებართვას გასცემს ერთ წლამდე ვადით და შესაძლებელია მისი განახლება ამავე ხანგრძლივობით.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ აქტი ასევე, არეგულირებს მოპოვებული ინფორმაციის შენახვის წესებს. ასეთი მონაცემები ინახება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელი ორგანოების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

ზემოაღნიშნული აქტით, ყველა მონაცემი უნდა განადგურდეს მისი შენახვის პერიოდის გასვლის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც მოპოვებული მონაცემები უნდა განადგურდეს სისხლისსამართლებრივი საქმის გამოვლენის, მსჯავრის გამოტანისა და დაკარგული პირის პოვნისთანავე. ასევე, მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს თუ არ დადასტურდება ინფორმაცია, რომლის გამოც დაიწყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

მონაცემების განადგურება ევალება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელი სააგენტოს მიერ შექმნილ შესაბამის კომიტეტს, რომელიც ადგენს ანგარიშს, სადაც ასახულია გასანადგურებელი ფაილების ოდენობა ან ასეთი ფაილების განადგურების შესახებ ინფორმაცია და განადგურების მიზეზი.

უფლებების დარღვევისაგან დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ესტონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს პროკურატურაში და სასამართლოში საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას.[53]

6. საქართველო

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, ასევე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან მიმართებით, საკმაოდ დახვეწილია და მაქსიმალურად მიახლოებულია ევროპულ სტანდარტებთან; თუმცა, ჯერ კიდევ, არსებობს გარკვეული გამოწვევები პრაქტიკაში, მისი შემდგომი დახვეწის მიზნით.

---

52 იქვე.

53 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები – კვლევა, იუსტიციის სამინისტრო, ანალიტიკური დეპარტამენტი.

როგორც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც ცალსახად განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, განხორციელების საფუძვლებს, მიზნებსა და ამოცანებს. ასევე, ჩამოთვლის იმ დანაშაულებს, თუ რა შემთხვევაშია ნებადართული ასეთი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცულობის კონტექსტში. მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულთა წრე უკიდეგანოდ ფართო არ იყოს და კონკრეტული კატეგორიების (მისი გახსნის სირთულიდან და შინაარსიდან გამომდინარე) მიხედვით განისაზღვროს შესაბამისი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შემთხვევები.

ხაზგასასმელია ჩვენი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესთან დაკავშირებით, რომელიც ანალოგიურია ძირითადი ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობისა. კერძოდ, აღნიშნული უკავშირდება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მიერ ფარული მიყურადების განხორციელებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობისა და მოსამართლის მხრიდან გაცემული განჩინების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია გადაუდებელი აუცილებლობის, ასევე, ასეთი მოქმედებების ჩატარების ვადებთან დაკავშირებული შემთხვევები, რომელიც ასევე, განხილულ იქნა ზემოთ მოტანილ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების, ასევე, მისი გახანგრძლივების ვადები შეუძლებელია ერთნაირი იყოს სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო იძლეოდეს მისი გონივრულ ფარგლებში განხორციელების ასევე, ვადის სათანადო საფუძვლებითა და შესაბამისი პირობებით გაგრძელების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ უსაფუძვლოდ არ დაირღვეს პირთა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ერთ-ერთი აღსანიშნავი საკითხი, წინამდებარე თემატიკის კუთხით, უკავშირდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას. როგორც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მაგალითი ცხადყოფს, ასეთ საგამოძიებო საქმიანობაზე მაკონტროლებელი ორგანო შეიძლება იყოს როგორც სასამართლო, ასევე აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების შტო (პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი, იუსტიციის სამინისტრო), აგრეთვე დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ქვეყნის პირველი პირის წინაშე აკეთებს შესაბამის ანგარიშგებას.

ჩვენი ეროვნული კანონმდებლობით, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო – პერსონა-

ლურ მონაცემთა დაცვის სამსახური უზრუნველყოფს ერთი მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს, ხოლო მეორე მხრივ, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს. მნიშვნელოვანია, რომ ზედამხედველი და მაკონტროლებელი ორგანოს როლი არსებითი იყოს და აკმაყოფილებდეს მისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულებას, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული საერთაშორისო და ევროპულ დონეზე აღიარებული უფლებები და გონივრული ბალანსი იყოს დაცული ეროვნულ უსაფრთოხებასა და პირის ძირითად უფლებებს შორის.

მნიშვნელოვანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების განადგურების საკითხები. ასევე, ადრესატისთვის შეტყობინების შემთხვევები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების მიხედვით რეგულირდება.

აგრეთვე აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების რეესტრთან დაკავშირებით. მასში აისახება სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე სასამართლოებში შესული შუამდგომლობებისა და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის ინფორმაცია. აღნიშნული ნორმა ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ის გამოწვევები, რომელიც ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით არსებობს ეროვნულ კანონმდებლობაში, უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, არამედ იგი მორგებული უნდა იყოს ეროვნულ მახასიათებლებსა და შიდა დონეზე არსებულ საჭიროებებს.

დასკვნა

წინამდებარე თავში განხილულ და გაანალიზებულ იქნა ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემების მქონე მოწინავე სახელმწიფოთა კანონმდებლობა ფარული საგამოძიებო თუ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების კონტექსტში. ამ კუთხით, დახასიათებული იქნა აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, საფრანგეთის და ესტონეთის შესაბამისი კანონმდებლობები და გაანალიზებულ იქნა თითო-

ეულ ამ სახელმწიფოში მოქმედი საგამოძიებო მოქმედებების თავისებურებები სათანადო უფლებრივი დაცვის გარანტიებით.

როგორც ზემოაღნიშნული სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის კვლევამ ცხადყო, ზოგადად, ნებისმიერი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ოთხი პრინციპი:

აუცილებლობა – რომ საჭირო მტკიცებულებების შეგროვება შესაძლებელია მხოლოდ ფარული მიყურადების ან თვალთვალის მეშვეობით;

- დამხმარე დანიშნულება – რომ გამოძიების სხვა საშუალებებით, რომლითაც ნაკლებად ხდება ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა, შეუძლებელია მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა. ხოლო აღნიშნული ღონისძიებების მეშვეობით შესაძლებელია ამის განხორციელება, მათ შორის, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, ვინც არ არის თვალთვალის უშუალო ობიექტი.
- სასამართლო კონტროლი – რომ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს ზედამხედველობას უწევს მოსამართლე; თუმცა, ზედამხედველობის მექანიზმი შესაძლებელია ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით, განსხვავებული იყოს.
- პროპორციულობა – რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციულია და შესაძლებელია ამის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება.[54]

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოება და თავისუფლება არ არიან აბსოლუტური ანტიპოდები, ისინი ავსებენ ერთმანეთს თუმცა, ეს ურთიერთობა არ არის ჰარმონიული. უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმავდროულად გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვას, მათ შორის, იმ მოქალაქეების უფლებების, ვისაც არ ჩაუდენია და არ შეუქმნია დანაშაულის ჩადენის საფრთხე უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერების დაცვით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიცხვს და მისი შეზღუდვა შესაძლებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თუმცა, უფლებაში ჩარევა შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ, მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.[55]

---

54 ხმალაძე მ., მიყურადებისა და კავშირგაბმულობის არხებიდან ინფორმაციის მოხსნის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კვლევითი დეპარტამენტი, საქართველოს პარლამენტი, 2014.

55 ფაფიაშვილი ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით; გვ. 80, 84, http://conlaw.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/10/90-VIII.pdf

რასაკვირველია, შესაბამისი ორგანოებისთვის იოლი არ არის, იპოვონ ოპტიმალური ბალანსი ამ ინტერესთა შორის და დანაშაულთან ბრძოლა მიმდინარეობდეს ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტების დაცვით. სისხლის საპროცესო სამართალი დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენის, აღკვეთისა და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. მათ შორის ერთ-ერთი, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ფარული ღონისძიებების განხორციელების ნებას რთავს.[56]

თუმცა, ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების მთავარი ფუნქციაა, მოძებნოს სათანადო ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის, მკაფიოდ განსაზღვროს უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან ნებადართული ჩარევის ფარგლები.

[56] გვასალია თ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა), 2015, გვ. 182, http://www.library.court.ge/upload/samartali_da_msoflio.pdf [04.02.2024].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარიამ ჯაოშვილი, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევის ფარგლები (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამაგისტრო ნაშრომი, 2015;
2. 1986 წლის ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალობის აქტი (ECPA);
3. 1978 წლის საგარეო დაზვერვის ზედამხედველობის აქტი (FISA);
4. 1995 წლის სამართალდამცავთათვის საკომუნიკაციო დახმარების შესახებ აქტი (CALEA);
5. აშშ-ის კოდექსი;
6. Regulation of Investigatory Powers Act (RIPA) 2000;
7. Investigatory Powers Act (IPA) 2016;
8. ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (Halford v. UK) (1997) EctHR;
9. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები – ანალიტიკური დეპარტამენტი, იუსტიციის სამინისტრო;
10. German Code of Criminal Procedure;
11. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
12. ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კოდექსი,
13. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტი;
14. ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
15. ლალი ფაფიაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით;
16. მაია ხმალაძე, მიყურადებისა და კავშირგაბმულობის არხებიდან ინფორმაციის მოხსნის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კვლევითი დეპარტამენტი, საქართველოს პარლამენტი, 2014;
17. თამარ გვასალია, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა), 2015;
18. ირინა აქუბარდია, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევაზ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, 2022;
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო,“ ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,“ ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ №1/1/625, 640, 16.04.2016, II-31.

THE BEST PRACTICES OF FOREIGN COUNTRIES IN THE FIELD OF IMPLEMENTATION OF COVERT SURVEILLANCE

NINO SHONIA
Georgian American University (GAU)
PhD student of Law at the School of Law, Social Sciences and Diplomacy
Head of the Secretariat of the Chamber of Criminal Affairs
Supreme Court of Georgia

The issues related to secret investigative activities have not lost their relevance to this day. As you know, quite a lot of changes were made to the Criminal Procedure Code, which aimed to bring the regulations closer to international standards. Although the changes have had a positive effect on increasing the guarantees of protection of privacy, these guarantees need to be further improved and perfected.

Carrying out covert investigative activities leads to intense interference with the right to privacy. Personal life is still an area that requires constant and increased attention.[1]

The constitutional obligation of the state is to protect state security, to ensure the investigation of crime, as well as its prevention, but, at the same time, not to endanger the prospects of free development of people, not to violate their private lives.[2] In this context, the present article will discuss and analyze the legislation of foreign countries in terms of the implementation of covert investigative actions and operative-search activities,

will compare the legislative features of states with different legal systems (countries with Anglo-American and Continental European legal systems) within the framework of the present topic, and will discuss Georgia – as an example concerning the abovementioned issue.

The purpose of this article is related to the study of the legislation of various developed countries and the analysis of their experience, to outline the issues that acquire special importance in the implementation of secret investigative actions by the relevant state bodies, in terms of the practical realization of the right to the protection of personal and family life; In particular, on the one hand, in the context of ensuring national security and on the other hand, in the context of the protection of basic rights.

---

[1] Akubardia, I. Control mechanisms for secret investigative actions - Revaz Gogshelidze 65, anniversary collection, 2022, p. 199; https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Jul/books/Revaz-Gogshelidze-65.pdf [04.02.2024].

[2] The judgment of the Constitutional Court of Georgia on the case "Public Defender of Georgia, Citizens of Georgia - Giorgi Burjanadze, Lika Sajaia, Giorgi Gotsiridze, Tatia Kinkladze, Giorgi Chitidze, Lasha Tughushi, Zviad Koridze, "Open Society Foundation Georgia", "Transparency International – Georgia", "Young Lawyers Association of Georgia", "International Society for Fair Elections and Democracy" and "Human Rights Center" against the Parliament of Georgia, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-31

არაჩანაცვლებადი ტოკენი ანუ NFT, საავტორო უფლებების უახლესი გამოწვევა

არჩილ ამაღლობელი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ მტკიცედ გააკეთა არჩევანი ევროპულ მისწრაფებებსა და ღირებულებებზე. ჩვენი ქვეყნის ურყევი მისწრაფების გათვალისწინებით, თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ, 2014 წელს, მხარეთა შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რითაც საქართველოს მიეცა ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებისa და ევროპული ფასეულობების ოჯახში საკუთარი ღირსეული ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობა. საქართველომ ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების ვალდებულება აიღო, რაც შიდა კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას გულისხმობს. დღეს, ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ძალიან ბევრი, მოცულობითი საკანონმდებლო ღონისძიებების გატარების ვალდებულება, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიმართულებითაც.

სწორედ ევროკავშირთან დაახლოების ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ საკანონმდებლო აქტებში განხორციელდა არაერთი ცვლილება. ყველაზე მასშტაბური ცვლილებები კანონმდებლობამ 2017 წელს

განიცადა, რაც მიმართული იყო ინტელექტუალური უფლებების დაცვის გამარტივებისკენ და ძირითადად, ეხებოდა იმ სამართლებრივი მექანიზმების შემოღებას და დახვეწას, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ხელყოფის პრევენციას, აღკვეთასა და ადეკვატური სანქციების გატარებას.

ინტელექტუალური საკუთრების სფერო განსაკუთრებით ინტერნაციონალურია და რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებიც ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის ზოგად სტანდარტებსა და პრინციპებს აწესებენ. ხოლო, ამ პრინციპებზე დაყრდნობით, თავად ქვეყნები ახორციელებენ ინტელექტუალური საკუთრების სფეროს რეგულირებას ეროვნულ დონეზე. საქართველო თითქმის ყველა წამყვანი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა, იგი ასევე, გაწევრიანებულია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე მუშაობს.

ინტელექტუალური საკუთრება, როგორც მექანიზმი, მხარს უჭერს ინოვაციასა და კრეატიულობას, საშუალებას აძლევს ავტორებს, ხელოვანებს, დიზაინერებს, გამომგონებლებს, რომ მათ სარგებელი მიიღონ თავიანთი შემოქმედებიდან თუ გამოგონებიდან. საავტორო უფლება, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი არის უფლება, რომელიც წარმოეშვა ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით. საავტორო უფლება იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს და გლობალური პრაქტიკის გათვალისწინებით, ინტელექტუალური საკუთრების ყველაზე ხშირად დარღვევად ობიექტს წარმოადგენს.

საავტორო უფლებების დარგის უახლეს და უდიდეს გამოწვევას ციფრული სამყარო და არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაჩენილი არაჩანაცვლებადი ტოკენი, ანუ NFT წარმოადგენს. NFT ხელოვნების ნიმუშების ციფრული აქტივებია, რომლებიც შეიძლება იყოს რეალური ნივთების ციფრული რეპრეზენტაცია. NFT ბლოკჩეინის ციფრულ მონაცემთა ბაზასთანაა მიბმული და სხვა ნებისმიერი კრიპტოვალუტისგან ერთი პრინციპული განსხვავება აქვს – თითოეული კოდი უნიკალურია და არცერთ NFT-ს არ აქვს ეკვივალენტი. შესაბამისად, შეუძლებელია მისი რეპლიკაცია. NFT იქმნება ან „იჭრება“ ციფრული ობიექტებისგან, რომლებიც წარმოადგენს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ ელემენტებს, მათ შორის, საავტორო უფლებებით დაცული ობიექტებისგან, როგორიცაა: ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა და ა. შ.

2017 წლიდან მოყოლებული, ციფრული სამყარო და NFT ინტენსიურად შემოიჭრა კაცობრიობის ყოველდღიურობაში, რასაც ადასტურებს ფაქტი, რომ დღემდე ამ აქტივებში ასობით მილიარდამდე აშშ დოლარია დახარჯული და ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება. ბლოკჩეინის ტექნოლოგია და NFT არტისტებსა და კონტენტის შემქმნელებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი ნამუშევრების მონეტიზაცია მოახდინონ. მაგალითად, მხატვრებს თავიან-

თი ნამუშევრების გასაყიდად გალერეები და აუქციონები აღარ სჭირდებათ. ამის ნაცვლად, მხატვარს შეუძლია, პირდაპირ მიჰყიდოს იგი მომხმარებელს, როგორც NFT. ბუნებრივია, საკითხის მზარდმა პოპულარობამ გამოწვევები გააჩინა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით. კერძოდ, საგრძნობლად გაიზარდა საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტები, განსაკუთრებით ხელოვნების ნიმუშების ავტორებთან შეუთანხმებლად, ხელოვნების ნიმუშების უკანონოდ გაციფრულების (არაჩანაცვლებად ტოკენად გადაქცევის) და გასხვისების კუთხით. მსოფლიოს მასშტაბით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის კანონმდებლობა არ აღმოჩნდა საკმარისად აღჭურვილი ციფრულ სამყაროში გაჩენილი საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ საბრძოლველად და ჯერ კიდევ, ადაპტაციის პროცესშია ახალი გარემოებების მიმართ. ჯერჯერობით, ინტელექტუალური საკუთრების უფლების ჭრილში არაჩანაცვლებადი ტოკენების შესახებ სპეციალური რეგულირება არ არსებობს ევროკავშირის ქვეყნების და მით უმეტეს, საქართველოს კანონმდებლობაში. შესაბამისად, იბადება ლეგიტიმური კითხვა, თუ რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯები, რამაც ერთი მხრივ, ჰარმონიულად უნდა დაიცვას საავტორო უფლებები და მეორე მხრივ, ავტორებს არ შეუზღუდოს წვდომა ციფრულ სამყაროსთან? ამასთან, ხსენებული მიზნის მიღწევის პროცესში, როგორია საქართველოს რეალობა და როლი? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა საავტორო უფლებებისა და NFT-ს შესახებ მსოფლიოში უკვე არსებული პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა და შედარებითსამართლებრივი მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი მოცემულობის ერთმანეთთან შედარება.

თავი 1. საავტორო უფლებების ცნება და სამართლებრივი მოწესრიგება

1.1. საავტორო უფლების ობიექტი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიხედვით, ინტელექტუალური საკუთრება დაცულია და ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია.[1] ინტელექტუალურ საკუთრებას იურიდიულ ლიტერატურაში განმარტავენ, როგორც კერძოსამართლებრივ უფლებას, რომლის საგანიცაა ინტელექტუალური (გონებრივი) შემოქმედების შედეგად შექმნილი ან ეკონომიკურ ურთიერთობაში პირველად ჩართული ობიექტები.[2] ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ-შემოქმედებით უფლებებს განეკუთვნება და შესაბამისად, ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს.

---

1 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24.

2 ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006, გვ. 5, 17.

საავტორო სამართალი ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად, ეს უფლებებიც ინტელექტუალურ საკუთრებასთან კავშირში უნდა იყოს განხილული, მიუხედავად მათი არაქონებრივი ხასიათისა.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.[3] საავტორო სამართლით დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნით წარმოიშობა. საავტორო უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია, ნაწარმოები არსებობდეს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა.[4]

ტრადიციულად, საავტორო სამართლით დაცული სიკეთე ორ კატეგორიად იყოფა:

1) ნაწარმოების დაცვა: ეს არის საავტორო სამართლის დაცვის კლასიკური სფერო, რომელიც მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედების დაცვას უზრუნველყოფს, ანუ უზრუნველყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების დაცვას. სამეცნიერო ნაშრომებიც ხდება ამ დაცვის სფეროში. ნაწარმოები არის ცენტრალური ცნება.

2) შესრულების დაცვა: შესრულების დაცვა მოიცავს მრავალფეროვან შემოქმედებით და ორგანიზატორულ საქმიანობას, რაც თავად ნაწარმოები არ არის, მაგრამ უშუალო კავშირშია თავდაპირველი ავტორის შემოქმედებასთან. ასეთების რიცხვში შედიან: მომღერლები, მუსიკოსები, აუდიო და ვიდეოგრამების დამამზადებლები, სამაუწყებლო კომპანიები და მონაცემთა ბაზის დამამზადებლები.

საავტორო უფლების მახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ დაცვის ობიექტი არა ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური სიკეთეა. ასეთი ტიპის სიკეთეები ნივთობრივი საკუთრებისგან განსხვავებით, იმ ეკონომიკური თავისებურებებით ხასიათდებიან, რომლებიც განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის აუცილებლობას განაპირობებენ. რადგან არამატერიალური სიკეთის შელახვა საკმაოდ ადვილია, როგორიც არის მაგალითად, შესაძლებლობა სურვილისამებრ ხშირად და დაბალ ფასებში გაამრავლონ, გაუშვან ან საჯაროდ შეასრულონ იგივე ხარისხის მუსიკალური ნაწარმოებები, ავტორისთვის რთულია აკონტროლოს და დაიცვას თავი სხვისი მხრიდან საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობით მიღებული შედეგებით სარგებლობისგან. სწორედ, ამიტომაც საავტორო სამართლით პირველ ყოვლისა,

[3] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 6.

[4] საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 24.

უზრუნველყოფილია ის, რომ შექმნილი ღირებული ინტელექტუალური ნაწარმოები მის ავტორს ეკუთვნის, რათა მან თავისი შემოქმედებითი საქმიანობით შექმნილი სარგებლის მიღება შეძლოს. აქედან შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა: საავტორო სამართლის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი უნდა იყოს თანაზიარი იმ ეკონომიკური სარგებლის, რომელიც მის ნაწარმოებს მოაქვს.[5]

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საავტორო უფლება არის საკუთრების უფლება, მაგრამ ის განსხვავდება ფიზიკური ნივთის საკუთრებისგან. მაგალითად, თუ წიგნს ვიყიდი მაღაზიაში, მე ვიქნები წიგნის მფლობელი და შემიძლია ვიმოქმედო სურვილისამებრ: წავიკითხო, ჩანაწერები გავაკეთო, გვერდები ამოვაცალო ან სულაც გადავაგდო. მაგრამ, როგორც წესი, წიგნზე საავტორო უფლებების მფლობელი სხვა იქნება: ავტორი ან პირი, ვისაც ავტორმა შესაბამისი ფორმით გადასცა საავტორო უფლება. ამ ადამიანსაც აქვს უფლებები წიგნზე, როგორიცაა მისი ასლების გადაღების უფლება, წიგნის გამოცემა და ა. შ. თუ მე ვიღებ წიგნის ასლს ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, მე ვარღვევ მის საავტორო უფლებებს. წიგნის შესაძენად მე საკმარისი თანხა გადავიხადე, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ გასაყიდ ფასში შედიოდა საავტორო უფლებები აღნიშნულ ნაწარმოებზე.[6]

გასათვალისწინებელია, რომ საავტორო უფლებები არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, ახსნილია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში. პირი, რომელიც ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე სათანადო წესითაა აღნიშნული, როგორც ავტორი, მიიჩნევა ამ ნაწარმოების ავტორად, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ იქნება დასაბუთებული.

1.2. საავტორო უფლების წარმოშობა და ავტორობის პრეზუმფცია

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად: „საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.“[7] ამასთან, საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისთვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორ-

---

5 ტოლკმიტი ი., შესავალი საავტორო და სასაქონლო ნიშნების სამართალში.

6 Vaver D., Principles of Copyright, Geneva, 2002.

7 საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 9.

მალობათა დაცვა. ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები“ მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებით და ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული.[8]

ბერნის კონვენცია პირად არაქონებრივ უფლებათა მხოლოდ იმ მინიმუმს გვთავაზობს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის. ამ უფლებათა შორისაა ავტორად აღიარების უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად. ბერნის კონვენციის კომენტარის მიხედვით: ნაწარმოების ხარისხი და ღირებულება არის სუბიექტური შეფასების საგანი და ამდენად, მას არ ენიჭება მნიშვნელობა ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის გარკვევისას. ასევე, არა აქვს მნიშვნელობა ნაწარმოების შექმნის მიზანს: შექმნილია იგი საგანმანათლებლო, გამოყენებითი თუ კომერციული მიზნებისათვის. ლეგიტიმურია კითხვა, თუ რომელი ნაწარმოები მიეკუთვნება ლიტერატურას და ხელოვნებას ან საერთოდაც, რა არის ხელოვნება და ლიტერატურა? რომელი ნაწარმოებია ინტელექტუალური შემოქმედების საგანი და შესაბამისად, საავტორო უფლებით დაცული? ბერნის კონვენციით აღიარებული კრიტერიუმია ორიგინალობა. საერთო სამართლის ქვეყნებში დაცვის მთავარი კრიტერიუმია ორიგინალობა: ნაწარმოები არ უნდა წარმოადგენდეს ასლს. კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი უფრო მაღალი სტანდარტით განისაზღვრება: ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს ავტორის ინდივიდუალობისა და პიროვნულობის გამოხატვას.[9]

საავტორო სამართალი არ იცავს იდეას, მეთოდს ან მეცნიერულ აღმოჩენას, როგორც ასეთს. საავტორო სამართალი იცავს მხოლოდ ინტელექტუალურ სამუშაოს, რომელმაც რაღაც გარკვეული ფორმა შეიძინა და ადამიანების (საზოგადოების) ცნობიერებისთვის აღქმადია. მაგალითად, როდესაც ლექსს წაიკითხავენ, საავტორო უფლების მოპოვებისათვის არ არის აუცილებელი, რომ ეს ლექსი წერილობითი ფორმის იყოს. არც მისი გამოქვეყნებაა აუცილებელი. საავტორო უფლება წარმოიშობა კონკრეტული ხარისხის, მიზნის, ჟანრისა თუ ფორმისაგან დამოუკიდებლად.[10]

აუცილებელია განვმარტოთ ცნება – „პირადი ინტელექტუალური შემოქმედება,“ რაც მარტივად გულისხმობს, რომ ნაწარმოების საავტორო სამართლით დაცვისთვის საჭიროა, რომ ის იყოს ადამიანის მიერ შემოქმედებითად გაწეული საქმიანობის შედეგი. ამიტომაც, მხოლოდ დანადგარებით და აპარატებით და მით უმეტეს, მხოლოდ კომპიუტერის გამოყენებით მიღებული

---

8 საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 26.

9 Torremans, Copyright Law, USA, 2007.

10 ტოლკმიტი ი., შესავალი საავტორო და სასაქონლო ნიშნების სამართალში, გვ. 71.

პროდუქცია ამოღებულია საავტორო სამართლის დაცვის არეალიდან. მაგალითად, მხოლოდ კომპიუტერით გადათარგმნილი ტექსტი არ არის ნაწარმოები. ადამიანის ინტელექტი, მისი აზრები და გრძნობები კონკრეტულ ნაწარმოებში უნდა აისახოს. ნაწარმოები ინდივიდუალური გამოხატულებით უნდა იყოს შექმნილი.[11] რაც უფრო ფართოა ინდივიდუალიზმი, ორიგინალურობა, რაც უფრო ძლიერია ნაწარმოების სტილის თავისებურებანი, მით უფრო ფართოა მისი დაცვის შესაძლებლობა. ორიგინალობა არასოდეს უნდა იყოს არეული სიახლეში. თუ ორი მხატვარი ხატავს ერთსა და იმავე პეიზაჟს, ისინი ქმნიან დამოუკიდებელ ნაწარმოებებს. მეორე ნახატი არ იქნება ახალი, ვინაიდან მასზე გამოსახული საგნები უკვე არსებობს პირველ ნახატზე. თუმცა, მეორე ნახატი ორიგინალურია, ვინაიდან ის ასახავს მისი შემქმნელის პიროვნულობას. ორიგინალობის გარკვევა და დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა.[12]

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად: „პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ნაწარმოების საავტორო დაცვისთვის დარეგისტრირება ან რაიმე სახის ფორმალობების დაცვა არ არის სავალდებულო. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა მაინც იძლევა შესაძლებლობას, დეპონირება გაუკეთდეს ნაწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში, საქპატენტში. ამან შეიძლება ავტორს თავისი უფლების დარღვევის შემთხვევაში, გაუადვილოს ნაწარმოების ავტორობის დამტკიცება.

1.3. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, საავტორო უფლებათა მოქმედების ვადები

საავტორო სამართალი ავტორის ქონებრივი უფლებების აღიარების შედეგად წარმოიშვა. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ საავტორო სამართლიდან გამომდინარე, ნაწარმოების ავტორს ნაწარმოებთან მიმართებით გარკვეული უფლებები აქვს. ეს უფლებები როგორც წესი, ორ ჯგუფად იყოფა: ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები და ქონებრივი უფლებები. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად: პირად არაქონებრივ საავტორო უფლებებში ნაგულისხმევია ისეთი უფლებები, როგორიცაა ნაწარმოების ავტორობის აღიარების უფლება; ნაწარმოების პირველადი გამოქვეყნების უფლება; გადამუშავების უფლება; დამახინჯებისგან და რეპუტაციის შელახვისგან დაცვა; ნაწარმოების გამოხმობის უფლება და სხვა.

---

[11] Vaver D., Principles of Copyright, Geneva, 2002.

[12] ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006.

პირადი არაქონებრივი საავტორო უფლებამოსილებები როგორც წესი, მხოლოდ ავტორს გააჩნია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ისინი ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. ავტორის ქონებრივი უფლებების განხორციელება პირდაპირაა დამოკიდებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ამოქმედებაზე. შესაბამისად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება – გადაწყვიტოს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, ქონებრივი უფლებების განხორციელების წინაპირობაა.[13] ავტორის ქონებრივი უფლებები მოიცავს ავტორის ექსკლუზიურ უფლებას, საკუთარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად მიიღოს მატერიალური სარგებელი. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვას მისი პერსონალურობა, გამოხატული ნაწარმოებში და განახორციელოს კონტროლი საკუთარ ნაშრომზე.[14]

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად: ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. განსაკუთრებულ უფლებაში ნაგულისხმევია, რომ მას შეუძლია ნაწარმოების რეპროდუცირება, ორიგინალის ან ასლების გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით; ნაწარმოების ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით; ნაწარმოების საჯარო ჩვენება, საჯარო შესრულება და ა. შ. გასათვალისწინებელია, რომ ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ნაწარმოების ასლის პირველი გაყიდვით ამოიწურება ავტორის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.

ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დროსა და სივრცეში მათი მოქმედების ფარგლებში ვლინდება. ქონებრივი უფლებების მოქმედება გარკვეული სივრცითაა შეზღუდული.[15] „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის" ბერნის კონვენცია, ქონებრივი უფლებების მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიცავს იმპერატიულ, სავალდებულო ხასიათის ნორმებს წევრი ქვეყნებისათვის. კერძოდ, კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, დაცვა წარმოშობის ქვეყანაში რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის იმ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც მას კონვენციით ენიჭება დაცვა, ამ ქვეყანაში იგი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორიც ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორები.[16] შესაბამისად, საქართველოს

---

[13] საჯაია ლ. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 46.

[14] Circular 92, Copyright Law of the United States and related laws contained in Title 17 of the US Code

[15] საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 56.

[16] იხ.: „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ" ბერნის კონვენციია, 1886.

მოქალაქე ავტორთა ქონებრივი უფლებები ავტომატურად მოქმედებს ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე.

ავტორის ქონებრივი უფლებების მოქმედება დროითაც არის განსაზღვრული. სწორედ ამით განსხვავდება იგი როგორც საკუთრების უფლების, ასევე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან. საკუთრების უფლების მოქმედება დროით არ არის შეზღუდული, ისევე როგორც უვადოდ მოქმედებს პირადი არაქონებრივი უფლებები. ბერნის კონვენციის მე-7 მუხლი ავტორის ქონებრივი უფლებების მინიმალურ ვადას აწესებს – ავტორის სიცოცხლის მთელ პერიოდს და 50 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადაა 70 წელი, ავტორის გარდაცვალებიდან. ნაწარმოები, რომელზეც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ავტორის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა გარკვეული ვადით ადასტურებს, რომ საავტორო სამართლი იცავს არა მხოლოდ ავტორის, არამედ საზოგადოების ინტერესებს, დაუბრკოლებლად ისარგებლოს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებით.[17]

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების პროცესში გატარებული ცვლილებების შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა ავტორების მიერ ნაწარმოების შექმნიდან ამ ნაწარმოებზე ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობა. ფაქტია, რომ საავტორო უფლებების კანონმდებლობამ და მისმა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების თანმიმდევრულმა პროცესმა საქართველოში დიდი გზა განვლო, წინ კი, ასოცირების შეთანხმების შესაბამისი კიდევ ბევრი გამოწვევაა დასაძლევი. მიუხედავად სახელმწიფოს მასშტაბური ჩართულობისა და მცდელობისა, კვლავ გამოწვევად რჩება ავტორების უფლებების დაცვის ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტის დამკვიდრება. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც არაუფლებამოსილი პირების მიერ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად, ზარალდებიან ავტორები. პრობლემური საკითხია საავტორო უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში. ინტერნეტის მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს, გაავრცელოს, ცვლილებები შეიტანოს საავტორო უფლებით დაცულ შემოქმედებაში. ინტერნეტკონტენტი ზედმეტად ხელმისაწვდომი და დაუცველია ისეთი არალეგალური მასალებისგან, როგორიცაა მოპარული პროგრამები, მუსიკა და კინო. საავტორო უფლებების დარღვევა ინტერნეტსივრცეში მხოლოდ საქართველოს პრობლემა არაა და ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, ბოლომდე ამის გაკონტროლება შეუძლებელია. აღნიშნულ პრობლემებს უკანასკნელ პერიოდში, არა მხოლოდ

[17] Circular 92, Copyright Law of the United States and related laws contained in Title 17 of the US Code

საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით დაემატა ციფრულ სამყაროში გაჩენილი არაჩანაცვლებადი ტოკენი ე. წ. NFT, რამაც ბევრი სარგებლის პარალელურად, განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა ხელოვნებისა და მუსიკის სფეროში მოღვაწე ავტორებს და შემსრულებლებს, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც NFT იქმნება ყოველგვარი საავტორო უფლების უგულებელყოფით და ამით ზარალდება ნაწარმოების ავტორი. აღნიშნული გამოწვევების დაძლევა, ევროკავშირთან დინამიკური და ეტაპობრივი სამართლებრივი დაახლოების პროცესშია შესაძლებელი.

თავი 2. NFT ანუ არაჩანაცვლებადი ტოკენი და მისი სამართლებრივი რეგულირება

2.1. NFT-ს ანუ არაჩანაცვლებადი ტოკენის ცნება და მისი წარმოშობა

NFT-ს ანუ არაჩანაცვლებადი ტოკენის არსებობა სათავეს 2014 წლიდან იღებს. პირველი ცნობილი NFT-ის შექმნა კევინ მაკკოის და ანილ დეშის სახელს უკავშირდება. NFT ვიდეოკლიპს მოიცავდა, რომელიც მაკკოიმ ბლოკჩეინზე დაარეგისტრირა და უახლეს ტექნოლოგიას „მონეტიზებული გრაფიკა" უწოდა. მომდევნო წლებში NFT მაინცდამაინც, დიდი პოპულარობით და ყურადღებით არ სარგებლობდა. თუმცა, უკვე 2017 წელს, ონლაინ თამაშში Cryptokitties საკოლექციო კატების დებიუტი შედგა, რომელთა შეძენაც Ethereum Blokchain პლატფორმაზე იყო შესაძლებელი. სწორედ აქედან დაიწყო NFT-ს პოპულარობის ზრდა და დღემდე მასზე 100 მილიარდზე მეტი აშშ დოლარია დახარჯული.[18] NFT არის ციფრული აქტივი, რომელიც წარმოადგენს რეალური სამყაროს ისეთ ობიექტებს, როგორიცაა ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერულ თამაშებში არსებული ნივთები/ავატარები და ვიდეოები.[19] მისი შექმნა და არსებობა მჭიდროდ უკავშირდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის არსებობას. წარმოუდგენელია არაჩანაცვლებად ტოკენზე ვისაუბროთ და არ გვესმოდეს თუ რას წარმოადგენს ბლოკჩეინი (ბლოკების ჯაჭვი). ბლოკჩეინი კრიპტოგრაფიულად დაცულ დეცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს, სადაც პირებს შორის განხორციელებული ყველა ტრანზაქცია ინახება. ეს არის მონაცემთა განაწილებული ბაზა, რომელიც მუდმივად იზრდება მასში ახალი ჩანაწერების ანუ „ბლოკების" დამატების შედეგად. თითოეული ბლოკი შეიცავს დროის ნიშნულს და ბმულს წინა ბლოკზე, ამიტომ ისინი ფაქტობრივად ქმნიან ჯაჭვს (block chain – ბლოკების ჯაჭვი). აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ბაზა არ იმართება ვინმე კონკრეტულის მიერ, ამის

[18] https://en.wikipedia.org/wiki/Non-fungible_token

[19] https://www.forbes.com/advisor/investing/cryptocurrency/nft-non-fungible-token

ნაცვლად ქსელის თითოეულ მომხმარებელს აქვს მონაცემთა მთელი ბაზის ასლი. ძველი ბლოკები სამუდამოდ ინახება, ახალი ბლოკები კი, ემატება ბაზაში, რაც შეუძლებელს ხდის მანიპულირებას დოკუმენტების, ტრანზაქციებისა და სხვა ინფორმაციის გაყალბების მეშვეობით. გარდა ამისა, კრიპტოგრაფია გამოიყენება იმისთვის, რომ გარანტირებულ იქნას ბლოკჩეინის ასლის სინქრონიზაცია ქსელში არსებულ ყველა კომპიუტერზე.[20] NFT იქმნება და ინახება ბლოკჩეინზე. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია მისი გაყალბება. ამგვარად, ციფრული შესყიდვების კრიპტოგრაფიული დაცვის საშუალება, ბლოკჩეინი, ნამუშევრის შემსყიდველს პროდუქტის ნამდვილობას უდასტურებს და მასზე საკუთრების უფლებასაც ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ფაილის ნახვა და ჩამოტვირთვა ნებისმიერ ინტერნეტმომხმარებელს შეუძლია, მისი კანონიერი მფლობელის კოდირებული ხელმოწერა ნამუშევარზე წაუშლელადაა ასახული.

ბლოკჩეინი ასევე, შეუცვლელი და უმთავრესი ბაზაა კრიპტოვალუტებისთვისაც. კრიპტოვალუტა, ანუ ციფრული ვალუტა, დაფუძნებულია კოდირებულ სქემაზე, რომელიც ციფრული ერთეულის გაყალბებას შეუძლებელს ხდის. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს ვირტუალური ფულია. შედარებისთვის, NFT ხელოვნების ნიმუშების ციფრული აქტივია, რომელიც ბლოკჩეინის ციფრულ მონაცემთა ბაზასთანაა მიბმული. ამ კრიპტოაქტივებს სხვა ნებისმიერი კრიპტოვალუტისგან ერთი პრინციპული განსხვავება აქვს – თითოეული კოდი უნიკალურია და არც ერთ NFT-ს არ აქვს ეკვივალენტი. შესაბამისად, შეუძლებელია მისი რეპლიკაცია ან ეკვივალენტში გაცვლა. აკრონიმი NFT-ის სწორედ ამ ჩაუნაცვლებლობას გამოხატავს (non fungible token) და ციფრული ხელოვნების მატერიალიზაციას ხდის შესაძლებელს. NFT უნიკალური კრიპტოგრაფიული ტოკენია, რომლებიც ბლოკჩეინზე არსებობს და მისი რეპლიკაცია შეუძლებელია. ის შეიძლება იყოს რეალური ნივთების ციფრული რეპრეზენტაცია.[21]

საავტორო უფლებებით დაცული ისეთი ნაწარმოებების არაჩანაცვლებად ტოკენად გადაქცევაა შესაძლებელი როგორიცაა: სახვითი ხელოვნების ნამუშევრები, ფოტო და ვიდეო ნაწარმოებები, მუსიკა და სხვა ციფრული ობიექტები. შესაბამისად, ბლოკჩეინის ტექნოლოგია NFT არტისტებსა და ნაწარმოების შემქმნელებს უხსნის ახალ გზას, რომ თავიანთი ნამუშევრების გამარტივებულად რეალიზაცია შეძლონ. მაგალითად, მხატვრებს თავიანთი ნამუშევრების გასაყიდად გალერეები და აუქციონები აღარ სჭირდებათ. ამის ნაცვლად, მათ შეუძლიათ, პირდაპირ მიჰყიდონ იგი მომხმარებელს, როგორც NFT. მიუხედავად ამ უდიდესი ბენეფიტისა, NFT სამყაროს რევოლუციურმა ზრდამ, ავტორებისთვის პრობლემებიც გააჩინა, რაც ძირითადად, საავტორო უფლებების დარღვევაში გამოიხატება. ხშირია შემთხვევები,

[20] Crosby M., Pattanayak P., BlockChain Technology Beyond Bitcoin

[21] Mazur M., Non-Fungible Tokens (NFT), The Analysis of Risk and Return, p.11.

როდესაც ავტორებთან შეუთანხმებლად ხდება ხელოვნების ნიმუშების გაციფრულება, არაჩანაცვლებად ტოკენებად ქცევა და სათანადო უფლებების გარეშე რეალიზაცია. ამასთან, NFT-ის შემქნელებს, ისევე როგორც შემძენებს სათანადოდ ჯერ კიდევ, არ აქვთ გააზრებული, რომ ამ ტოკენების შეძენა, განსაკუთრებული დათქმის არარსებობის პირობებში არ ანიჭებთ მათ შეძენილ ციფრულ მონაცემებზე საავტორო უფლებებს.[22]

NFT არის ერთგვარი სტანდარტი, თუ როგორ უნდა გახდეს ციფრული პროდუქტი ვინმეს საკუთრება და შეინახოს ბლოკჩეინში ისე, რომ მას საფრთხე არ დაემუქროს.

საინტერესოა, თუ როგორია პროცესი NFT-ს შექმნიდან მის რეალიზაციამდე. თუ გრაფიკული დიზაინერი ქმნის ნახატს და უნდა, რომ მისი შემოქმედება გაყიდოს, იმისათვის, რომ დაცული იყოს როგორც ნახატი, ასევე შემქმნელი, არსებობს პლატფორმები, რომლებიც სპეციალურად NFT-ზეა მორგებული. მაგალითად, Opensea, რომელიც ერთ-ერთი უმმსხვილესი NFT მარკეტია, სადაც მსოფლიოში მოწინავე პროექტებია განთავსებული. მათ შორისაა CryptoPunks, რომლის ერთ-ერთი ნამუშევარი 24 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ამ პლატფორმით და ელექტრონული საფულე Metamask-ის გააქტიურების შემდეგ, შესაძლებელია ნამუშევრის ატვირთვა, რა დროსაც ბლოკჩეინზე ავტომატურად გენერირდება ე. წ. Smart Contract და ატვირთული ნამუშევარი იქცევა არაჩანაცვლებად ტოკენად. მას შემდეგ, რაც ნახატი გაიყიდება, მის მფლობელს ოფიციალური დოკუმენტი უდგინდება მფლობელობის შესახებ, ხოლო ავტორი მუდამ იღებს წინასწარ დადგენილ პროცენტს ყოველი გადაყიდვიდან.

2.2. NFT-ს რისკები და სამართლებრივი რეგულირება

ციფრულ სამყაროში NFT-ის გაჩენამ ნაწარმოების ავტორებს რა თქმა უნდა, დიდი სტიმული და შესაძლებლობა მისცა აქტივებით ვაჭრობისთვის. ამასთან, გაზარდა ნდობა და გარკვეულწილად, უზრუნველყო უსაფრთხოება. თუ მანამდე, ინტერნეტსივრცეში განთავსებული ნებისმიერი ციფრული აქტივის სურვილისამებრ გამოყენება იყო შესაძლებელი, NFT-ის გაჩენის შემდეგ შეიქმნა შესაძლებლობა, რომ ამ აქტივებს ჰყავდეს კონკრეტული მესაკუთრე. თუმცა, მიუხედავად ამ ახალი სივრცის მიმზიდველობისა და მასთან დაკავშირებული უპირატესობებისა, NFT მაინც შეიცავს დიდ რისკებს და ამასთან, საავტორო უფლებების დამრღვევთათვისაც აჩენს ახალ შესაძლებლობებს.[23]

ამჟამად, NFT სამყარო არცერთ ქვეყანაში, მათ შორის, არც საქართველოში ექვემდებარება რეგულირებას, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ მცირეა ან არ არსებობს სამართლებრივი

[22] Holbein J., Introduction to NFTs, p. 3.

[23] Mazur M., Non-Fungible Tokens (NFT). The Analysis of Risk and Return, p.15.

დაცვა მათთვის, ვინც ქმნის, ვაჭრობს ან ინვესტირებს NFT სამყაროში. აუცილებელია იმ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება, რომ NFT-ის რეალიზაციისთვის შექმნილი პლატფორმები არ/ვერ ამოწმებენ გამყიდველის ვინაობას. შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს აქვს შეუზღუდავი შესაძლებლობა, ჰქონდეს წვდომა ბაზარზე და თავი წარმოაჩინოს, როგორც ციფრული აქტივის შემქმნელი.[24] აღნიშნული პრობლემის მასშტაბურობის გათვალისწინებით, შესაბამისი დარგის სპეციალისტები ცდილობენ პლატფორმებზე ხელოვნური ინტელექტის დანერგვას, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ყალბი და კოპირებული აქტივები დროულად იყოს იდენტიფიცირებული და გამოკვლეული. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ სიტუაცია თითქმის უკონტროლოა და არსებული ციფრული აქტივების უმეტესობა ყალბად მოიაზრება. თვალსაჩინო მაგალითია, უცნობი პირის მიერ NFT-ის რეალიზაციის უდიდეს პლატფორმა OpenSea-ზე ყალბი ბენქსის NFT-ს 244 000 ფუნტის ეკვივალენტად გაყიდვა. მართალია, ამ შემთხვევაში მყიდველს გადახდილი თანხის დიდი ნაწილი უკან დაუბრუნდა თუმცა, ამან მკაფიოდ გაუსვა ხაზი იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება ასოცირებული იყოს NFT-ის შეძენასთან.[25]

ყალბი გამყიდველების გარდა, ინვესტორებმა ასევე, დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ყალბ პლატფორმებს, რომლებიც შექმნილია მომხმარებლების საკრედიტო ბარათის დეტალების მოსაპარად და ეს ფიშინგის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სქემაა. თაღლითები და ჰაკერები სულ უფრო ხშირად იყენებენ უსაფრთხოების ხარვეზებს სწრაფად მზარდ ბაზარზე უკანონო მოგების მისაღებად. NFT-ის სამყაროს შექმნიდან დღემდე, საგრძნობლად მოიმატა სხვადასხვა ქვეყნის მიერ ფინანსურად სანქცირებული პირების ფულის გათეთრების მიზნით ციფრული აქტივებით ვაჭრობაში ჩართვის ფაქტებმა. NFT-ის ამჟამინდელი არარეგულირებული სტატუსი ნიშნავს, რომ ვაჭრობა ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ძალიან მცირე ან თითქმის არარსებული ზედამხედველობით, რაც კანონდამრღვევისთვის საგრძნობლად ამარტივებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების თავიდან არიდებას. წინამდებარე სტატიის მიზნებისთვის, გამოვიკვლიეთ ევროკავშირისა და არაერთი ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, სინგაპურის და ა. შ. და მიუხედავად იმისა, რომ NFT სამყარო 2020 წლის ბოლოდან მოყოლებული რევოლუციურად იზრდება, არცერთ მათგანს ჯერ კიდევ, არ შეუმუშავებია კონკრეტული, სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი, რაც თავისთავად მიუთითებს ფაქტზე, რომ NFT სამყარო ჯერ კიდევ, სრულად უკონტროლოა.[26]

---

24 Ossio D., Cranston J., Non-Fungible Tokens: The Global Legal Impact, p. 12.

25 https://www.bbc.com/news/technology-58399338

26 Ossio D., Cranston J., Non-Fungible Tokens: The Global Legal Impact, p. 16.

მნიშვნელოვანია ზოგადად, მიმოვიხილოთ NFT-სა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების თანაარსებობის საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობა თითქმის არცერთ ქვეყანაში არ არსებობს და ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ჯერ კიდევ, არ იცნობს NFT-ს ცნებას, აღნიშნული დამატებით პრობლემებს უქმნის ავტორებს და საავტორო უფლების მქონე პირებს. როგორც უკვე ვახსენეთ, უპრეცედენტოდაა გაზრდილი საავტორო უფლებების დარღვევების ფაქტები და ამ დარღვევების აღმოსაფხვრელი სამართლებრივი მექანიზმები თითქმის არ არსებობს. საავტორო უფლებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ NFT-ის მყიდველმა შესაძლოა შეცდომით იფიქროს, რომ ფლობს NFT-თან დაკავშირებულ რეალურ ნაწარმოებს და საავტორო უფლებას ამ ნაწარმოებზე. სინამდვილეში, ერთადერთი პირი, ვისაც ნაწარმოებზე საავტორო უფლებების – კოპირების, გავრცელების, შეცვლის ან საჯაროდ გამოქვეყნების უფლება აქვს, არის ნაწარმოების შემქმნელი ან პირი, ვინც დადგენილი წესით მოიპოვა საავტორო უფლება.[27]

ციფრული აქტივის რეალიზაციისას, ბლოკჩეინზე ავტომატურად გენერირდება კონტრაქტი (Smart contract), რომელიც არ აკონკრეტებს, თუ რა უფლებები გადადის მყიდველზე აქტივის შეძენის პროცესში. შესაბამისად, დღეს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საავტორო უფლებების მოპოვებაზე ცალკე შეთანხმებაა საჭირო მხარეებს შორის.[28] მიუხედავად სამართლებრივი რეგულირების არარსებობისა, დღემდე არსებული არც თუ ისე დიდი პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ ნებისმიერი NFT, რომელიც მოიცავს კონტენტს (მაგ.: ხელოვნების, მუსიკის ნაწარმოებს ან ვიდეო კლიპებს და სხვა) ან სასაქონლო/სავაჭრო ნიშნებს და შექმნილია არაუფლებამოსილი პირების ან ორგანიზაციების მიერ, შესაძლოა გახდეს სამართლებრივი დავის საფუძველი და უფლებადამრღვევს დაეკისროს პასუხისმგებლობა დარღვევისთვის.

ბუნებრივია, თუ NFT-ის შემქმნელს არა აქვს შესაბამისი საავტორო უფლებები და ახდენს რეალიზაციას, ამ NFT-ის გასხვისებით მყიდველიც ვერ მოიპოვებს ამ უფლებებს. მეტიც, შესაძლოა, არაუფლებამოსილ გამყიდველთან და რეალიზაციის პლატფორმასთან ერთად, ისიც გახდეს სადავო ურთიერთობის მონაწილე და დაეკისროს გარკვეული პასუხისმგებლობა საავტორო უფლების დარღვევისთვის.

ასევე, რთული და პრობლემური საკითხია გადასახადები. ამ კუთხითაც ევროკავშირის და სხვა ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა თითქმის არაფერს ამბობს. მაგალითისთვის, დიდი ბრიტანეთის შესაბამისმა სამსახურმა გამოსცა კონკრეტული მითითებები კრიპტო

[27] https://www.wipo.int/wipo_magazine/en/2021/04/article_0007.html

[28] Ravelli R. Are NFTs Legal and What Issues Exist Around them

აქტივებთან დაკავშირებით, მაგრამ ამასთან, დააკონკრეტა, რომ NFT კლასიფიცირებულია, როგორც ცალკეული სუბიექტი და აღნიშნული მითითებები მასზე არ ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კუთხით, არაერთ ქვეყანაში მიდის აქტიური მუშაობა და მსჯელობა დაბეგრვის მექანიზმების შემოღებაზე, ქვეყნების ოფიციალური პოზიცია ჯერ კიდევ, არ არის დაზუსტებული.

2.3. NFT-სთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და ცნობილი ქეისები

ნაშრომის წინა თავებში არაერთხელ ვახსენეთ, რომ NFT-ის პოპულარობა იზრდება, რაც ავტორების და საავტორო უფლებების მქონე პირებისთვის შესაძლებლობებთან ერთად, ბევრ პრობლემასაც აჩენს. შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ინტელექტუალური სამართლის იურისტები ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თანხმდებიან, რომ დროთა განმავლობაში საგრძნობლად გაიზრდება NFT-ისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სადავო ურთიერთობების რიცხვი და სასამართლოებს აქტიურად მოუწევთ აღნიშნულ პროცესებთან გამკლავება. დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს მასშტაბით არაერთი სასამართლო დავა მიმდინარეობს, თუმცა იმის გამო, რომ დარგი სულ ახალია, ჯერ კიდევ, არ არსებობს დამკვიდრებული პრაქტიკა. ერთ-ერთ გახმაურებულ ქეისს წარმოადგენს მოდის სახლ Hermes-ის დავა მხატვარ მასონ როტშილდთან, რომელმაც შექმნა Hermes-ის ცნობილი ჩანთა Birkin-ის NFT ვერსია – MetaBirkin, რასაც 2022 წლის 14 იანვარს Hermes-მა სასამართლო პროცესით უპასუხა და არტისტი საავტორო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა, რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე. ციფრულმა სამყარომ და ამ საქმემ, სადაც საუბარია საავტორო უფლებების დარღვევაზე ახალი პრობლემების წინაშე დააყენა იურიდიული სამყარო, რადგან საკითხის კონკრეტულად რეგულირების მექანიზმი ჯერ კიდევ, არ არსებობს და ინტელექტუალური სამართლის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს NFT-ის და ციფრული სამყაროს ცნებებს.[29] საბოლოოდ, სასამართლო პროცესი Hermes-ის სასარგებლოდ დასრულდა.[30]

გახმაურებულ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება სპორტული აღჭურვილობის გიგანტის NIKE-ის სასამართლო დავა მოპასუხე StockX-ის წინააღმდეგ და ყველასთვის ცნობილი რეჟისორის კუენტინ ტარანტინოსა და Miramax-ის საქმე, სადაც ასევე, ფიგურირებს NFT-ის და საავტორო უფლებების დარღვევის საკითხი.[31]

---

29 https://www.natlawreview.com/article/rising-trend-nft-litigation-over-popular-brands

30 https://www.nytimes.com/2023/02/08/arts/hermes-metabirkins-lawsuit-verdict.html

31 https://www.wired.com/story/nfts-cryptocurrency-law-copyright/

თავის მხრივ, კომიქსების ორმა გიგანტმა, Marvel-მა და DC-მ არაერთხელ აიძულეს NFT-ის რეალიზაციისთვის განკუთვნილი პლატფორმები, რომ მათი საავტორო უფლებების დარღვევით პლატფორმაზე განთავსებული ნამუშევრები წაეშალათ და უფლებადამრღვევების მიმართ გამოეყენებინათ მკაცრი სანქციები. მოგვიანებით, საჯარო განცხადება გააკეთეს და მიმართეს ყველას, ვინც დაინტერესებულია NFT-ის შექმნით და მოუწოდეს საავტორო უფლებების დაცვის შესახებ.[32]

საბედნიეროდ, დღეის მდგომარეობით, ქართული სასამართლო პრაქტიკა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის დავების განმხილველი ორგანო არ იცნობს NFT-ით საავტორო უფლებების დარღვევის გამო დაწყებული დავის მაგალითებს. შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე არ არსებობს მარეგულირებელი კანონმდებლობა ან დადგენილი პრაქტიკა მსგავსი ტიპის დავების განსახილველად.

ციფრულ სამყაროში ძვირადღირებული და ცნობილი ბრენდების შესვლა, მათი NFT პროექტების დაწყება, კიდევ უფრო ზრდის NFT-ის პოპულარობას და მეტად აქტუალურს ხდის სახელმწიფოების მხრიდან, კონკრეტული რეგულაციების შემოღებას, რათა იქნას დაცული ბალანსი საავტორო უფლებებსა და არტისტის თვითგამოხატვის უფლებას შორის.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, განვიხილეთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის განვითარების უახლესი ტენდენციები და ევროკავშირთან დაახლოების გზაზე გადალახული და ჯერ კიდევ, გადასალახი გამოწვევები; ევროკავშირის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის პრობლემები, რაც ციფრული სამყაროს რევოლუციურმა ზრდამ და NFT-ის ანუ არაჩანაცვლებადი ტოკენის შექმნამ და პოპულარობამ გამოიწვია. ამასთან, საკითხის თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგად, ცხადად დადგინდა, რომ საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებების რეგულირება ევროპის სტანდარტების შესაფერისია. თუმცა, დღევანდელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის უმთავრეს ხარვეზად ჯერ კიდევ, რჩება საავტორო უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში და მით უმეტეს, უახლეს ციფრულ სამყაროში, რაც არ არის გასაკვირი ამ პრობლემის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე. დეცენტრალიზაციის მომხრეები და კრიპტო სამყაროს აქტივისტები ემხრობიან მოცემულობას, რომ ციფრულ სამყაროში რეალური ცხოვრების რეგულაციები არ უნდა გამოიყენებოდეს. მეორე მხრივ, Widener-ის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი ჯულიეტ მორინგიელო და ინტელექტუალური სამართლის სხვა მეცნიერები გამოთქვამენ აზრს, რომ „უბრალოდ იმიტომ, რომ რაღაცას აკეთებ ონლაინ, არ ნიშნავს, რომ ტრადიციული კანონები არ მოქმედებენ შენზე."

[32] https://ampvideo.bnnbloomberg.ca/comic-book-giants-marvel-dc-warn-artists-against-selling-nfts-1.1650353

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და ჯერ კიდევ, გაურკვეველი მდგომარეობისა, ოპტიმიზმის საბაბს ინტელექტუალური კანონმდებლობის მოქნილობა და ისტორია გვაძლევს. XX საუკუნის დასაწყისიდან, ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად, დინამიკურად განვითარდა ინტელექტუალური სამართალიც, ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, არაერთხელ გახდა საჭირო საერთაშორისო ნორმების გადახედვა და ახალი პრინციპების შემუშავება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისტორიის მსვლელობასთან ერთად, ბერნის კონვენციაც არაერთხელ გადაისინჯა. დაცული ნაწარმოებების სიას ბერნის კონვენციის ბერლინის რედაქციაში, 1908 წელს, დაემატა კინემატოგრაფიის, არქიტექტურის, ფოტოგრაფიის და პანტომიმის ნაწარმოებები. ხოლო სტოკჰოლმის რედაქციაში (1967 წ.) სატელევიზიო გადაცემები შერწყმული და გათანაბრებული იქნა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან.[33] ბერნის კონვენციის ბოლო რედაქცია შემუშავებულ იქნა 1971 წელს (პარიზის რედაქცია). ტექნოლოგიებისა და საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების განვითარების პროცესი არ გაჩერებულა და ვაჭრობის თანმხვედრი ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების შესახებ 1995 წლის ხელშეკრულებით, საავტორო სამართლით დაცვის ობიექტებს კომპიუტერული პროგრამებიც დაემატა, რამაც უდიდესი გავლენა იქონია ავტორთა კეთილდღეობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი იმპერატიულად ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს დაიცვან კომპიუტერული პროგრამები საავტორო სამართლით ისევე, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.

შესაბამისად, კვლევის პროცესში იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შესაძლოა ინტელექტუალური სამართლის განვითარების ისტორიაშიც ვიპოვოთ. საავტორო უფლებების ფუძემდებლური დოკუმენტი – ბერნის კონვენცია წლების განმავლობაში არ იცნობდა კინემატოგრაფიის, არქიტექტურის, ფოტოგრაფიისა და პანტომიმის ნაწარმოებების ცნებებს და არც მიიჩნევდა მათ საავტორო უფლებების ობიექტებად. იგივე შეგვიძლია ვთქვათ კომპიუტერულ პროგრამებზე. თუმცა, მოგვიანებით, ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა და დღეს ამ ტიპის ნაწარმოებებზე სრულად ვრცელდება საავტორო სამართლის მოქმედება. NFT სამყაროს განვითარების და მისი პოპულარობის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლოა, კიდევ ერთხელ გადაიხედოს საავტორო უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები და არაჩანაცვლებად ტოკენებსაც მიენიჭოთ საავტორო უფლებების ობიექტის სტატუსი, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოებსაც მისცემს შესაძლებლობას, რომ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში დაარეგულირონ აღნიშნული საკითხი. კვლევის პროცესში ნათლად დადგინდა, რომ ციფრულ სამყაროში გაჩენილი NFT-ის, ანუ არაჩანაცვლებადი ტოკენების გაჩენით წარმოშობილი გამოწვევების დაძლევა და საკითხის გარკვეულწილად, რეგულირება მხოლოდ სახელმწიფოების მხრიდან კოორდინირებული მუშაობის შედეგადაა შესაძლებელი.

---

[33] საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 34.

ბიბლიოგრაფია:

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბ., 2018;
2. ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006;
3. საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, თბ., 2014;
4. ტოლკმიტი ი., შესავალი საავტორო და სასაქონლო ნიშნების სამართალში;
5. Vaver D., Principles of Copyright", Geneva, 2002;
6. Torremans, Copyright Law, USA, 2007;
7. Circular 92, Copyright Law of the United States and related laws contained in Title 17 of the US Code;
8. Crosby M., Pattanayak P., BlockChain Technology Beyond Bitcoin;
9. Mazur M., Non-Fungible Tokens (NFT). The Analysis of Risk and Return;
10. Ravelli R., Are NFTs Legal and What Issues Exist Around them?
11. Ossio D., Cranston J. Non-Fungible Tokens: The Global Legal Impact;
12. Holbein J., Introduction to NFT;

ნორმატიული მასალა:

13. საქართველოს კონსტიტუცია;
14. ევროკავშირსა და საქართველოს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმება, 22.04.1996;
15. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.14;
16. საქართველოს პარლამენტის დადგენილება # 828-Iს, 02 სექტემბერი, 1997;
17. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ" ბერნის კონვენცია, 1886;
18. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ;
19. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
20. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

ინტერნეტ რესურსები:

https://www.forbes.com/advisor/investing/cryptocurrency/nft-non-fungible-token
https://www.bbc.com/news/technology-58399338
https://www.wired.com/story/nfts-cryptocurrency-law-copyright/
https://ampvideo.bnnbloomberg.ca/comic-book-giants-marvel-dc-warn-artists-against-selling-nfts-1.1650353
https://www.natlawreview.com/article/rising-trend-nft-litigation-over-popular-brands
https://www.wipo.int/wipo_magazine/en/2021/04/article_0007.html

THE NON-FUNGIBLE TOKEN (NFT), THE LATEST CHALLENGE OF COPYRIGHT LAW

ARCHIL AMAGLOBELI
Georgian American University (GAU)
PhD Student of Law at the School of Law, Social Sciences, and Diplomacy

Ever since gaining its independence, Georgia has firmly chosen European aspirations and values. Taking into account our country's unwavering desire, after almost two decades, in 2014, the parties signed an Association Agreement, thus allowing Georgia to establish a free trade space with the European Union and to establish its worthy place in the family of European values. Georgia undertook the obligation to legally comply with the European Union, which implies complying with domestic legislation to European standards. Today, in our country, there are obligations to carry out – a lot of voluminous legislative measures, including the direction of intellectual property law.

Within the framework of legal compliance with the European Union's general legislation, several changes were made in the legal acts in the field of intellectual property. The most extensive changes in the legislation were made in 2017. The changes were aimed at simplifying the protection of intellectual rights and mainly included the introduction and refinement of legal mechanisms that would ensure the prevention, suppression, and enforcement of adequate sanctions for infringement of intellectual property rights.

The field of intellectual property is particularly international and is regulated through international treaties that establish general standards and principles for member states. And, based on these principles, the countries themselves regulate the field of intellectual property at the national level. Georgia is a participant in almost all leading international agreements and is also a member of several international organizations that work on intellectual property issues.

Intellectual property as a mechanism, supports innovation and creativity, allowing authors, artists, designers, and inventors to benefit from their creations or inventions. Copyright, as one of the most important parts of intellectual property, is the right granted to the author with the work created by him. Copyright protects works of science, literature, and art, and is the most frequently violated object of intellectual property based on global practice.

The latest and greatest challenge to the copyright industry is the digital world and the emergence of non-fungible tokens – NFTs not so long ago. NFTs are digital assets of works of art that can be digital representations of real things. NFT is linked to the blockchain digital database and has one fundamental difference from any other cryptocurrency – each code is unique and no NFT has an equivalent. Therefore, it cannot be replicated. NFTs are created, or "mined", from digital objects that are both tangible and intangible elements, including copyrighted objects such as art, literature, music, etc.

Since 2017, the digital world and NFTs have intensively invaded the daily life of humanity, as proved by the fact that up to hundreds of billions of US dollars have been spent on these assets and this number is increasing every day. Blockchain technology and NFTs offer artists and content creators a unique opportunity to monetize their work. For example, artists no longer need galleries and auctions to sell their work. Instead, the artist can sell it directly to the client as an NFT. Naturally, the growing popularity raised challenges in the direction of protection of intellectual property rights. In particular, there has been a significant increase in copyright violations, especially in terms of illegal digitalization and alienation of works of art without the agreement of the authors. Globally, intellectual property rights protection legislation has not been sufficiently equipped to combat copyright infringements emerging in the digital world and is still in the process of adapting to new circumstances. So far, there is no specialized regulation on non-fungible tokens in terms of intellectual property rights in the legislation of the EU countries, and even more so in Georgia. Therefore, a legitimate question arises as to what should be the next steps, which, on the one hand, should harmoniously protect copyright and, on the other hand, not limit authors' access to the digital world. Moreover, in the process of achieving the mentioned goal, what is the reality and role of Georgia? To answer this question, a thorough study of the existing practice of copyright and NFT is necessary.

სამკვიდროს გახსნა და მიღების წესი

ეკატერინე ნინუა
სამართლის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანა გეგეშიძე
სამართლის მაგისტრი

მემკვიდრეობით სამართალში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამკვიდროს გახსნის ინსტიტუტს, რომლითაც რეალურად იწყება მემკვიდრეობითსამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა – სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა მემკვიდრეების მიერ. კერძოდ, ამ უფლების განხორციელებას ხელს უწყობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 1319-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად.“[1] აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი გამოყოფს სამკვიდროს გახსნის ორ შემთხვევას: 1. როცა დადგება პირის ბიოლოგიური სიკვდილი – გარდაცვალება და მამკვიდრებელი გარდაცვალების მოწმობას წარადგენს სანოტარო ბიუროში, რითაც დაამტკიცებს ამ ფაქტს. 2. როცა სასამართლო გამოაცხადებს პირს გარდაცვლილად. ორივე შემთხვევაში ფაქტი უნდა იყოს ერთი, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალება იყოს დადასტურებული,

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2023, მუხლი 1319.

ანუ მემკვიდრის კანონით გარანტირებული უფლება, რომ წარმოეშვას სამკვიდრო ქონების ფლობის უფლება და შესაძლებლობა, ვერ შესრულდება მამკვიდრებლის სიცოცხლეში, სამკვიდრო ქონება მემკვიდრეზე გადადის მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ.[2]

იმისათვის, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მემკვიდრის საკუთრებად, აუცილებელია მან მიიღოს იგი კანონით დადგენილი წესების დაცვით. თავის მხრივ კი, სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია ანდერძით და კანონით მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაშიც. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სამკვიდროს მიღების უფლება მემკვიდრეს ეძლევა სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში. სამკვიდროს მიღების უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, ხოლო ქმედუ-უნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. შესაბამისად, ორ შემთხვევაში ხდება სამკვიდროს მიღება მემკვიდრის მიერ: ერთი, პირადად და მეორე, წარმომადგენლის მეშვეობით. შესაძლებელია სახეზე გვქონდეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა მემკვიდრემ, რომელსაც უნდა მიეღო სამკვიდრო ქონება გარდაიცვალა და ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ ვადაში, ასეთ დროს ქონების მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. აღნიშულ გარემოებას ეწოდება მემკვიდრეობითი ტრანსმისია, რომელსაც არეგულირებს სსკ-ის 1430-ე მუხლი.

იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის საფუძველია პირის გარდაცვლილად გამოცხადე-ბა სასამართლოს მიერ, მაშინ აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირის საცხოვრებელი ადგილზე ხუთი წლის განმავლობაში რეალურად არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყო-ფელის შესახებ; ასევე, იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელი დაიკარგა უგზო-უკვლოდ ისეთ გარემოებაში, რომელიც მის სიკვდილს მოასწავებდა; ან თუ სავარაუდოა პირის დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევიდან გამომდინარე და ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ.[3] ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია სასამართლომ გამოაცხადოს პირი გარდაცვლილად, რაც უკვე მართლზომიერი საფუძველი იქნება სამკვიდროს გასახსნელად.

რაც შეეხება უშუალოდ სამკვიდროს გახსნის დროს, თუ რა დროიდან აქვს მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა, ანუ რომელი დღიდან აითვლება სამკვიდროს მისაღე-ბად დადგენილი ექვსთვიანი ვადა, ამას ადგენს სსკ-ის 1320-ე მუხლი. კერძოდ, „სამკვიდროს გახსნის დროდ განსაზღვრულია მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.“[4] ანუ კანონი პირდაპირ უთითებს, თუ რა შემთხვევაშია დასაშვები სამკვიდროს გახსნა და

---

[2] მენაბდიშვილი ს., კანონით მემკვიდრეობა, სამოქალაქო სამართალი, ალმანახი, გამოიცა OSI-სა და NOVIB-ის ფინანსური მხარდაჭერით, თბ., 1998, გვ. 31.

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2023, მუხლი 22.

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2023, მუხლი 1320.

ამავდროულად, რომელია ის კონკრეტული დღე, საიდანაც იწყება სამკვიდროს მიღებისთვის გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის ათვლა. როგორც წესი, თავად სამკვიდროს გახსნის დროს უკავშირდება სამკვიდროს მისაღებად მემკვიდრეთა რიცხვის, ასევე, სამკვიდროს შემადგენლობის და სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული ვადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრას.

თავის მხრივ, სამკვიდროს გახსნის დრო უნდა დადასტურდეს პირის, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანო უარს იტყვის პირის გარდაცვალების რეგისტრაციაზე, მაშინ გარდაცვალების ფაქტი უნდა დადასტურდეს სასამართლოს მიერ.[5]

სამკვიდროს გახსნის მომენტში წარმოშობილი მემკვიდრის უფლება, რომ მიიღოს სამკვიდრო ქონება ან საერთოდ უარი განაცხადოს მის მიღებაზე, წარმოადგენს მის კანონით დადგენილ უფლებას, რომელსაც ითვალისწინებს სამემკვიდრეო სამართალი. ასევე, მნიშვნელოვანია სხვა გარეშე პირთაგან ისეთი მოქმედებების აკრძალვა, რომლებიც ხელს შეუშლიან მემკვიდრეს ამ უფლების განხორციელებაში.

მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი:

1. სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ;

2. ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს.[6] ამასთან, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილია სამკვიდროს მიღების ვადა, რაც გულისხმობს, რომ სამკვიდრო მემკვიდრის მიერ მიღებულ უნდა იქნას სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.[7] ანუ აღნიშნული ნორმით დადგენილია კონკრეტული, ამ შემთხვევაში ექვსთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გამოთქვას სამკვიდროს მიღების სურვილი. შესაბამისად, ეს ექვსთვიანი ვადა განსაზღვრულია ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული სამკვიდროს მიღებისთვის მოქმედებების შესასრულებლად. კერძოდ: მემკვიდრემ ამ ვადაში უნდა შეიტანოს სანოტარო ორგანოში განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ ან უნდა მოახდინოს სამკვიდრო ქონების ფლობა ან მართვა.[8] მემკვიდრეს სამკვიდრო ქონების მისაღებად საჭირო მოქმედებების განხორციელება

---

5 საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ", მუხლი 4, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1541247

6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2023, მუხლი 1421 (2).

7 კოხრეიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი #2/14, 2014, გვ. 25.

8 სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #71, თბ., 2010, მუხლი 78.

შეუძლია მხოლოდ სამკვიდროს გახსნის დღიდან, ექვსი თვის განმავლობაში. შესაბამისად, აუცილებელია ამ ვადაში იქნას გამოვლენილი მემკვიდრის ნება, სურს თუ არა სამკვიდროს მიღება და წარადგინოს სანოტარო ბიუროში შესაბამისი დოკუმენტაცია. ანუ აქ იგულისხმება, როგორც თანხმობა, ასევე უარიც სამკვიდროს მიღებაზე.

ამავდროულად, 1421-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.“[9] აღნიშნული ჩანაწერის თანახმად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მემკვიდრეობის მიღებად ითვლება ის გარემოებაც, როდესაც მემკვიდრე უარს განაცხადებს სამკვიდროდან წილის მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ გადაწყვეტილი. მემკვიდრე როგორც წესი, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ამავდროულად, ქმედუნარიანი და არ უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები მის მიმართ.[10] სამკვიდროს მიღება თავისი სამართლებრივი ბუნებით ცალმხრივი გარიგებაა, რაც გამოიხატება მემკვიდრის მხრიდან სამკვიდროს მიღების სურვილში. სამკვიდროს მიღება კი, თავის მხრივ გულისხმობს, იმ გარემოებას, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა. იმ გარემოების არსებობის დროს, როცა მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე მიიღო და თავის საკუთრებაში გადავიდა, თუ იგი არ განახორციელებს სამკვიდროზე თავის უფლებას, ანუ მაგალითად, თუ არ იცხოვრებს ან არ გამოიყენებს მას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეს არ ნიშნავს, რომ მან სამკვიდრო არ მიიღო. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არავითარ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროზე, რომელიც მემკვიდრემ უკვე მიიღო. როგორც უკვე აღვნიშნეთ სამკვიდროს მიღება ხდება ორი გზით: სანოტარო ორგანოში განცხადებით და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობითა და მართვით. სანოტარო ორგანოში განცხადება სამკვიდროს გახსნის შესახებ შეტანილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით. ამავდროულად, სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს იმ მემკვიდრესაც, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობასა და მართვას.[11] როგორც წესი, სამკვიდროს ფლობა გულისხმობს რამდენიმე შემთხვევას. კერძოდ, მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, საცხოვრებელი სახლის გამოყენება, მასში ცხოვრება, იმ სახლში, სადაც რეალურად მამკვიდრებელი ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. ასეთი შემთხვევა აუცილებლად განიხილება სამკვიდროს მიღებად, გარდა იმ შემთხვევისა,

---

9 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2023, მუხლი 1421.

10 მენაბდიშვილი ს., კანონით მემკვიდრეობა, სამოქალაქო სამართალი, ალმანახი, გამოიცა OSI-სა და NOVIB-ის ფინანსური მხარდაჭერით, თბ., 1998, გვ. 29.

11 კოხრეიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი #2/14, 2014, გვ. 26, 28.

თუ მემკვიდრე უშუალოდ არ განაცხადებს უარს სამკვიდრო ქონებაზე.[12] აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეს არა აქვს კონკრეტული შეზღუდვა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მის სახლში ცხოვრების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ფლობაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავისთან გადატანა, შენახვა. სამკვიდროს ფაქტობრივ მართვაში ასევე, იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა შესაძლოა მემკვიდრე არ ფლობს მამკვიდრებლის კონკრეტულ ნივთებს თუმცა, სამკვიდროს თავისად მიიჩნევს. მაგალითად, თუ ის იხდის სამკვიდროს გახსნის შემდეგ კომუნალურ და ქონების გადასახადებს.

სამკვიდროს ნაწილის მიღება ნიშნავს თავისთავად მთელი სამკვიდროს მიღებას, სადაც არ უნდა იყოს იგი. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა სამკვიდრო ქონება სხვადასხვა ადგილზეა და სამკვიდროს მიღება ერთ ადგილზე გულისხმობს სამკვიდროს მიღებას სხვა ადგილზეც. ამავდროულად, სამკვიდროს მიღებად ითვლება ისეთი შემთხვევა, როცა მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს წილის მიღებაზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ.[13]

აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეთა შორის ხშირად ხდება სამკვიდროს მიღების გაჭიანურება, რაც იწვევს სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილებას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოებაში, ვინაიდან მემკვიდრეთა მხრიდან სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაშვება ხდება სხვადასხვა მიზეზებით. როგორც ცნობილია, სსკ-ის 1424-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს სამკვიდროს მიღების ექვსთვიან ვადას, რაც მემკვიდრის მიერ უნდა იქნას დაცული, იმისათვის, რომ მამკვიდრებლის ქონება გადავიდეს მის საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზე გვაქვს კანონით დადგენილი ვადა, კერძოდ ექვსი თვე, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გამოთქვას ნება, საკუთარი სურვილი, რომ მიიღოს სამკვიდრო ქონება, რომელიც მამკვიდრებელმა დაუტოვა. თუმცა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეები სამკვიდრო ქონებიდან შეუსაბამო წილის მოთხოვნის საფუძვლითაც არ მიმართავენ ნოტარიუსს, არა მხოლოდ ექვსი თვის ვადაში, არამედ ხანგრძლივად. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ პრეცედენტს, როდესაც მამკვიდრებელს რამდენიმე მემკვიდრე დარჩა და უმრავლესობამ გამოხატა საკუთარი ნება სამკვიდროს მიღებასთან ან უარი განაცხადა მის მიღებაზე კანონით დადგენილი წესების დაცვით, რა დროსაც მხოლოდ ერთ-ერთი მემკვიდრე მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებული იყო ყოველივე ამის შესახებ მაინც არ გამოცხადდა ნოტარიუსთან დიდი ხნის განმავლობაში. შესაბამისად, ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა დადგენილი წესით და იმ ერთი მემკვიდრის წილი დატოვა ღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, აგრეთვე იქმნება სირთულე სამკვიდროს ფლობის, მართვისა და განკარგვის კუთხითაც, რაც

[12] შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2011, გვ. 146.

[13] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომც. სამართალი, თბ., 2000, მუხლი 1422-ე, გვ. 469.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკაში. კერძოდ, სსკ-ის 1459-ე მუხლით დადგენილია, რომ „წილობრივი საკუთრება განუყოფელ ქონებაზე, თუ სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ისეთი ქონება, რომლის გაყოფაც გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას, გაყოფას არ ექვემდებარება და ხდება მემკვიდრეთა საერთო საკუთრება მათი წილის მიხედვით."

აქედან გამომდინარე, გაუყოფად საერთო ქონებაზე უფლების განხორციელებაც არის შეთანხმების საგანი, რაც უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლებელია მემკვიდრეთა შორის იქნას მიღწეული.

გარდა იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი ადგენს სამკვიდროს მიღების ვადას, ამასთან, 1425-ე მუხლით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამკვიდროს მიღების სპეციალურ ვადას, რაც ერთგვარ ბუნდოვანებას ქმნის. კერძოდ, აღნიშნული მუხლის შინაარსი უფლებას ანიჭებს მემკვიდრეს მიიღოს სამკვიდრო, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში, თუ სხვა მემკვიდრეები არ მიიღებენ სამკვიდროს.[14]

აქედან გამომდინარე გაუგებარია, თუ ვის მოიაზრებს კანონმდებელი სხვა მემკვიდრეებში, რადგან ესენი შეიძლება იყვნენ როგორც პირველი, ისე მომდევნო რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები ან შესაძლებელია ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე იყოს საუბარი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილების, ანუ ვადის გაგრძელების საფუძვლები, ვინაიდან მემკვიდრეები ხშირად, ამას საპატიო მიზეზს უწოდებენ და ცდილობენ სასამართლოს დაუმტკიცონ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც „ქ. ფ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. შ-ის, გ. მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ჯ. ტერიტორიული ორგანოსა და ნოტარიუს ნ. თ-ის მიმართ, ს.შ-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის, ამ ვადის აღდგენისა და 2010 წლის 4 ოქტომბერს ნ. შ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე 2008 წლის სექტემბრიდან არ იმყოფებოდა საქართველოში, არალეგალურად ცხოვრობდა იტალიაში და მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ შეძლო მამის სამკვიდროს მიღება. რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობას, მოპასუხემ იგი მიიღო 2010 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ნ. შ. სამკვიდროს დაეუფლა ფაქტობრივი ფლობით, რაც არასწორია, ამასთან, სამკვიდრო მოწმობა ემყარება ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემულ საეჭვო ცნობას.

[14] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2023, მუხლი 1425.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ 2013 წლის 29 აპრილს, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-მა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ.ფ-ის აღუდგა მამის ს. ს-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, ხოლო სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობაზე დარჩა უცვლელი, რადგან მამის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდრო ქონება ფაქტობრივად მიიღეს მისმა პირველი რიგის კანონიერმა მემკვიდრეებმა და სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. კერძოდ, მოსარჩელე ქ. ფ-მა სამკვიდროს მიღების მიზნით პირველი ქმედება განახორციელა 18.02.2012 წელს, გასცა მინდობილობა პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, მინდობილ პირს მიანიჭა უფლებამოსილება – ეწარმოებინა სამემკვიდრეო საქმე გარდაცვლილი ქ. შ-ისა და ს. შ-ის დანაშთ ქონებაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ მოსარჩელეს შეეძლო სამკვიდრო მიეღო წარმომადგენლის მეშვეობით, რადგან არალეგალურად (სავიზო რეჟიმის დარღვევით) იმყოფებოდა საზღვარგარეთ და ვერ შეძლებდა საკონსულოს მეშვეობით ეწარმოებინა წარმომადგენლობის გაფორმების საკითხი."[15] საზღვარგარეთ არალეგალურად ყოფნის ფაქტი თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების ერთადერთ საფუძვლად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს #146-ე ბრძანების შესაბამისად, შესაძლებელი იყო კომუნიკაციის ელექტრონული ფორმის გამოყენება.[16] სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იუსტიციის მინისტრის ბრძანება არ წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს, იგი კანონქვემდებარე ნირმატიული აქტია და დაუსაბუთებელია მსჯელობა კანონქვემდებარე აქტში ამა თუ იმ ცვლილების შეტანის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი მოქალაქის სავალდებულო ინფორმირების თაობაზე.

სააპელაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელემ დაასაბუთა სადავო პერიოდის განმავლობაში სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ვადაში მემკვიდრის ნების გამოვლენის შეუძლებლობა, რის გამოც ქ.ფ-ის მიერ მამის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით.

ამდენად, სასამართლომ იმსჯელა მოწმეთა დაკითხვისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და ქ. ფ-ის სასარჩელო მოთხოვნა ს. ს-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის საპატიოდ მიჩნევის, ამ ვადის აღდგენისა და 2010 წლის 4 ოქტომბერს

[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, #ას-421-398-2014. თბ., 5.06.2015.

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები სამოქალაქო დავებზე (2011-2016), თბ., 2018, გვ. 89.

ნ. ს-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა."[17] ვფიქრობთ, კეთილსინდისიერების პრინციპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმერი სახის სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, რადგან თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი უფლებები და მოვალეობები. ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის ზედმეტად გადატვირთვას.

სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის დადგენის დროს, მნიშვნელოვანია შეფასდეს იმ ვადის საპატიოობა, რომლითაც მხარემ გადააცილა სანოტარო ორგანოში მიმართვის ან ქონების დაუფლების ვადას. ამასთან, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.[18] მნიშვნელოვანია დადგინდეს ობიექტური და სუბიექტური გარემოებები, რამაც გამოიწვია მემკვიდრის მიერ სანოტარო ორგანოში მიმართვით ნების გამოვლენის შეუძლებლობა.

სსკ-ის 1426-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ შეუძლია მემკვიდრემ მიიღოს სამკვიდრო, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის გასვლის შემთხვევაში. კერძოდ:

1. მნიშვნელოვანია გამოვყოთ გარემოება, როდესაც მართალია, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადა გავიდა, მაგრამ სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე თანახმაა მიიღოს სამკვიდრო. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც მემკვიდრეები მიიღებენ თავიანთ წილ სამკვიდრო ქონებას.

2. როდესაც მემკვიდრეები არ თანხმდებიან სამკვიდრო ქონების განაწილებაზე და მიღების ექვსთვიანი ვადაც გასულია, მაშინ საკითხს წყვეტს სასამართლო და არა ნოტარიუსი. ამასთან, სსკ-ის 1426-ე მუხლის (1) განსაზღვრავს ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის შესაძლებლობის შემთხვევებს. თუმცა, ზუსტი ფორმულირება, თუ რომელი გარემოება ჩაითვალოს საპატიოდ, არ არის მოცემული და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სასამართლომ ყოველი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი. ამ დროს სასამართლო ხელმძღვანელობს მოწმეთა ჩვენებებით, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას (იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, უვლიდა სახლ-კარს და ა. შ.), რაც შეიძლება სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების სხვა (ავადმყოფობა, ხანგრძლივი დროით მივლინებაში ყოფნა) საპატიო საფუძვლებთან ერთად მიჩნეული იყოს საპატიოდ.

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა განვსაზღვროთ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძველი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სამკვიდროს მიღების პროცესში, ვადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. ეს საფუძვლებია:

---

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, #ას-421-398-2014. თბ., 5.06.2015.

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები სამოქალაქო დავებზე (2011-2016), თბ., 2018, გვ. 89.

1. თუ მემკვიდრემ ვადა გაუშვა რაიმე კონკრეტული საპატიო საფუძლით, შესაბამისად მან სასამართლოს მიმართა სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის თაობაზე ამ საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ.

2. შემთხვევა, როცა მემკვიდრემ არ იცოდა და არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არც შეიძლებოდა სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის შესახებ.

საკვლევი საკითხის ირგვლივ არაერთი მსჯელობა ჩამოყალიბდა, სადაც ხაზი გაესვა საპატიო მიზეზის ობიექტურობის დადგენას, მის არსებობასა და სამემკვიდრეო სამართლით გათვალისწინებული სამართლებრივი ქმედებების განხორციელების რეალურ შეუძლებლობას, რა დროსაც პირს, ამ შემთხვევაში მემკვიდრეს, რომელმაც გაუშვა სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადა, არ უნდა შეძლებოდა ამ ვადაში კონკრეტული საპატიო მიზეზიდან გამომდინარე მოქმედება. ანუ იმისათვის, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა მიიღოს პირმა, საკმარისი არ არის მხოლოდ მისი ნების არსებობა მამკვიდრებლის ქონებასთან მიმართებით, არამედ მნიშვნელოვანია მას ჰქონდეს აღნიშნული ვადის გაშვების ობიექტური და საფუძვლიანი საპატიო მიზეზი. აღნიშნულ ექვსთვიან ვადაში ნების გამოუხატველობა როგორც წესი, ქმნის სამკვიდროს მიღებაზე ნების არარსებობის პრეზუმფციას. შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, პირს უქარწყლდება მემკვიდრის უფლება, რომ სამკვიდრო მიიღოს სხვა მემკვიდრეთა თანხმობის გარეშე. მარტივად რომ ვთქვათ, სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ, მემკვიდრის უფლება – მიიღოს თავისი წილი სამკვიდროდან, უკვე დამოკიდებულია აღნიშნულ სამკვიდროზე უფლებამოსილი მემკვიდრეების ნებართვაზე, ანუ მათზე ვინც კანონით დადგენილ ვადაში მიიღო სამკვიდრო. თუ არ არსებობს სხვა უფლებამოსილი მემკვიდრე, მაშინ პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის საპატიოობასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია კანონით დადგენილი ვადის გაშვების საპატიოობაზე მსჯელობისას, მხედველობაში იქნას მიღებული მემკვიდრის ნების გამოვლენის შეუძლებლობის დადასტურება – რამდენად სამართლიანად და მართლზომიერად ამტკიცებს პირი, რომ ვადის გაშვებას აქვს რეალური მიზეზი. სწორედ ეს გარემოებაა, რომელსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. ვადის გასვლის საპატიო საფუძველს რაც შეეხება, ის უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში და ამავდროულად კანონით დადგენილი ამ ექვსთვიანი ვადის ამოწურვიდან ვადის გაგრძელების მოთხოვნით, სასამართლოსთვის მიმართვის თარიღამდე.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირის მიერ ნების არგამოვლენა სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვსთვიან ვადაში და ნოტარიუსთან გამოუცხადებლობა ან ფაქტობრივი ფლობით დაუფლება თუ არ გვაქვს სახეზე, მაშინ აღნიშნული გარემოება ქმნის კონკრეტულ სამართლებრივ პრეზუმფციას, რომ პირს არ ჰქონდა სამკვიდროს მიღების სურვილი და რა თქმა უნდა, კარგავს უფლებას სამკვიდროზე, რომლის აღდგენაც შესაძლებელია სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებათა წარდგენის საფუძველზე, რაც გახდა სამკვიდროს მიღების შეუძლებლობის საფუძველი.

THE PROCEDURE FOR OPENING AND RECEIVING THE ESTATE

EKATERINE NINUA
Ph.D. of Law
Akaki Tsereteli State University Associate professor

ANA GEGESHIDZE
Master of Law

The scientific work is devoted to determining the procedure for opening and receiving the estate. As it is known, the death of the heir or being declared dead by the court leads to the emergence of inheritance-legal relations, and the rights and duties of the deceased are transferred to their heirs by universal succession. In the work, the procedure for receiving the inheritance is given, and special attention is paid to the observance of the deadline for receiving the inheritance and the analysis of honorable reasons for delay. In addition, attention is paid to the need for the heirs to apply to the notary authority within six months or to review the cases of actual possession of the estate by the heirs, to consider the inheritance as accepted. Based on court practice, the fairness and objective circumstances of exceeding the deadline for receiving the estate are analyzed.

During the research of the problematic issues raised in the work, the flaws that are defined in the current criminal code of Georgia have been identified, and the author has expressed his own opinions to eliminate the mentioned flaws.

აფიდავიტი – კონტრაჰენტის სანქცირება ადმინისტრაციულ სამართალში და ოფერენტის მონოპოლია სახელმწიფო შესყიდვებში

პაატა კუბლაშვილი
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორი

შემსყიდველი ორგანიზაციები და ეკონომიკური ოპერატორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საჯარო შესყიდვების პროცედურების შესახებ[1]

შესავალი

საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო.[2] საქართველომ უნდა უზრუნველყოს მისი საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის

---

1 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 148-ე მუხლი.

2 საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლი.

საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან.[3] ეროვნული სამართლის ევროპული კავშირის სამართალთან ჰარმონიზაციის[4] მიზნით, 2025 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ცხადდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რეგულაცია და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.[5] ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შესყიდვების სფეროს მარეგულირებელი და კარდინალურად ახალი – „საჯარო შესყიდვების შესახებ" კანონის მიღება.[6] კანონის სატენდერო შინაარსის ნორმებით – საჯარო შესყიდვებში მონაწილე ფიგურანტებს შორის შესყიდვების პროცედურის გვერდის ავლით წარმოებული ფარული მოლაპარაკება არაკეთილსინდისიერ ქმედებად ფასდება და იგი როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის წესით დასჯადია.[7] სატენდერო კონფლიქტი შესყიდვების პროცესის კონტრაჰენტთა შორის სახეზეა მაშინ, როდესაც პრეტენდენტი არაკეთილსინდისიერი ქმედებით არღვევს კანონმდებლის პოლიტიკური ნებით დეფინირებულ სახელმწიფო (საჯარო) შესყიდვების მართლწესრიგს და ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევის რისკს. შესყიდვების ამ სტადიიდან სახელმწიფო ასრულებს საკუთარ პოზიტიურ ვალდებულებას და ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მიღებით ტენდერიდან ადისკვალიფიცირებს და სჯის შესყიდვების არაკეთილსინდისიერ და არასასურველ სუბიექტს.

აფიდავიტი – კონტრაჰენტის სანქცირება ადმინისტრაციულ სამართალში[8]

ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, პრეტენდენტის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ არაკეთილსინდისიერ ქმედებას სახელმწიფო შესყიდვების სამართალი აფიდავიტის წესის დარღვევად აკვალიფიცირებს, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო კონტრაჰენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციითა და მისი კანონიერი სანქცირებით ადეკვატურად პასუხობს. სტატიის ერთ-ერთი მიზანია

---

3 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 146-ე მუხლის პირველი პუნქტი.

4 ქარდავა ე., სამართლებრივი აპროქსიმაციის ასპექტები საქართველოს ნორმატიულ სივრცეში, 2016, გვ. 2-3.

5 „საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები. თავი XIV.

6 „საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 08.06.2022 წელი, №07-2/158/10.

7 „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 08.06.2022 წელი, № 07-2/158/10.

8 სტატიაში განმარტებულია როგორც 2025 წლის 1 იანვრამდე მოქმედი („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი), ისე 2025 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი („საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი) შესყიდვების მარეგულირებელი სამართლის სატენდერო ნორმები.

განიმარტოს ნაციონალურ სამართალში უცნობი და შეუსწავლელი – აფიდავიტის როგორც სანქციის ახალი სახის დეფინიცია.

სახელმწიფო შესყიდვები, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით სუბორდინაციულ სამართალურთიერთობაში ხორციელდება, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს შემსყიდველი ორგანიზაციის სახით ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, არ გააჩნია მავალებელი ან ამკრძალავი ხასიათი. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შემსყიდველი ორგანიზაცია იწვევს დაინტერესებულ პირებს, რათა გახდნენ მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილენი საკუთარი სურვილის, ნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ამდენად, ნების ავტონომიის პრინციპით მოქმედი მიმწოდებლები არა მხოლოდ აღჭურვილნი არიან უფლებით, გახდნენ სახელმწიფოს პარტნიორები, არამედ ამავდროულად, შებოჭილნი არიან კეთილსინდისიერების პრინციპით: სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და მოვალეობანი (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი), ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი). პრეტენდენტთათვის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა წარმოადგენს მათი სამოქალაქო უფლების რეალიზაციას, რომლის სამართლებრივი სტანდარტი დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის – უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა, დანაწესით: სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.[9]

სახელწიფო შესყიდვები (საჯარო შესყიდვები),[10] როგორც საჯარო და მმართველობითი საქმიანობა შესყიდვის სამსაფეხურიანი სისტემით ხორციელდება: 1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულად – ვებგვერდის მეშვეობით ინიცირება; 2. მიმწოდებლის შერჩევის მიზნით, შესყიდვის პროცედურის ჩატარება; 3. შერჩეულ მიმწოდებელთან „სახელწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულების გაფორმება. სახელმწიფო შესყიდვები ელექტრონულად, ვებგვერდის მეშვეობით ინიცირდება: სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა არის სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი – www.tenders.procurement.gov.ge,[11] რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, მისი ჩატარების შედეგად გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

---

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ბს-667-642(კ-13).

10 რადგანაც ტერმინი „სახელმწიფო შესყიდვა" არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული დასახელების ჩანაცვლება ტერმინით - „საჯარო შესყიდვა."

11 2025 წლის 1 იანვრიდან საჯარო შესყიდვები უნდა განხორციელდეს საჯარო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემისა და შესყიდვებთან დაკავშირებული ერთადერთი ოფიციალური პორტალის – www. eprocurement.gov.ge მეშვეობით.

ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,[12] ელექტრონული ტენდერის ჩატარების მიზნით, სატენდერო კომისია[13] შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სატენდერო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი,[14] რის შედეგადაც სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია პროაქტიული სახით – ოფიციალურად გამოქვეყნებულად ითვლება. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლია ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის – „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპზე. სატენდერო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით – აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირი უპირველესად ეთანხმება რა, აფიდავიტის პირობებს, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ ენიჭება პრეტენდენტის სტატუსი, რის შემდეგადაც პრეტენდენტი უფლებამოსილია შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგინოს სატენდერო წინადადება. სატენდერო წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა, უპირველეს ყოვლისა, სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია და სისტემის შესაბამის ველში ეროვნულ ვალუტაში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სულ მცირე, ერთი ბიჯით ნაკლები. სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო პირობებს. შესყიდვების ელექტრონული სისტემით ძირითად დროში დაცულია პრეტენდენტების რაოდენობის, მათი ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობა. სატენდერო კომისია პრეტენდენტებს აფასებს მათ მიერ

---

12 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

13 2025 წლის 1 იანვრიდან საჯარო შესყიდვა განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ამავე ორგანიზაციაში შექმნილი შესყიდვების კომიტეტის მიერ. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

14 ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდების გათვალისწინებით, ელექტრონული ტენდერი სისტემაში აღინიშნება აბრევიატურით: SPA, ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე, აღინიშნება აბრევიატურით: NAT, სამუშაოს შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის განსხვავებული წესით ჩატარება აღინიშნება აბრევიატურით: DAP, ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, აღინიშნება აბრევიატურით: MEP, ხოლო ელექტრონული ტენდერის პრეკვალიფიკაციით ჩატარების შემთხვევაში, აღინიშნება აბრევიატურით: TEP (Restricted Procedure).

წარდგენილი სატენდერო წინადადებების მიხედვით და შეფასების შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას შერჩეულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმების ან კანონით დადგენილი წესით პრეტენდენტთა დისკვალიფიკაციის შესახებ.[15]

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, აფიდავიტი განიმარტება როგორც წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის.[16] „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით (რომელიც წარმოადგენს სპეციალურ რეგულაციას სახელმწიფო შესყიდვებში), დამტკიცებულია აფიდავიტის ფორმა (დანართი №1). „სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე“ აფიდავიტის პირობების გაცნობით, ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტი ადასტურებს, რომ: 1. მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად; 2. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტებს შორის არ წარმოებულა რაიმე სახის ან რაიმე სახით კონსულტაცია; 3. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების გასაჯაროების მომენტამდე; 4. სატენდერო წინადადების სახით წარდგენილი ინფორმაცია მოპოვებულია კეთილსინდისიერად და არ არის მცდარი.

აფიდავიტის პირობებზე დათანხმებით, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი იბოჭება აფიდავიტის სატენდერო, იმპერატიული ნორმებით და იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ტენდერში მონაწილეობის პროცესში არ განახორციელებს არაკეთილსინდისიერ ქმედებას. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედება პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველია (აფიდავიტის წესის დარღვევა).[17] „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენ-

---

15 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 21-ე მუხლი.

16 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი.

17 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

ტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანების მიხედვით, პრეტენდენტი ექვემდებარება შავ სიაში დარეგისტრირებას, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, არაკეთილსინდისიერი პრეტენდენტის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ამდენად, აფიდავიტის სატენდერო წესების დარღვევა: 1. პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიცირებასთან; 2. შავი სიის ოფიციალურ რეესტრში მის დარეგისტრირებასთან; 3. სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლით გათვლისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან იდენტიფიცირდება, რომლებზედაც ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სასამართლოების მიერ შემდგომი სასამართლო კონტროლი ხორციელდება.[19]

აფიდავიტის ფორმის პრევენციული შინაარსის დანაწესი: „გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად," დაკავშირებულია ტენდერში მონაწილეობის სურვილის მქონე პრეტენდენტთან. კერძოდ, დანაწესის შესაბამისად, პრეტენდენტი ადასტურებს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების შემუშავებას კონკურენტთან შემხებლობის გარეშე და ეთანხმება აფიდავიტში მითითებულ სხვა პირობებს, მათ შორის, პირობას, რომ სატენდერო წინადადების პირობები მას წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების გასაჯაროების მომენტამდე. ამასთან, პრეტენდენტი პრეზუმირებს, რომ მის მიერ სატენდერო წინადადების სახით წარდგენილი ინფორმაცია არ არის მოპოვებული არაკეთილსინდისიერად.[20]

ელექტრონულ ტენდერში SPA150032577 სატენდერო კომისიის მიერ შეფასდა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების – შპს „აუთდორ მედია ჰაუსი"-სა და შპს „აუთდორ.ჯი"-ს სატენდერო წინადადებები. სატენდერო წინადადებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებისას,

---

18 „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

19 გადაწყვეტილება არაკეთილსინდისიერი ქმედებისათვის პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის შესახებ მიიღება შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის მიერ, რომელიც ერთჯერადად საჩივრდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში და შემდეგ სასამართლოში, ხოლო გადაწყვეტილებას დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ, განკარგულების სახით გამოსცემს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც საჩივრდება პირდაპირ სასამართლოში.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 05 მაისის გადაწყვეტილება, საქმე № 3ბ/275-16.

სატენდერო კომისიის მიერ უდავოდ იქნა მიჩნეული, რომ პრეტენდენტთა მიერ შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ატვირთული იყო იდენტური – შპს „აუთდორ. ჯი“-ს ტექნიკური დოკუმენტაცია. აღნიშნული გარემოება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეფასდა როგორც აფიდავიტის წესების დარღვევად. კერძოდ, მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტს – შპს „აუთდორ მედია ჰაუს“-სა და კონ-კურენტს – შპს „აუთდორ.ჯი“-ს შორის მოხდა კომუნიკაცია და სატენდერო წინადადების პირობები გამჟღავნდა სატენდერო წინადადების გასაჯაროების მომენტამდე. სატენდერო კომისიამ შპს „აუთდორ მედია ჰაუს“-სა და შპს „აუთდორ.ჯი“-ს ქმედება მიიჩნია ხელშეკრუ-ლების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ არაკეთილსინდისიერ ქმედებად და სამართლიანად განახორციელა ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ორივე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად განმარტა, რომ პრეტენდენტების მიერ იდენტური სატენდერო ინფორმაციის წარდგენით დასტურდებოდა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის ფაქტი, რის გამოც არსებობდა პრეტენ-დენტთა შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ დავასთან მიმართებაში განმარტა, რომ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებები არ იყო შემუშავებული ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, დასტურდებოდა მათ მიერ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, არაკე-თილსინდისიერი ქმედების განხორციელების ფაქტი, რაც ქმნიდა სატენდერო პროცედური-დან ჯერ, პრეტენდენტთა დისკვალიფიკაციისა და შემდეგ მათი შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილებათა გამოცემის კანონისმიერ საფუძვლებს.[21]

აფიდავიტის სტატუსის დამდგენ ფორმაში ტერმინი „კონკურენტი“ განიმარტება როგორც „ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ტენდერში.“ ტენდე-რიდან პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, ის კარგავს კონკურენტის სტატუსს და მისი სხვა პრეტენდენტებთან ან მასთან სხვა პრეტენდენტების კომუნიკაცია აფიდავიტის მიზნებისთვის არ პრეზუმირდება, როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება (არ არსებობს ნორმატიული აკრძალვა ტენდერიდან დისკვალიფიცირებულ სუბიექტთან კომუნიკაციის შესახებ).

ელექტრონულ ტენდერში SPA150009546 შპს „ელჯი ოილი“-ს დისკვალიფიკაციის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით მასთან კომუნიკაცია განახორციელა ამავე

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №ბს-363(კ-20)

ტენდერში მონაწილე, მომდევნო დაბალი სატენდერო წინადადების ფასის, პრეტენდენტის აქტიური სტატუსის მქონე შპს „ლოგიკა“-მ. სატენდერო კომისიის მიერ კომუნიკაციის ეს ფაქტი შეფასდა, როგორც აფიდავიტის პირობების დარღვევა და შპს „ლოგიკა“ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერ ქმედების ჩადენის გამო დისკვალიფიცირებული იქნა ტენდერიდან.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭომ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილე სუბიექტთა კომუნიკაციით დაირღვა აფიდავიტის სატენდერო წესები და დაადგინა, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტთა დისკვალიფიკაციასთან მიმართებით, არ ეწინააღმდეგებოდა შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას.[22]

მითითებული დავის საკასაციო წესით განხილვისას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ შპს „ელჯი ოილი“-ს დისკვალიფიკაციის შემდეგ მან შპს „ლოგიკას“-თან მიმართებით დაკარგა კონკურენტის სტატუსი. აფიდავიტის პირობების თანახმად, შპს „ლოგიკა“-ს, როგორც აქტიური სტატუსის მქონე პრეტენდენტს ეკრძალებოდა კონკურენტთან კომუნიკაცია. აფიდავიტის მიზნებისთვის კი, კონკურენტის ცნებაში მოიაზრებოდა ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო პრეტენდენტი ან/და წარედგინა სატენდერო წინადადება იმავე ტენდერში. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ შპს „ლოგიკა“-სა და შპს „ელჯი ოილ“-ს შორის კომუნიკაციის ფაქტს ადგილი ჰქონდა შპს „„ელჯი ოილი“-ს დისკვალიფიკაციის შემდეგ, ანუ იმ დროს, როდესაც ის აღარ იყო პრეტენდენტი და აღარ ჰქონდა სატენდერო წინადადების წარდგენის შესაძლებლობა. ამდენად, კომუნიკაციის განხორციელების მომენტში აფიდავიტის მიზნებისთვის ტენდერიდან დისკვალიფიცირებული შპს „ელჯი ოილი“ აღარ მიიჩნეოდა ტენდერში მონაწილე შპს „ლოგიკა“-ს კონკურენტად.[23]

პრეტენდენტის პროცესუალური უფლება, სატენდერო პირობების შესაბამისად, მტკიცებულების სახით კეთილსინდისერად წარადგინოს მოთხოვნილი სატენდერო დოკუმენტაცია, სახელმწიფო შესყიდვებში ტრანსფორმირდება, როგორც პრეტენდენტის პროცესუალური ვალდებულება. სატენდერო პროცესში პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერი ქმედების დადგენა და ტენდერიდან მისი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს – სატენდერო კომისიის კანონისმიერი კომპეტენციაა, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცების ტვირთიც მასვე ეკისრება.

---

[22] სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, DIS150009546_01.

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №ბს-797-793(კ-17).

სატენდერო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განეკუთვნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დეფინირებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის სატენდერო პროცესთან (პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია) დაკავშირებული გადაწყვეტილება[24] აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს: 1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი; 2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან; 3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ; 4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება (იგულისხმება შემდეგი ელემენტი: „აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს“) მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ ე. ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პრეტენდენტის სამართლებრივ მდგომარეობას.[25]

არაკეთილსინდისიერი ქმედებით ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მცდელობა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციასთან ერთად, კუმულაციური ეფექტით მისი შავ სიაში რეგისტრირების საფუძველია. შემსყიდველი ორგანიზაცია არაკეთილსინდისიერი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის თაობაზე გადაწყვეტილების პარალელურად მიმართავს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს[26] პრეტენდენტის შავ სიაში რეგისტრირების მოთხოვნით,[27] რითაც ასრულებს კანონის კუმულაციურ პირობასა და ნებას.

NAT230016932 ელექტრონული ტენდერის პირობების თანახმად, პრეტენდენტის პროცესუალური ვალდებულება იყო წარედგინა სპეციალისტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რითაც დადასტურდებოდა სატენდერო მოთხოვნა პრეტენდენტის პერსონალის სამუშაო გამოცდილების შესახებ. სატენდერო კომისიის მიერ ტენდერში მონაწილე შპს „თამარაშენი 2008“-ის სატენდერო წინადადების შესწავლისას დადგინდა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შრომითი ხელშეკრულება არ იყო ვალიდური და წარდგენილი ინფორმაცია იყო მცდარი.[28] სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „თამარაშენი 2008-ს“ ხელშეკ-

---

[24] სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, გვ 7, DET230012244_02.

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინება. საქმე №ბს-713-300(კ-05).

[26] 2025 წლის 1 იანვრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო შესყიდვების სააგენტო. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი.

[27] „სატენდერო კომისიის 2023 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციისა და მისი შავ სიაში რეგისტრირების მოთხოვნის შესახებ, NAT230017327.

[28] შპს „თამარაშენი 2008-ის“ მიერ წარდგენილი შრომითი ხელშეკრულებით არ დასტურდებოდა ხელშეკრულებაში დასახელებულ პირთან შრომითი ურთიერთობის არსებობის ფაქტი.

რულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო მიენიჭა დისკვალიფიკაცია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია შპს „თამარაშენი 2008"-ის მიერ მცდარი ინფორმაციის წარდგენის ფაქტი და განმარტა, რომ პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედებით დაირღვა აფიდავიტის პირობები, რის გამოც არსებობს შპს „თამარაშენი 2008"-ის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფუნქციებში, პრინციპული მნიშვნელობით გამორჩეულია შესყიდვების მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის წარმოების კომპეტენცია. შავი სია წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს,[29] რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს შავ სიაში დარეგისტრირებიდან ერთი წლის განმავლობაში[30] არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება. სააგენტო შავ სიას აწარმოებს ელექტრონულად, საკუთარ ვებგვერდზე[31] და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

შავი სიის რეესტრი პრაქტიკულად, წარმოადგენს მონაცემთა ბაზას არაკეთილსაიმედო პარტნიორთა შესახებ. აღნიშნული ფაქტის დადგენით კანონმდებელს ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობაში შემოაქვს სამოქალაქო სამართალურთიერთობის განმსაზღვრელი კეთილსინდისიერების პრინციპის ანალოგი, როგორც დამახასიათებელი პრინციპი ორმხრივ, პირთა ნებელობაზე წარმოშობილი სამართალურთიერთობისათვის. ამ ინსტიტუტის შემოღებით, საქართველოს სახელმწიფო უდავოდ ნოვატორია, რამდენადაც ევროპის სამართლებრივ სახელმწიფოებში არ ხორციელდება ამგვარი რეესტრის წარმოება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში არაკეთილსინდისიერ პრეტენდენტთა სია ფორმალურად, განთავსებულია ვებგვერდებზე, შესაბამისად, ხელმისაწვდომია, მაგრამ აქვს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი და უშუალო სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, რამდენადაც არ გამხდარა საკანონმდებლო მოწესრიგების საგანი. ამდენად, შავის სიის რეესტრს, იურიდიული ძალა მხოლოდ საქართველოში მიენიჭა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად

---

29 „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებაში მითითებული პრეტენდენტის შავ სიაში რეგისტრირების დამდგენი ნორმები გაერთიანებულია „საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლში (შავი სია).

30 „საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეხუთე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, 2025 წლის 1 იანვრიდან პრეტენდეტის არაკეთილსინდისიერი ქმედება მისი შავ სიაში ორი წლის ვადით რეგისტრირების საფუძველია.

31 www.procurement.gov.ge

განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს და ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოს კონტროლს.[32]

არაკეთილსინდისიერებისათვის დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შავი სიის ოფიციალურ რეესტრში მოხვედრა იწვევს მძიმე სამართლებრივ შედეგს: გარდა იმისა, რომ შავ სიაში რეგისტრირება უდავოდ ახდენს გავლენას საწარმოს საქმიან რეპუტაციაზე, აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.[33] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 195[1] მუხლის ნოვაცია 2010 წლის 16 ივლისის კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე დაემატა.[34] ცვლილების მიზანია შესყიდვების პროცესში დაიცვას სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი პრეტენდენტის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და მაქსიმალურად გამოირიცხოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონაწილეებს შორის კანონგარეშე, წინასწარი ან ფარული მოლაპარაკების გზით, სახელმწიფო შესყიდვების შედეგებზე გავლენის მოხდენა.[35] ქმედების სუბიექტური შემადგენლობა მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, სავალდებულო ნიშანია – მიზანი, მატერიალური გამორჩენის ან სხვა უპირატესობის მიღება, ხოლო მოტივი შეიძლება იყოს ანგარება.[36]

აღსანიშნავია, რომ შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ უპირატესობისა და მეტი სარგებლის მიღების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის ფაქტი[37] (აფიდავიტის წესის დარღვევა), მხოლოდ ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო[38] და ფარული საგამოძიებო მოქმედებების[39] შედეგად გამოვლინდა[40] და პრეტენდენტებს საქართველოს სისხლის

---

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება. საქმე №ბს-667-642(კ-13).

33 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება. აფიდავიტის ფორმა და პირობები. დანართი №1.

34 2010 წლის 16 ივლისის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების“ შეტანის შესახებ.

35 „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 21.06.2010, №07-3/297/7.

36 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, 2011, გვ. 438.

37 შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წინასწარი შეთანხმებითა და განზრახვით სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტებული სახით წარუდგენლობა.

38 „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი (დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა).

39 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა).

40 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტო №3 ბრძანების მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლით გათვლისწინებულ დანაშაულთა გამოძიება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციაა.

სამართლის კოდექსის 195[1] მუხლით გათვლისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად შეერაცხათ.[41]

აფიდავიტის სატენდერო ნორმათა ლოგიკური განმარტების შედეგად უდავოა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირის არაკეთილსინდისიერი ქმედება მიმართულია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვებისკენ, რადგან სწორედ ამ მიზანს მიიჩნევს კანონმდებელი აფიდავიტის მაკვალიფიცირებელ გარემოებად[42] ე. ი. აფიდავიტის სატენდერო წესების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სატენდერო კომისია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსის მქონე ინსტიტუცია, პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ და თვითნებურ ქცევას[43] სამართლიანად ზღუდავს და იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სამართლიდან გამომდინარე სატენდერო კომისიის მითითებული გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი) წარმოადგენს კონტრაჰენტის სანქცირების სახეს საჯარო (ადმინისტრაციულ) სამართალში.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების სამართალი, ისევე როგორც ასოცირების შეთანხმებასთან მისადაგებული საჯარო შესყიდვების სამართალი, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით პრეტენდენტებს შორის კომუნიკაციას არაკეთილსინდისიერ ქმედებად აკვალიფიცირებს (აფიდავიტის წესის დარღვევა) და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტს დისკვალიფიკაციის სახით ასანქცირებს (კონტრაჰენტის სანქცირების ფორმა ადმინისტრაციულ სამართალში). შესყიდვების პროცედურებში არაკეთილსინდისიერი ქმედება ასევე, შავი სიის ოფიციალურ რეესტრში პრეტენდენტის დარეგისტრირების საფუძველია და იმავდროულად, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნორმით დადგენილი გასაკიცხი და დასჯადი ქმედებაა.[44]

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში მართალია, ტერმინი – „აფიდავიტი“ სახელდებით დეტერმინირებული არ არის თუმცა, კანონის 21-ე[45] და 58-ე[46] მუხლების ნორმათა სიტყვასიტყვითი (გრამატიკული) განმარტების შედეგად[47] დგინდება, რომ ეკონომიკური ოპერატორის (იგივე პრეტენდენტი)[48] მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, პოტენციური კონკურენტისათვის სატენდერო ინფორმაციის გაცხადება

[41] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 აპრილის განაჩენი, საქმე №1/308-18.

[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე № ბს-886(კ-19).

[43] ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედება.

[44] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლი, სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის წესის დარღვევა.

[45] ეკონომიკური ოპერატორის შავი სიის ოფიციალურ რეესტრში რეგისტრირების საფუძველი.

[46] ეკონომიკური ოპერატორის დისკვალიფიკაციის საფუძველი.

[47] მუთჰორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თარგმანი: დ. მაისურაძე, GIZ, თბ.2019, გვ. 122.

[48] „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

არაკეთილსინდისიერი ქმედებაა და აფიდავიტის იდენტური სამართლებრივი შედეგის — უპირობო დისკვალიფიკაციის საფუძველია. არაკეთილსინდისიერება ანალოგიურ თანმდევ სამართლებრივ შედეგს იწვევს საჯარო შესყიდვებშიც, რაც ეკონომიკური ოპერატორის არასაიმედო პირთა რეესტრში (შავი სია) რეგისტრირებასა[49] და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის[50] დაწყებაში დეფინირდება.[51]

ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნა ტენდერის მაგალითზე

ხელშეკრულება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენა და დეკლარაციაა.[52] კანონმდებელი განამტკიცებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და შესაძლებლობას ანიჭებს მხარეებს თავიანთი მიხედულობით განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი და მისი შესრულების მექანიზმი. ხელშეკრულების ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, კონტრაჰენტები ვალდებულნი არიან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები დაიცვან განუხრელად და მათ შორის, დეკლარირებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად იმოქმედონ.[53] განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება, რომელიც სამართლის დუალისტური ბუნებით ხასიათდება: თავდაპირველად (ტენდერის საწყისი ეტაპი), მხარეთა შორის ურთიერთობა არის საჯარო, ემსახურება საჯარო მიზნებისა და ინტერესების განხორციელებას და ამდენად, ექცევა საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ქვეშ,[54] ხოლო შემდეგ სახელმწიფოს საჯარო მმართველობითი ფუნქცია იცვლება კერძოსამართლებრივით და საბოლოოდ, მხარეებს შორის ფორმათავისუფალი, კონსენსუალური სახის ნარდობის სამართალურთიერთობა მყარდება.

ელექტრონული ტენდერისთვის, ტენდერის სტატუსის — „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე, სისტემა ავტომატურად განსაზღვრავს პრეტენდენტთა რიგითობას ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მიხედვით. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შე-

---

49 „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

50 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლი, საჯარო შესყიდვაში მონაწილეობის წესის დარღვევა.

51 „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის თარიღიდან (01.01.2025), ასევე ძალაში შედის ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების მაკვალიფიცირებელი (აფიდავიტი) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის მეოთხე პუნქტი.

52 ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, გვ. 293.

53 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება. საქმე №ას-1016-2021.

54 გიორგაძე ლ., კერძო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გამიჯვნის პრობლემა ტენდერის მაგალითზე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 2013, №1, გვ. 57.

დეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად. სატენდერო კომისია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აქვეყნებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულებასა და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებულ სატენდერო დოკუმენტაციას.

ელექტრონული ტენდერის პროცესი, ტენდერის ინიცირებიდან დასრულებამადე მთლიანად საჯარო პროცესია და ინფორმაცია ტენდერის შესახებ საჯაროა. ტენდერის გამოცხადება არის ხელშეკრულების დადების წინარე სახელშეკრულებო ეტაპი და რეგულირდება საჯარო სამართლით. ტენდერის წინარე ეტაპიდან წარმოშობილი დავა მხარეთა მიერ საჩივრდება ადმინისტრაციულ ორგანოში (სატენდერო კომისია, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო,[55] სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) ან სასამართლოში. ელექტრონული ტენდერი მისი ინიცირების ეტაპიდან[56] ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით,[57] არის საჯარო და გამჭვირვალე. ტენდერი საჯაროსამართლებრივი ინსტიტუტია, რაც აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ მის შედეგად პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებაც ცალსახად, საჯაროსამართლებრივი ანუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება უნდა იყოს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების დადებით უპირობოდ არ დასტურდება, რომ საქმე გვაქვს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65[1] მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მის მიერ კერძოსამართლებრივი გარიგების დადებას.[58] მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო (შემსყიდველი ორგანიზაცია), ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯაროსამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამართალურთიერთობა დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს მიეკუთვნება.[59]

---

55 2025 წლის 1 იანვრიდან საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო. „საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 81-ე მუხლი.

56 ტენდერის სტატუსი – „ტენდერი გამოცხადებულია".

57 ტენდერის სტატუსი – „ხელშეკრულება დადებულია" (ტენდერის საბოლოო სტატუსი).

58 კიკალიშვილი გ., ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), 2016, გვ. 8.

59 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება. საქმე №ბს-1134(გ-19).

ტენდერის ჩატარების თითოეული ეტაპი, სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაძლოა შემდეგნაირად შეფასდეს: ტენდერის ინიცირება არის მოწვევა ოფერტზე, რომლის საშუალებითაც ადმინისტრაციული ორგანო აცხადებს სურვილს, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდეს ნებისმიერ დანტერესებულ პირთან. დაინტერესებული მხარის სურვილი და შესაბამისი განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ ჩაითვლება ოფერტად, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულების გაფორმების შესახებ – აქცეპტია.[60] მხარეთა თანხვედრის ნებისა (კონსესუსი) და ოფერტის აქცეპტირების[61] მიუხედავად, შემსყიდველი ორგანიზაცია (ოფერენტი), როგორც მეტი სახელმწიფო რესურსის მქონე ადმინისტრაციული ორგანო კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მონოპოლიური მხარის სტატუსით მოქმედებს.

შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულების გაფორმებით ნარდობის სამართალურთიერთობა მყარდება. ნარდობის ხელშეკრულებით, მენარდე (მიმწოდებელი) კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი (შემსყიდველი ორგანიზაცია) ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.[62] ნარდობა თავისი ბუნებით, ორმხრივ მავალდებულებელი (სინალაგმატური – sinalagma), სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. იგი აწესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო.[63]

---

60 გიორგაძე ლ., კერძო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გამიჯვნის პრობლემა ტენდერის მაგალითზე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 2013, №1, გვ. 58.

61 სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი III, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2019, გვ. 91.

62 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი.

63 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-740-2021.

ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფო შესყიდვებში

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. პირის სამართალდამღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგ მისი ბრალეულობა ამ ფაქტის დადგომაში, რაც უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებებით. ორგანო (თანამდებობის პირი) ხელმძღვანელობს რა, კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.[64]

მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტთან მიმართებით არაერთი განმარტება იქნა გაკეთებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, რომელიც თავის გადაწყვეტილებებში მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის, რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.[65]

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, გაატაროს ინტერესთა კონფლიქტის ეფექტიანი პრევენციისთვის, იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისთვის აუცილებელი ყველა ღონისძიება და გადაწყვეტილება მიიღოს მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე. სახელმწიფო შესყიდვებში ინტერესთა კონფლიქტია, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის შემადგენლობასა და პრეტენდენტს შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები (ურთიერთდამოკიდებული პირები).[66] ასევე, ინტერესთა კონფლიქტი

---

[64] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლი.

[65] BARBERA, MESSEGUE AND JABARDO v. SPAIN

[66] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

მოიცავს ნებისმიერ შემთხვევას, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციაში ან/და ეკონომიკურ ოპერატორში დასაქმებულ პირს, აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური ან სხვა პერსონალური ინტერესი, რამაც შესყიდვის განხორციელებისას, მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას.[67] სატენდერო კომისიის წევრისათვის ცნობილი გახდება რა, პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა,[68] ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს,[69] ხოლო თუ მისი პრეტენდენტთან ცნობადობა[70] ინტერესთა კონფლიქტის საფუძველია, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აცილების თაობაზე და შეწყვიტოს მონაწილეობა შესყიდვის პროცესში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159^7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების პირობებისა და წესების დაუცველად ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი თანამდებობის პირის 1500 ლარით დაჯარიმებას იწვევს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159^7 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები[71] ან/და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოები, რომელზედაც შემდგომი სასამართლო კონტროლი დაწესებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.[72]

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამკვიდრებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები (159^5–159^9 მუხლები), ევროდირექტივების შესაბამისი რეგულაციების გავლენით, 2025 წლის 1 იანვრიდან ამოღებული იქნება კოდექსიდან[73] და უნიფიცირების მიზნით, გაერთიანდება ამავე კოდექსის ახალ XII^1 თავში (ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საჯარო შესყიდვების სფეროში).[74]

---

67 „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

68 შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, გვ. 19.

69 სატენდერო კომისიის ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ, 17.08.2023, NAT230014111.

70 საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობა.

71 თბილსის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 7 მაისის დადგენილება ასკ-ის 159^7 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში პირის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ.

72 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი პუნქტი.

73 2023 წლის 09 თებერვლის საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.“

74 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 08.06.2022, № 07-2/158/10.

AFFIDAVIT – SANCTIONING OF THE CONTRACTOR IN ADMINISTRATIVE LAW AND MONOPOLY OF THE OFFEROR IN PUBLIC PROCUREMENT

PAATA KUBLASHVILI
Auditor of the State Audit Service

By agreeing to the terms of the affidavit, the bidder participating in the tender is bound by the tender, imperative norms of the affidavit and undertakes not to perform any dishonest action in the process of participating in the tender to obtain the right to enter into a contract. Violation of the tender rules of the affidavit is identified with the disqualification of the bidder from the tender, his registration in the official register of the blacklist, and the criminal act defined by Article 195[1] of the Criminal Code.

As a result of the logical interpretation of the tender norms of the affidavit, it is indisputable that the unscrupulous action of a person participating in state procurement is aimed at obtaining the right to conclude a contract because the legislator considers this very purpose as a qualifying circumstance for the affidavit. If

the affidavit confirms the violation of the tender rules, the tender commission, as an institution with the status of an administrative body, fairly limits the dishonest and arbitrary behavior of the bidder and decides to disqualify the bidder from the tender.

Public procurement law, as well as public procurement law related to the association agreement, qualifies communication between bidders to obtain the right to enter into a contract as an act of dishonesty (violation of the affidavit rule) and sanctions the bidder participating in public procurement as a disqualification (a form of sanctioning the contractor in administrative law). Dishonest action in procurement procedures is also the basis for registering a bidder in the official register of the blacklist, and at the same time, it is a reprehensible and punishable action established by a special norm of criminal law.

Although the term "affidavit" is not defined in the Law of Georgia "On Public Procurement", however, as a result of the literal (grammatical) interpretation of the norms of Articles 21 and 58 of the Law, it is established that to obtain the right to enter into a contract, an economic operator must submit tender information to a potential competitor. The declaration is an act of dishonesty and is the basis for the same legal effect as an affidavit – unconditional disqualification. Dishonesty leads to a similar legal consequence in public procurement, which is defined in the registration of the economic operator in the register of unreliable persons and the initiation of criminal prosecution against him.

ბავშვთა ქორწინების პრობლემები საქართველოში

ქეთევან ზუკაკიშვილი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი

შესავალი

ბავშვთა (ადრეული) ქორწინების პრობლემა დღემდე, გამოწვევად რჩება საქართველოსთვის. თანამედროვე სამყაროში ბავშვების დაქორწინება მიუღებლად ითვლება, რაც მათი ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დაცვიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა, ბავშვები ძირითადად, გოგონები იძულებულები არიან შექმნან ოჯახი ეკონომიკური ინტერესების გამო. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი „საზიანო" პრაქტიკად (Harmful practice) მოიაზრებს სოციალური ნორმებით გამყარებულ ისეთ ქმედებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაცია: სქესის, გენდერის, ასაკის ან სხვა ნიშნით და ძალადობის ფორმას წარმოადგენს. „საზიანო" პრაქტიკას ასევე, განაპირობებს დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი, ჯვარედინი ფორმები, რომელშიც იგულისხმება დისკრიმინაცია არა მხოლოდ სქესის/გენდერის ნიშნით, არამედ მასთან დაკავშირებული სხვა მახასიათებლებიც.[1] ამგვარ პრაქტიკას მიეკუთვნება ბავშვთა ქორწინება.

[1] მახასიათებლებში მოიაზრება: განათლება, ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.

ადრეული ქორწინება მიჩნეულია ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ითვლება, რომ ბავშვს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა.[2] ადრეულ ასაკში ქორწინება საფრთხეს უქმნის ბავშვების სიცოცხლეს, კეთილდღეობასა და მომავალს,[3] არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ბავშვის ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით.[4]

ადრეული ქორწინება ასევე, ხშირია განვითარებად ქვეყნებში, სადაც ურბანიზაციის დონე შედარებით დაბალია. ქორწინების დასაშვები ასაკი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება და ეს პერიოდი 16-დან 30 წლამდე მერყეობს. რაც შეეხება საქართველოს, ადრეული ქორწინება არის ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია, ანუ ბავშვია.[5]

ბავშვობის ასაკში ქორწინება გენდერულად განპირობებული ფენომენია, რომელიც გოგონებსა და ბიჭებზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. საბოლოოდ, დაქორწინებული ბიჭების რაოდენობა მთელ მსოფლიოში გაცილებით დაბალია, ვიდრე გოგონებისა.[6] საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს, რომ ადრეულ ქორწინებას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა აქვს გოგონებზე, ზრდის ოჯახში მათ პასუხისმგებლობას და ამცირებს თანასწორობას.[7]

არაერთი კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ ბავშვობის ასაკში ქორწინების განმაპირობებელი მიზეზებია: სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე, აღზრდის მკაცრი სტილი, იძულებით/გარიგებით ქორწინება, სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის ნაკლებობა, ტრადიციები, მომავლის არასწორი შეფასება და პერსპექტივების ნაკლებობა.[8]

წინამდებარე სტატიაში ადრეული ქორწინება, განხილულია როგორც გოგონათა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი სახე, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, სიცოცხლესა და განვითარებაზე.

თავი 1. ადრეული ქორწინების გამომწვევი ფაქტორები

ადრეული ქორწინების პრაქტიკა და გარემოებები საკმაოდ განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა თუ რეგიონების მიხედვით. დღეს ნათლად ჩანს, რომ არა-

---

2 გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიში (UNFPA), 2013, გვ. 1.

3 Child marriage, UNICEF.

4 საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 2.

5 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989.

6 ჯოანა პარეს ჰოარე, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში, გვ. 4.

7 Hervish & Feldman-Jacobs, 2011.

8 საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 2.

მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში სიღარიბე და დაბალი სოციალური სტატუსი ადრეული ქორწინების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. გოგონებისთვის, ისევე როგორც ბიჭებისთვის, ადრეულ ასაკში ქორწინება სასურველი გამოსავალია ეკონომიკურ სიდუხჭირეში მცხოვრები ოჯახებისთვის. ამასთან, ერთ-ერთ გამოწვევ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ოჯახში არსებული დაძაბულობა და სირთულეები. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება შეიძლება არასაიმედო სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალებას წარმოადგენდეს. კვლევების თანახმად, ოჯახებმა გოგონები ადრეულ ასაკში დააქორწინეს, რათა „ერთით ნაკლები სარჩენი ჰყოლოდათ."[9] თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადრეულ ასაკში დაქორწინება ასევე, შეიძლება ერთგვარი საშუალება იყოს არაუზრუნველყოფილი ოჯახებისთვის, რომ ორ ოჯახს შორის კავშირი გამყარდეს და მათი ეკონომიკური სტაბილურობა გარანტირებული იქნას.

ბავშვთა ქორწინება დიდწილად, განპირობებულია იმ სოციალური ნორმებით, რომელიც ქორწინებამდე ურთიერთობას გმობს. ამასთან არსებობს ტაბუ, რომელიც მოზარდებს შორის ურთიერთობებს, ქორწინებამდე სექსუალურ კავშირს და ქორწინების გარეშე ორსულობას გმობს. სწორედ, ზემოთ აღნიშნული სტიგმა არის იმის მიზეზი, რომ მოზარდები ამჯობინებენ დაქორწინებას, ერთად ყოფნისა და სქესობრივი ურთიერთობებისათვის. ეს არის მათი მხრიდან კონფორმიზმისა ან/და სოციალური სტიგმის შიშის შედეგი. ამასთან, ზოგ მოზარდს სქესობრივი კავშირი ქორწინებამდე აქვს და სექსუალობის, რეპროდუქციის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სქესობრივად აქტიურ გოგონებს შორის, დაორსულების მაღალ ალბათობას ქმნის. ორსულობა ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ფაქტორია, რადგან ორსული მოზარდი ქორწინდება იმისათვის, რომ ორსულობის „ლეგიტიმაცია" მოახდინოს და სოციალურ გაკიცხვას თავი აარიდოს.

ამასთანავე, მრავალი კვლევის საფუძველზე დადასტურებულია, რომ ბევრ ქვეყანაში, ქორწინების ასაკს დიდი ყურადღება ექცევა ქალებთან მიმართებაში, კერძოდ, „დაგვიანებული" ასაკს. ამგვარ შეხედულებებს ასევე, ქალების შვილოსნობასთან დაკავშირებული პრობლემები ამტკიცებს. ასევე ისიც, რომ მამაკაცები უფრო ახალგაზრდა ცოლებს ამჯობინებენ, ხოლო სადედამთილოებს 18-წლამდე ასაკის რძლები სურთ იმის გამო, რომ მათ მარტივად „გამოზრდიან." გარდა ამისა, აღნიშნული ნორმები მჭიდრო კავშირშია გენდერულ უთანასწორობასა და დამკვიდრებულ შეხედულებასთან, რომ ქორწინება და შვილები ქალის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს.

ბავშვობის ასაკში ქორწინება ასევე, შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოებაში ზოგიერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ნაკლებად ინტეგრირების გამო. აღნიშნულ

[9] ჯოანა პარეს ჰოარე, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში, გვ. 22.

თემებში მცხოვრები ბევრი გოგონა და ქალი ადგილობრივ ენაზე ვერ საუბრობს, რაც მათ გარიყულობას კიდევ უფრო აღრმავებს და კარიერის თვალსაზრისით, შესაძლებლობებსა და არჩევანს ართმევს. საცხოვრებელ ადგილზე არსებული ენობრივი ბარიერი და არასათანადო ინფრასტრუქტურა ასევე ნიშნავს იმას, რომ გოგონები, რომლებსაც დაქორწინება არ უნდათ, სირთულეებს აწყდებიან: ჯანდაცვის, განათლების, სამართალდამცავ და სხვა მხარდამჭერ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. ისინი შეიძლება, არც კი იცნობენ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც მათ დაიცავდა. ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე დაქორწინებული გოგონებისთვის რთულია მხარდამჭერ სერვისებზე წვდომა იმავე მიზეზების გამო. აღნიშნული სოციალური მარგინალიზაცია გენდერულ უთანასწორობას აძლიერებს და ადრეულ ასაკში ქორწინებას იწვევს, რამდენადაც ეს ერთადერთი ალტერნატივაა გოგონებისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, შესაძლებელია იყოს ადრეული ქორწინების სხვა გამომწვევი მიზეზებიც, როგორიცაა: შესაბამისი კანონმდებლობისა და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მავნე გავლენის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე; სკოლის დამთავრების შემდეგ, დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები; ქორწინება, როგორც ოჯახში გამეფებული სიმკაცრისა და ძალადობისგან თავის დაღწევის საშუალება; სიყვარული და ვნება; ფიზიკური მიზიდულობა და სხვ.

თავი 2. ბავშვთა ქორწინება და საქართველო

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების გაზიარების საფუძველზე, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში აიკრძალა 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაცია. ამ ეტაპამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დაშვებული იყო 16 ან 17 წლის მოზარდების კანონიერად დაქორწინება მშობლების (2015 წლამდე) ან სასამართლოს ნებართვით. ამასთან, ამ საკანონმდებლო ცვლილებით კონკრეტდება არასრულწლოვან პირთა ქორწინების საფუძველი და ერთადერთ პატივსადებ საფუძვლად განისაზღვრება ბავშვის დაბადება. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ დადებითი გავლენა იქონია ადრეულ ასაკში ქროწინების შემთხვევათა შემცირებაზე. ამასთან, კვლავ მაღალია არასრულწლოვან მშობელთა მზარდი რაოდენობა და პრობლემად რჩება ადრეულ ასაკში ფაქტობრივი თანაცხოვრების, ქორწინების იძულების, ნიშნობისა და მოტაცების ფაქტები.[10]

[10] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2017, გვ. 146

ქვეყანაში დღემდე ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როგორიცაა მშობლის მიერ ბავშვის იძულებითი ქორწინება. მშობელი, ბავშვის აღზრდისათვის პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია აღზარდოს ბავშვი, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. შესაბამისად, როდესაც მშობელი თავად უბიძგებს ან/და აიძულებს ბავშვს ოჯახის შექმნას, არღვევს ბავშვის უფლებებს და არ ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს.[11]

ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, ჩაგვრისგან, დაზიანებისგან, უგულებელყოფისაგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან და ძალადობის სხვა ფორმისგან: ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე. დაუშვებელია ფულადი ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით, ბავშვის იძულება რაიმე ქმედების შესასრულებლად ან მომსახურების გასაწევად. ბავშვის მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება ან მისი სხვაგვარი გამოყენება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, წაქეზებით, მასზე გავლენის სხვადასხვაგვარად მოხდენით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით. ბავშვთა ქორწინება, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის კერას წარმოადგენს ასევე, ვხვდებით ისეთ მდგომარეობას, როგორიცაა: სახლიდან გაუსვლელობა; განათლების მიღების აკრძალვა, რაც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური თუ სოციალური განვითარებისათვის.

გოგონას მოტაცება, ცოლად მოყვანის მიზნით, ითვლება მისი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით დასჯადია. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქორწინება თანასწორუფლებიანობასა და ნებაყოფლობითობაზეა დაფუძნებული. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი კრძალავს წინასწარი შეცნობით, 16 წლის ასაკს მიუღწეველის სხეულში შეღწევას. ამასთან, ამავე კოდექსის 150[1] მუხლის რედაქციით, დასჯადია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის იძლებითი ქორწინება. ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა არასრულწლოვნის მოტაცება მასზე დაქორწინების მიზნით; ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ – სისხლისსამართლებრივად დასჯადია.

ამასთან პრობლემურია, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგოების თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და იძულებითი ქორწინების დანაშაულებებზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება. სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა ადასტურებს, რომ თუ საქმე ეთნიკურ უმცირესობებს ეხება, კონკრეტული სექსუალური/ძალადობრივი დანაშაულებების შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ ატარებს მკაცრ პოლიტიკას. ხშირია უკმაყოფილება პოლი-

[11] საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი.

ციის მიმართ გაჭიანურებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, ვინაიდან ჩნდება ვარაუდი, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს აქვთ ოჯახებს შორის დავის მორიგებით დასრულების ცრუ მოლოდინი.

2019 წლის ბავშვის უფლებათა კოდექსის მიზნების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა ქორწინება ხელს უშლის ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა: ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება; ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; მისი ღირსების დაცვა; კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა; განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზება/დაცვა, ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე; ბავშვის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის მომზადება; მისი მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით – მშვიდობის, ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდა; ბავშვის შრომასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელ წინაპირობაზე ორიენტირება.

ამასთან, ბავშვთა ქორწინების პრევენცია პირდაპირ კავშირშია განათლების ინკლუზიური სისტემის გამართულ მუშაობასთან. განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ადრეული, სკოლამდელი, პროფესიული და ზოგადი განათლების ყველა ბავშვისთვის მიწოდებას, აუცილებელია ბავშვთა ქორწინების შესახებ ინფორმაციას აწვდიდეს მათ; ასევე, ვრცლად და მათთვის გასაგებ ენაზე უხსნიდეს ბავშვთა ასაკში ქორწინების უარყოფით მხარეებს, მისგან გამოწვეულ შესაძლო ზიანსა და შედეგებს. ამასთან აუცილებელია, განათლების სისტემასა, ბავშვის წარმომადგენლებსა და საჭიროებისამებრ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან სწორი ურთიერთობა და პრობლემის გამოვლენისას, ურთიერთთანამშრომლობით მისი აღმოფხვრა.

თავი 3. საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები

ქორწინების უფლება, პირის გაცნობიერებული და თავისუფალი ნების საფუძველზე, დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით, მათ შორის: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლით,[12] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 მუხლით;[13] ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10[14] და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 23-ე მუხლით.[15]

[12] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი.

[13] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1994 წლის 11 მაისი.

[14] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი.

[15] საერთაშორისო პაქტი – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წლის 16 დეკემბერი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მოახდინონ 18-წლამდე ქორწინების პრევენციის უზრუნველყოფა. კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, განახორციელონ კანონმდებლობაში ცვლილებები, რითაც ხელს შეუწყობენ ადრეულ ქორწინების პრევენციას. ადრეულ ქორწინებაზე ასევე, ყურადღებას ამახვილებს არაერთი საერთაშორისო კონვენცია და ხელშეკრულება: კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ (1962), კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979), ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989), პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთვის გაეროს ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონვენციას. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ძალადობის წინააღმდეგ (CAT) პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოებს, რომ უნდა გაატარონ ეფექტიანი რეფორმები, ადამიანთა უფლებების რეალიზებისა და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრის კუთხით, რადგან ქორწინება, სადაც თანხმობა მიცემულია მეურვის მიერ და არა პირადი სურვილით, შეიძლება ჩაითვალოს ისეთივე ძალადობად, როგორიცაა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.[16] ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მე-19 ზოგად რეკომენდაციაში, ხაზს უსვამს იძულებით ქორწინების საკითხს, რომლითაც კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2, მე-5 და მე-10 მუხლების ერთიანობაში განხილვით აღიარონ, რომ ტრადიციული შეხედულებები, სტერეოტიპული როლები და მასზე დაფუძნებული იძულებითი ქორწინება არის ძალადობა ქალთა მიმართ და მიიღონ ყველა შესაფერისი ზომა, რათა შეიცვალოს აღნიშნული ტრადიციები და სტერეოტიპები. კომიტეტი ასევე, მოუწოდებს სახელმწიფოებს, ოჯახში ძალადობის დეფინიცია განმარტონ იმდაგვარად, რომ დამაზიანებელი ტრადიციები და იძულებითი ქორწინება განიხილებოდეს როგორც ქალთა მიმართ ძალადობა.[17]

ბავშვთა უფლებების კომიტეტი, 2003 წლის მე-4 ზოგად კომენტარში, ყურადღებას ასევე, ამახვილებს ბავშვთა ადრეული ქორწინების ისეთ შედეგებზე, როგორიცაა ბავშვის განვითარებისა და განათლების უფლების შეზღუდვა. ბავშვები, რომლებიც ქორწინდებიან, განსაკუთრებით გოგონები, ხშირად იძულებულნი არიან მიატოვონ სკოლა და გაირიყებიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად,[18] საშუალო განათლება ბავშვებისთვის სავალდებულოა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ოქტომბერში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო მე-5 რეზოლუცია ბავშვთა ადრეული და იძულებითი ქორწინების შესახებ. რეზოლუცია მი-

---

16 წულეისკირი & ჯობავა, 2014, გვ. 13

17 საქართველოს სახალხო დამცველი, 2012, გვ. 707.

18 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989, მუხლი 28.

უთითებს, თუ როგორ გააძლიერა ეპიდემია COVID-19-მა უთანასწორობისა და სისტემური გენდერული დისკრიმინაციის მანამდე არსებული ფორმები, რომელსაც აწყდებიან ქალები და გოგონები და გამოიხატება ბავშვთა, ადრეულ და იძულებით ქორწინებაში. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაცია არ არის საკმარისი, და საჭიროა დამატებითი, ყოვლისმომცველი, მრავალსექტორული ღონისძიებები და მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის, ჯანდაცვის, გენდერული თანასწორობისა და განათლების სფეროში საზოგადოების ჩართულობით.

თავი 4. ინსტიტუციური რეაგირება ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე

მოზარდთა უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება ინსტიტუციურ ან პროგრამულ რესურსებზე, რომლებიც სისტემატურად მიაწვდიან ინფორმაციას ქორწინების შესახებ. აღნიშნული თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს თანატოლები, მშობლები და ინტერნეტ წყაროები წარმოადგენს. კანონის ფარგლებში რეაგირებაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში ცნობილია ქორწინებისთვის დასაშვები ქვედა მინიმალური ზღვრის არსებობა თუმცა, ეს არ ამცირებს ქვეყანაში ადრეული ქორწინების ტენდენციას. არსებული საკანონმდებლო ბაზის კიდევ ერთი გამოწვევაა ის, რომ ადამიანებს კანონი „თავისებურად ესმით." სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავებული წყაროები (მაგალითად, რელიგიური, კულტურული და სახელმწიფო ინსტიტუტები) ქორწინების განსხვავებულ ასაკს აღიარებენ, რაც იწვევს გაურკვევლობას ქორწინების დაშვებულ ასაკთან დაკავშირებით.

საყურადღებოა ჯანდაცვის სფერო, რამდენადაც გოგონები და მოზარდები განიცდიან უხერხულობას სერვისებზე წვდომის თვალსაზრისით, როცა ღიად უხდებათ ამის გაკეთება და არა კონფიდენციალურად, რის გამოც ისინი უმეტესად თავს იკავებენ მსგავსი სერვისების მიღებისგან. გოგონების წინაშე სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები უმეტესად, უკავშირდება სოციალურ ნორმებს და არა ამგვარი სერვისების არარსებობას. საჭიროა აღმოიფხვრას ორი ძირითადი ბარიერი, რომლებიც ხელს უშლის გოგონებს ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობაში. პირველი – ეს არის საზოგადოებრივი ნორმების დაძლევა, რაც დაეხმარება დაუქორწინებელ გოგონებს, მიმართონ სამედიცინო სერვისებს, მათ შორის, თანმხლების გარეშეც – თუ ეს მათი არჩევანია. მეორე არის იმ დამოკიდებულების დაძლევა, რომელსაც თავად ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ამჟღავნებენ და ასევე, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა. მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სისტემამ დანერგოს WHO-ს[19]

[19] World Health Organization.

სტანდარტები ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, რათა მათ შეეძლოთ მომსახურების მიღება კონფიდენციალურად, გაკიცხვის გარეშე და მაღალი ხარისხით. ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა რაოდენობის შემცირება, არის ამგვარი შემთხვევების გადამისამართება სკოლის დირექციის მიერ, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და შემდგომ ფსიქოლოგის ჩართვა. ამ მხრივ, განსაკუთრებით სუსტია განათლების სექტორი, რომელიც მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

ხშირია სამართლებრივ და რელიგიურ რეაგირებას შორის დაპირისპირება, რადგან სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფომ უნდა აღიაროს ეკლესიის მიერ გაცემული ჯვრისწერის მოწმობა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად. თუმცა, რეალურად, სამოქალაქო და არა რელიგიური ქორწინება რეგისტრირდება საჯარო რეესტრში და იურიდიულად აღიარებული მხოლოდ ის არის. ეკლესია და მეჩეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიღებული კანონის აღსრულებისთვის.

ასევე, დიდ პრობლემას წარმოადგენს განსხვავებები ქალაქებსა და სოფლებს შორის. არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ენა არის ბარიერი სერვისების ხელმისაწვდომობისას. ამასთან, მიუხედავად უმნიშვნელო განსხვავებისა ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ ტენდენციებში ქალაქად და სოფლად გამოიკვეთა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უფრო მისდევს ტრადიციებსა და ჩვეულებებს, ვიდრე ქალაქად მცხოვრებნი. არსებობს განსხვავებები ურბანულ და სასოფლო ადგილებს შორის და ეს განსხვავებები ძირითადად, გავლენას ახდენს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებზე. გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული სირთულეები და განათლებაზე წვდომის პრობლემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქელებთან შედარებით უფრო რთულია სოფლად მცხოვრებთათვის. განათლებაზე ხელმისაწვდომობა შედარებით შეზღუდულია სოფლად მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით კი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას საშუალო და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებითაც.

დასკვნა

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად აუცილებელია ბავშვთა დაცვის ეროვნული სისტემის სრულფასოვნად ფუნქციონირება. სოციალური კეთილდღეობის; განათლების; ჯანმრთელობის დაცვის; უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სისტემებში შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობა; სხვა მარეგულირებელი ნორმები; პოლიტიკა და მომსახუ-

რებები, რომლებიც ემსახურება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენციასა და აღმოფხვრას; ყოველივე უნდა ხორციელდებოდეს დროულად და ზედმიწევნით.

საყურადღებოა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდამჭერის პროგრამების არსებობა ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემისა და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რაც გაითვალისწინებს ბავშვის იმ საუკეთესო ინტერესებს როგორიცაა კეთილდღეობა, უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, განვითარება და სხვ.

ბავშვს აქვს უფლება მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული. სახელმწიფო ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებას ახორციელებს ბავშვისთვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და დაწესებულებების ხელმისაწვდომობითა და უვნებელი გარემოს უზრუნველყოფით. ამასთან, როდესაც ბავშვთა ქორწინება დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება უნდა ახორციელებდეს მათი ჯანმრთელობის უზრუნველყოფას.

ბავშვს, რომლის უფლებებიც დაირღვა ან არსებობს ვარაუდი მისი შესაძლო დარღვევის შესახებ, ბავშვს უფლება აქვს საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანმიმდევრული, მისი უფლებების და საჭიროებებისთვის მორგებული.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ადრეულ ასაკში ქორწინებასთან ბრძოლისას. ამასთან, აუცილებელია კანონით განსაზღვრული ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ჩართულობა და გაწერილი ინსტრუქციების შესრულება. ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია არასრულწლოვან პირთათვის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა თუ კონტრაცეფციის საშუალებებზე ინფორმაციის მიწოდება, რათა მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდეთ სწორად გააანალიზონ მოსალოდნელი შედეგები და შეაფასონ მათ წინაშე მდგარი რისკები.

სოციალური და კულტურული სტერეოტიპების შეცვლით, უნდა წახალისდნენ გოგონები, რათა შეძლონ პროფესიული კარიერის შექმნა; ასევე, უნდა მოხდეს მათი ხელშეწყობა, რომ თავიანთი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში თავადვე მიიღონ მონაწილეობა.[20]

მნიშვნელოვანია სკოლებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება და მეგობრული სერვისების ჩამოყალიბების ხელშეწყობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აუცილებელია სახელმწიფო უწყებებმა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ

[20] აბაშიძე & არგანაშვილი, 2015, გვ. 6.

ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე არასამთავრებო ორგანიზაციებისა და რელიგიურ პირებს შორის თანამშრომლობითი კომუნიკაცია ხელს შეუწყობს ადრეული ქორწინების შემთხვევების საგრძნობლად შემცირებას. მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ქორწინების თანმდევ რისკებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, განათლების სისტემაში გენდერული საკითხებისა და სასიცოცხლო უნარების/კომპლექსური სექსუალური განათლების ინტეგრირების მეშვეობით. ასევე, მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის (განსაკუთრებით, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის) სერვისების შეთავაზება. ამასთან, გასათვალისწინებელია ჯანდაცვის პერსონალის დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე მუშაობა და ინოვაციური გზების შესამუშავებლად ენობრივი ბარიერების დაძლევისა და ქვეყნის ყველაზე მარგინალიზებული (გეოგრაფიულად, ენობრივად და კულტურულად) მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989;
2. ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019;
3. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2012;
4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2015;
5. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2017;
6. აბაშიძე & არგანაშვილი, 2015;
7. წულეისკირი & ჯობავა, 2014;
8. ჯოანა პარეს ჰოარე, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში;
9. გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიში (UNFPA), 2013;
10. Child marriage, UNICEF;
11. Hervish & Feldman-Jacobs, 2011

PROBLEMS OF CHILD MARRIAGE IN GEORGIA

KETEVAN ZUKAKISHVILI
Georgian American University (GAU)
PhD student of Law at the School of Law, Social Sciences, and Diplomacy

After Georgia acceded to the UN Convention on the Rights of the Child, the country gradually started to implement legislative changes in the current normative acts. In addition, on June 12, 2015, the Georgian Parliament adopted the Juvenile Justice Code, and on September 27, 2019, the Child Rights Code. The aforementioned legislative changes ensured the realization and protection of the convention rights of minors/children within the country.

Despite the mentioned legal regulations, the issue of legal regulation of early/child marriage is still problematic. Improving legal policies to prevent and effectively respond to cases of early/child marriage is a constant concern in our society.

While working on the mentioned problem, we studied the problems of early marriage in Georgia and reviewed both international legislation and regional documents. Factors causing early marriage are analyzed and general recommendations are developed. In addition, the paper briefly discusses the relevant studies and offers recommendations.

ზოგადი შეხედულებანი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი სტრუქტურის, საფუძვლებისა და დოკუმენტირების მიზნობრიობის შესახებ

კობა ბუაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე პირობებში, ჩვენს სახელმწიფოში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების პროცესი სტრუქტურულად რეგულირებულია როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით, ასევე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით. ყოველივე საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა რეალიზაციისა და დაცვის მყარ გარანტიას ქმნის. დანაშაულის ყოველმხრივი, ობიექტური, სრული და დროული გახსნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ნორმატიულ სისტემას, რომელთა ერთობლიობას ერთმნიშვნელოვნად, ერთსულოვნება შეაქვს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა თეორიასა და პრაქტიკაში და ამით უზრუნველყოფილი ხდება კანონიერებისა და სამართლიანობის პრინცი-

პებისა და იდეების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. ამასთან ნიშანდობლივია, რომ დანაშაულის გახსნას ხელს უწყობს ოპერატიული სამსახურების მდიდარი გამოცდილება, რაც გამოიხატება ოპერატიული მუშაობის ახალი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებაში, დანაშაულის თავიდან აცილების ზოგად და კერძო პრევენციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში. საქართველოს კონსტიტუცია და ზემოხსენებული ნორმატიული და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები არის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი ოპერატიული სამძებრო საქმიანობისა, რომელსაც აქვს პირდაპირი ვალდებულება დაიცვას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და საზოგადოების ინტერესები, ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ასევე საფუძველი – განახორციელოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებების აღიარება, თავისუფლების პატივისცემა და დაცვა, რაც საფუძვლად უდევს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის ყველა ნორმას და მის მთელ ნორმატიულ შინაარსს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ქვეშ საგულისხმოა, განვიხილოთ ყველა ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომელიც საფუძვლად უდევს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

მიგვაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძველია ის სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც ძირითადად, ოთხი საფეხურისაგან შედგება:

1. კონსტიტუციური საფეხური, რომელიც შედგება ნორმატიული აქტებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისაგან, რომლებმაც ხშირად შეიძლება გავლენა იქონიონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კონსტიტუციურობაზე.
2. საკანონმდებლო საფეხური, რომელიც მოიცავს თვით კანონს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" და შედგება სისხლის სამართლის საპროცესო და სისხლის მატერიალური სამართლის იმ მუხლებისაგან, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ნორმირებას.
3. კანონქვემდებარე აქტების დონე ის სფეროა, სადაც იგულისხმება პრეზიდენტის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, რომელიც უშუალოდ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას არეგულირებენ. ასევე, ნიშანდობლივია ამ საქმიანობის მარეგულირებელი ის აქტებიც, (მაგ: საქართველოს გენერალური პროკურორის აქტები), რომელიც უშუალოდ ამ სამსახურს ეხება (ინსტრუქცია, მითითება). ასევე, საერთაშორისოსამართლებრივი და სხვადასხვა საუწყებო აქტები, რომელიც არეგულირებს ამ სამსახურის კონკრეტულ სფეროებს. ნათელია, რომ კონსტიტუციური სამართლებრივი ნორმები მოიცავენ გარკვეულ მიდგომებს, რომლებიც აშუქებენ სახელმწიფოს ნების ყველა გამოვლინებას და ლოგიკურად, მიმართულია საზოგადოების სოციალური მართვისაკენ.

4. საქართველოს კონსტიტუცია არის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა, რომელსაც აქვს პირდაპირი ვალდებულება, დაიცვას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და საზოგადოების ინტერესები, ყოველგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ასევე, განახორციელოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და დაცვა, რაც საფუძვლად უდევს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის ყველა ნორმას და მთელ შინაარსს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დასტურდება საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით.

საერთაშორისოსამართლებრივი დონე

ოპერატიული საქმიანობის რეგულირების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულია, რომ საქართველო იცავს რა, სახელშეკრულებო და სხვა ჩვეულებრივ ნორმებს, ამტკიცებს თავის ერთგულებას საერთაშორისო პრინციპების მიმართ და კეთილსინდისიერად ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს.

ამასთან, საქართველო არის აქტიური მონაწილე მთელი რიგი სახელმწიფოთაშორისო და საუწყებათაშორისო შეთანხმებების, ხელშეკრულებების და კონვენციებისა, რომლებიც პირდაპირ არეგულირებენ ოპერატიულ-სამძებრო სამართალურთიერთობას.

ეს ხელშეკრულებები ცალსახად არეგულირებენ ერთობლივ და შეთანხმებულ ბრძოლას ორგანიზებული დანაშაულის, უკანონო ნარკომიმოქცევის, კორუფციისა და სხვა დანაშაულთა წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმართვაში.

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა და მოქმედებს ნაციონალური ბიურო, ასევე, ანტიტერორისტული და ანტიკორუფციული ბიურო, რომლებიც მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს ყველა ქვეყნისათვის, სამძებრო ოპერატიულ ღონისძიებათა გატარების დროს.

საერთაშორისოსამართლებრივ ბაზას აგრეთვე, ეყრდნობა საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ურთიერთობანი ოპერატიულ-სამძებრო საქმის წარმოებაში, რომლის საფუძველზედაც მიღწეულია შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.[1]

საკანონმდებლო დონე

საკანონმდებლო დონე აერთიანებს ყველა ინსტიტუტებსა და ნორმებს, განსაზღვრავს ძირითად ამოცანებს, მიმართულებებს, ფორმებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

---

[1] Scheibenreif M., Europol and European security of how the agency is trying to serve its purpose (University of Vienna, Vienna 2012).

საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ," საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან დარგს ქართულ იურისპრუდენციაში. ეს არის სწორედ ოპერატიულ-სამძებრო სამართალი.[2]

კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საფუძველს მოკლებული იქნებოდა სისხლის სამართლის პროცესის გარეშე, რადგან ოპერატიულ-სამძებრო, ფარული საგამოძიებო მოქმედებები უმნიშვნელო და გამოუყენებელი იქნებოდა თუ ისინი არ რეგულირდება სისხლის სამართლის პროცესის მოთხოვნათა შესაბამისად და არ მიიღებდნენ მტკიცებულებათა სახეს. ამიტომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების პროცესში, ორიენტირი აღებული უნდა იქნას სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით და მათივე ხელმძღვანელობით.

კანონქვემდებარე აქტების დონე

აღნიშნული სამართლებრივი რეგულირების ის დონეა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისათვის, რომელსაც ადგენს სახელმწიფო და მისი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები.

ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის რეგულირების კანონქვემდებარე დონეს განეკუთვნება ის ნორმატიულსამართლებრივი აქტები, რომელსაც შსს უწყებები და გენერალური პროკურატურა ბრძანებისა და მითითებების სახით გამოსცემს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დროს.[3]

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონქვემდებარე აქტებით რეგულირებისას, მნიშვნელოვანია საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, რომელსაც გამოსცემს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.

ნათელია ისიც, რომ საკანონმდებლო დონე არის ის კანონქვემდებარე აქტები, რომელსაც გამოსცემს თვით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სხვადასხვა დანაყოფები (განყოფილების უფროსის, სამმართველოების უფროსის მითითებები, განკარგულებები და სხვა).

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა დოკუმენტირება, მისი მიზნობრიობა

ოპერატიული საქმის დოკუმენტებით შევსება (ოპერატიული ცნობები) წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას ამა თუ იმ მომენტისათვის დავინახოთ რაიმე ნომინალური და კონკრეტული ჭეშმარიტება. იგი წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის საინფორმაციო საფუძველს, უზრუნველყოფს ძირითადი ამოცანების მიღწევას.[4]

---

[2] საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" (ცვლილებებითა და დამატებებით 1999, 30 აპრილი).

[3] საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ," მუხლი 5[1], 1999, 30 აპრილი)

[4] Базагаев А.С., 2012 Криминалистические основы оперативно-розыскной деятельности, стр. 211-212.

დოკუმენტირება როგორც ოპერატიულ-სამძებრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, მოწოდებულია შეიმეცნოს ის კანონზომიერება, რომელიც ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მსვლელობაში. დოკუმენტირება ზოგიერთი სხვა შემეცნებითი მოღვაწეობისაგან განსხვავებით, ატარებს სამართლებრივ ხასიათს და რეგულირდება სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებით და ნორმატიული აქტებით.

დოკუმენტირების არსი ჩვენი აზრით, მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

დოკუმენტირება უნდა წარმოვიდგინო როგორც ობიექტური სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი სახეობა.

დოკუმენტირების მიზანია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და ასახვა; მას აქვს თავისი კონკრეტული მოღვაწეობის შინაარსი, მეთოდები და ხერხები ასევე, სამართლებრივი საფუძვლები და ფორმები.

დოკუმენტირების ქვეშ ძირითადად, იგულისხმება ოპერატიული აღრიცხვის საქმე და ის საფუძველი, რითაც იგი შეიქმნა. მაშასადამე, მთელი პროცესი, რომელიც დოკუმენტით აგვირგვინებს ყველა მოქმედებას, ცნობას, ინფორმაციას და მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ამასთან, დოკუმენტირება, როგორც შემეცნებითი პროცესი ახდენს ცნობათა შეკრებას, შემოწმებას, შეფასებასა და გამოყენებას.

დოკუმენტირებაში იგულისხმება:

ა) შემეცნების პროცესი ე. ი. მასალის შეკრება, მათი შესწავლა, შეფასება და მათზე სათანადო დოკუმენტის შექმნა, რომელიც მეტყველებს არსებული დანაშაულის ან გარკვეული ფაქტის ირგვლივ, როგორც მტკიცებულება.

ბ) მოპოვებული მასალა მიაწოდოს საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოებს. ეს მოღვაწეობა წარმოებს არა მარტო დანაშაულებრივ სქემათა გახსნისათვის, არამედ ზოგადი პრევენციული მიდგომითაც (დანაშაულთა აღკვეთა-აცილების მიზნითაც).

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, არამარტო დანაშაულის დროს წარმოებს საქმის დოკუმენტირება, არამედ პროფილაქტიკური მუშაობის დროსაც, რითაც უნდა ავიცილოთ სახელმწიფო, სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის დანაშაულებები.[5]

კანონის შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი ობიექტებისა, რომლის ღრმად შემეცნება-დამუშავებას სჭირდება დოკუმენტირება:

1) როდესაც გარკვეული დანაშაულის ირგვლივ დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა და შექმნილია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გატარებისათვის სპეციალური საქმე;

[5] Toktorov E.S., Theoretical problems of understanding the essence of operational investigative activities, theoretical Science 22(101), 175-178(2020).

2) როდესაც გარკვეული ინფორმაციების მიღების საფუძველზე ვასკვნით, ხდება თუ არა რაიმე სახის დანაშაული.

დოკუმენტირების დროს შემეცნებულად ჩაითვლება ის ობიექტი, პირი ან გარემოება, რომელიც დადგენილია სისხლის სამართლის პროცესის ნორმების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების სახელმძღვანელო საკანონმდებლო ნორმები სრულიად ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს.

ჭეშმარიტების შემეცნება ყოველთვის მოითხოვს ფაქტობრივ, ობიექტურ მონაცემებს, რომელიც მიღებულია ნებისმიერი წყაროდან, მაგრამ შემეცნება აუცილებლად უნდა დაეყრდნოს კანონიერი გზით მოპოვებულ მონაცემებს. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, ნებისმიერი ობიექტურ-ფაქტობრივი მონაცემი ასახულია სხვადასხვა დოკუმენტებში და ნივთიერ მტკიცებულებებში.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგი ე. ი. ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც დაფიქსირებულია საქმის დოკუმენტირების დროს, ემსახურება სისხლის სამართლის დევნის დაწყების საფუძველს და გამოიყენება მტკიცებულებებად სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.[6]

მაშასადამე, მიგვაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების დოკუმენტირება ეს არის ფაქტობრივი ინფორმაციის პირველდაწყებითი მიღება და დაფიქსირება, რომელიც საპროცესო დამუშავების შემდეგ იქცევა მტკიცებულებად.

ოპერატიული აღრიცხვის საქმე, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დოკუმენტირების საშუალება

მიგვაჩნია, რომ ოპერატიული აღრიცხვის საქმის ქვეშ იგულისხმება საქმისწარმოება ანუ ინფორმაციათა შეკრება და დოკუმენტების სისტემაში მოყვანა, რომელიც შეიცავენ ცნობებს ფაქტებსა და პიროვნებებზე, რომლებიც ოპერატიულად საინტერესოა. ასევე, მოიცავენ მასალას, რომლებიც ასახავენ ოპერატიული ღონისძიებების საფუძვლებს, პირობებს, გეგმებს, ორგანიზაციას, ტაქტიკას და ჩატარებული ღონისძიების შედეგს.

ოპერატიული აღრიცხვის საქმისწარმოება კი, ობიექტურად ქმნის პირობებს, რათა შეგროვილი, გაანალიზებული და დაცული იქნას ყველა ინფორმაცია, კანონიერება და მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ყოველივე ამით იქმნება წინა პირობები გადაიჭრას ოპერატიული ღონისძიების ამოცანები, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა

---

[6] Белоусов А.В., Процессуальное оформление доказательств при расследовании преступлений, М., 2001, с. 206.

იქნას კონკრეტული ღონისძიების ჩატარება და განისაზღვროს ამ ღონისძიების ჩატარების საფუძვლიანობა.[7]

აგრეთვე, ოპერატიული აღრიცხვის საქმისწარმოება უზრუნველყოფს შესაძლებლობას, განხორციელდეს კონტროლი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე, შეგროვდეს მასალა და დაწესდეს კონტროლი დამნაშავეთა მოქმედებაზე, მოხდეს მათი ყოველი „ნაბიჯის" დაფიქსირება და ჩაიდოს საქმეში (პატაკის, ცნობის, დოკუმენტის სახით).

ოპერატიული აღრიცხვის ჩამონათვალი, მისი შექმნა, წარმოების წესი, შეწყვეტა განისაზღვრება სათანადო ნორმატიული აქტებით, იმ სუბიექტების მიერ, რომელთაც აქვთ კანონიერი უფლება გადაწყვიტონ ამ ღონისძიებით გარკვეული ამოცანები და აქვთ სპეციფიკური მოქმედების კომპეტენცია.

ოპერატიული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ოპერატიული აღრიცხვის საქმეთა წარმოებით უნდა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

– მიღებული ინფორმაციის წინასწარი შემოწმება-გააანალიზება;

– დამუშავება პირებისა, რომლებიც მხილებულნი არიან დანაშაულის ჩადენაში;

– დადგენა იმ პირებისა, რომლებიც ემალებიან გამოძიებასა და სასამართლოს ან ემალებიან სასჯელის მოხდას;

– უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა დაძებნა.

ოპერატიული აღრიცხვს საქმე იწარმოება როგორც პირთა მიმართ, რომლებიც ამზადებენ, ჩადიან ან ჩაიდინეს დანაშაული, ასევე იმ დანაშაულთა მიმართ, რომელიც მზადდება ან რომელიც უნდა მომზადდეს ან უკვე მოხდა, მაგრამ სუბიექტები ცნობილი არ არიან ან არსებობს ისეთი ინფორმაციები, რომელიც აშკარად მიუთითებენ დანაშაულის ნიშნებზე.

როგორც ოპერატიული გამოცდილება მოწმობს, ოპერატიული აღრიცხვის საქმისწარმოების დაწყების საფუძველია ფაქტობრივი მონაცემები (ინფორმაციები), ცნობები იმ ფაქტებზე, რომლებიც ექვემდებარებიან ფარულად გადამოწმებას, შემდგომ კი, გამოძიებით და ერთობლივი ოპერატიული ძალებით, ოპერატიული აღრიცხვის საქმე თითქმის ყოველთვის წარმატებული ღონისძიებით სრულდება.

რაც შეეხება ოპერატიულ ინფორმაციას პიროვნებაზე, რომლის მიმართაც წარმოებს ოპერატიული აღრიცხვის საქმე და მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, იგი ყოველთვის უნდა ისახავდეს მიზნად ამა თუ იმ პირის ინდივიდუალური მონაწილეობის ხარისხის დადგენას და კავშირების გამოვლინებას.[8]

---

7 Zabrodin, A.V., Cheremin, N.V., 2020. The principle of combining open and secret methods and means and its role in the implementation of operational-search activity, p. 272.

8 Чуфаровский Ю. В., Отрос как метод получения информаций в оперативно розыскной деятельности провоохранительных органов. 2016, стр. 58-59.

დასასრულს, ოპერატიული აღრიცხვის საქმის შეწყვეტის საფუძველია:

1. ოპერატიული სამძებრო ღონისძიებით კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა;
2. დადგენა იმ გარემოებებისა, რომელიც მოწმობს ამ ამოცანის განხორციელების ობიექტურ შეუძლებლობას;
3. დანაშაულის გახსნა ან თავიდან აცილება;
4. დადგენა იმ პირებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ დანაშაულში.[9]

მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ და სხვა ცალკეული ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებლად უნდა შეიქმნას კონკრეტული დანიშნულების ოპერატიული აღრიცხვის საქმე.[10]

ოპერატიული სამსახურების მდიდარი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ცალკეული ინ-ფორმაციების მიხედვით იქმნება ოპერატიული შემოწმების საქმეები. განსაკუთრებით იმის დასადგენად და გადასამოწმებლად, რამდენად რეალურია მიღებული ინფორმაციები, რის შედეგადაც იგეგმება და მასშტაბურად ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი.

ხშირად არ არის გამორიცხული, რომ ოპერატიულმა საქმისწარმოებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა, რის შემდეგაც ოპერატიული საქმე წყდება და სათანადო დადგენილებით საბუთდება ოპერატიული სამძებრო ღონის-ძიების ჩაუტარებლობა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების უარყოფა შეიძლება გამოწვეული იყოს დანაშაულში მხილებული პირის გარდაცვალებით, დანაშაულის ჩადენისაგან ხელის აღებით, პირის მძიმე ავადმყო-ფობით, რომელიც გამორიცხავს საეჭვო ქმედების განხორციელებას და სხვა მოტივებითაც.

---

9 Голубев В. В., Вопросы использования оперативно-розыскной деятельности на предварительной следствий, 2002, стр. 47-49.

10 Ефремов А. М., Обеспечение прав и свобод человека и гражданина в оперативно-розыскной деятельности. Спб., 2006, стр. 204-205.

GENERAL PERSPECTIVES ON THE LEGAL STRUCTURE, FOUNDATION, AND PURPOSE OF DOCUMENTING OPERATIONAL SEARCH ACTIVITIES

KOBA BUADZE
Associate Professor
Department of Law Akaki Tsereteli State University

In contemporary times, the operational search activities and crime investigations in our state are structurally regulated by both the procedural norms of Georgia's criminal law and the Law of Georgia on operational search activities. Alongside the Constitution of Georgia, these elements collectively serve as a robust guarantor for the realization and protection of human rights. The effective, objective, comprehensive, and timely resolution of crimes heavily relies on the significance of a normative system. The cohesiveness of this system fosters consensus in both the theory and practice of operational search actions, guaranteeing a logical sequence in the implementation of principles and ideas related to legality and justice. Furthermore, it is noteworthy that the detection of crimes is facilitated by the extensive experience of law enforcement agencies. This expertise is evident in the adoption of innovative methods and approaches to operational work, as well as in the implementation of both general and specific preventive measures to deter criminal activities. The Constitution of Georgia, along with the aforementioned normative and other relevant legal acts, constitutes the primary legal foundation for operational search activities. This framework carries a direct responsibility to safeguard the legal rights of citizens and the interests of society, preventing any illegal or criminal encroachments. Moreover, the foundation lies in acknowledging the fundamental rights of citizens and in respecting and safeguarding their freedom. This forms the cornerstone of all the norms within Georgia's law on operational search activities and encompasses its entire normative content.